

თრიალეთი ქ3.6. XV-XIV საუკუნეებში

თრიალეთი საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული მხარეა (ფაზ. I.). დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით ის მთლიანად მოიცავს წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას და თეთრიწყაროს, დმანისის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ნაწილს. გეოგრაფიულად და ადმინისტრაციულად შედის ქვემო ქართლში, რომელიც მოიცავს ალგეთისა და ქცია-მაშავერა-ბერდუჯის აუზებს, მდ. მტკვრის ხეობას - ნითელ ხიდამდე. ქვემო ქართლის ჩრდილოეთი საზღვარი მთლიანად თრიალეთის ქედზე გადის, დასავლეთი საზღვარი თრიალეთის ქედის ბაკურიანის მონაკვეთამდე გრძელდება, სამხრეთით ლოქის ქედი გამოყოფს მას სომხეთისაგან, ხოლო აღმოსავლეთით სამგორისა და დავითგარეჯის მთაგრეხილები საზღვრავს.

ბუნებრივი პირობები. ქვემო ქართლი ბუნებრივი, ლანდშაფტური თუ კლიმატური პირობების მიხედვით რამდენიმე რეგიონად იყოფა. ერთ-ერთ ასეთ რეგიონს წარმოადგენს თრიალეთი, რომელიც მოიცავს მდ. ქციის ზემო წელსა და მდ. შავწყაროსწყლის ხეობას. რეგიონს ჩრდილოეთიდან ამავე სახელწოდების ქედი საზღვრავს; დასავლეთიდან ნარიანის ველი, რომელიც ტაბაწყურისა და ფარავნის ტბებამდე ვრცელდება; სამხრეთით თრიალეთი მდ. ჭოჭიანისა და შავწყალას წყალგამყოფამდე აღწევს, ხოლო აღმოსავლეთით კლდეკარიდან მდ. ჭოჭიანისა და მდ. ქციის შეერთებამდე.

რეგიონის ზედაპირის აბსოლუტური სიმაღლეები, მისი რთული ლანდშაფტური რელიეფიდან გამომდინარე, ცვალებადია. იგი მერყეობს ზღვის დონიდან 1000 მ-დან 2500 მ-მდე.

მდ. ქცია (ხრამი) და მისი შენაკადები, ხელოვნური წყალსაცავები და პატარა ტბები თრიალეთის ჰიდროგრაფიულ ქსელს წარმოადგენს. მდ. ქცია ამ რეგიონში ყველაზე დიდი და წყალუხვია (სიგრძე 220 კმ). ის სათავეს იღებს ცხრაწყაროს მთის სამხრეთ აღმოსავლეთ კალთაზე, თრიალეთის ქედის სამხრეთით მიედინება და ბეშთაშენის ტაფობზე ხელოვნურად აგებულ წყალსაცავში ჩაედინება. მისი მრავალრიცხოვანი შენაკადებიდან გამოირჩევა მდ. ჭოჭიანი, ნარდევანი, გუმბათი, ყარაბულახი და სხვა. მდ. ბეშქენაშენი და ყორსუ უშუალოდ წალკის წყალსაცავს ერთვის. რეგიონისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა სიდიდის ტბები – ბარეთი, ხადიკი, შვიდი ტბა, ყარაბულახი და სხვ.

საკმაოდ მაღალი მთებით გარშემორტყმულსა და თავადაც მაღლა მდებარე ამ მხარეში, გარედან შემოჭრილი ჰაერის ნაკადების ეფექტი ადგილობრივი ოროგრაფიული პირობების ზემოქმედების შედეგად იცვლება. თრიალეთის ჰავა საკმაოდ მყაცრი კლიმატური პირობებით გამოირჩევა. რეგიონის დაბალ ნაწილში ძირითადად მთის სტეპური ჰავაა გავრცელებული, ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 600-700 მმ-ია. იანვრის საშუალო ტემპერატურა -2° -დან -6° -მდეა, თუმცა ჰაერის აბსოლუტური მინიმუმი ზოგჯერ შეიძლება -30° -მდეც კი დაცეს, ხოლო უთბილესი კი $14^{\circ}-15^{\circ}$ -მდე მერყეობს, რომლის აბსოლუტური მაქსიმუმი შეიძლება 35° -ს აჭარბებდეს. წლის განმავლობაში მოსული ნალექების უმეტესობა გაზაფხულსა და ზაფხულის დასაწყისში მოდის. ნალექების მინიმუმი კი ზამთრისთვისაა დამახასიათებელი. ამ მხარეში ჰავა მშრალი კონტინენტურია.

ოროგრაფიული პირობების შესაბამისად, თრიალეთის მცენარეული დაჯგუფება ძირითადად უროვანი და ვაცინვერიანი ელემენტებისაგან შედგება. აქ ფართოდა გავრცელებული პლიდო-მინანტური ბალახნაირები, სადაც ძირითადი სახეობებია: მარცვლოვანებიდან – სტეპის წივანა, კენენურა, მდელოს წივანა, სტეპის ტიმოთელა, ცხვრის წივანა, თაგვისარა, ნამიკრეფია, მაჩიტა, ბაია; ვაცინვერას სახეობები: თრიალეთის იონჯა, ქაფურა, წინინაური, ჭალარა სამყურა; ალსა-ნიშნავია, რომ ადრე ამ ადგილებში საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული ტყეები: ძირითადად ნაძვნარი, ფიჭვნარი, მუხნარი და არყნარი. ახლა ამ მხარეში ტყეები შემორჩენილია უმნიშვნელო ნაშთების სახით, ლოკალურად – უმეტესწილად მდ. კუსრეთისწყლის აუზში (მდ. ქციას ხეობა); სოფ. დაშ-ბაშის მიდამოებში, სადაც ფართოფოთლოვანი ტყეებია წარმოდგენილი – რცხილა, მუხა, ნეკერჩხალი და სხვ.; რეგიონის ნატყევარი ვრცელი ტერიტორიები კი დაფარულია ზემოთ აღნერილი მთის სტეპის მოყვარული მცენარეული საფარით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონისათვის დამახასიათებელია წყალ-ჭალობური დაჯგუფებები და ლერწმიანები, რომლებიც მრავალდა ტბებისა და მდინარეების სიახლოვეს.

დღევანდელი თრიალეთის ფაუნა, თავისი ლანდშაფტური პირობებიდან გამომდინარე აღარ არის ისეთი მრავალფეროვანი, როგორც ადრე იყო. ადგილობრივმა ფიზიკურ-გეოგრაფიულმა და ეკოლოგიურმა პირობებმა, ტყის მასივების სიმცირემ თავისი ზეგავლენა იქნია დღევანდელ ფაუნაზე. თრიალეთში დღეისათვის გვხვდება: შველი, ტურა, მელა, მგელი, მაჩვი; ერთეულების სახითაა შემორჩენილი ტყის კატა, კავკასიური ფოცხვერი; ძალზედ შემცირდა გარეული ღორის რაოდენობაც; ბევრია მღრღნელი: თაგვი, ბუჩქნარის მემინდვრია, ზაზუნა; თრიალეთის ფრინველთა სახეობებს შორის აღსანიშნავია: ქორი, შევარდენი, არწივი; ერთეულების სახით გვხვდება კავკასიური როჭო, შურთხი. მდინარეებისა და ტბების სიმრავლემ ხელი შეუწყო წყალმცურავ ფრინველთა პოპულაციის გავრცელებას. აქ მრავლადაა იხვის სხვადასხვა სახეობა, თოლია, წერო და სხვ.

დღიდია ადამიანის ზეგავლენა თრიალეთის ბუნებაში მომხდარ ცვლილებებზე. ადამიანის მიერ თრიალეთის ათვისება პალეოლითის ხანაში იწყება და დღემდე მიმდინარეობს. მისმა სამეურნეო საქმიანობამ, რომელიც განაპირობებდა კაცობრიობის ისტორიის შემდგომ განვითარებას, აქტიური როლი ითამაშა თრიალეთის ფლორისა და ფაუნის ცვლილებაში. სამეურნეო მიწებზე მზარდმა მოთხოვნილებამ, ასევე მესაქონლეობის განვითარებამ, რომელიც საძოვრად სულ უფრო და უფრო მეტი ტერიტორიების ათვისებას მოითხოვდა, საგრძნობლად შეცვალა მცენარეული საფარი. ადამიანმა დაიწყო ტყეების მასიური განადგურება დიდ ფართობზე. დღეისათვის ეს ფართობები გასტეპებული ველების სახითაა შემორჩენილი [Квавадзе, Коннор, Нариманишвили 2007]. ტყეების სიმცირემ კი გარკვეული ცვლილებები შეიტანა ცხოველთა სამყაროშიც – მკვეთრად შემცირდა აქ მობინადრე ცხოველთა მრავალფეროვანი სახეობები.

თრიალეთის (წალკის) არქეოლოგიური კვლევის ისტორია. წალკის არქეოლოგიური შესწავლა XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო. 1876 წელს სოფ. ალექსანდერსპილფში, ამ სოფლის მკვიდრმა, შემდგომში სამპერატორო მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრმა, დავით შულცმა არქეოლოგიური გათხრები აწარმოა სოფლის მიდამოებში და სოფ. გუნია-ყალასთან. მიმოიხილა ბარმაქსიზის (დღევანდელი ქ. წალკა) მიდამოები [Шульц 1907: 3]. 1881 წელს ა. იოაკიმოვმა აღნერა წალკის არქეოლოგიური ძეგლები [Иоакимов 1882: 7-9]. სოფ. წინწყაროსთან მან მიაკვლია სამაროვანს [Уваров 1887: XXXV, ტაბ. XXXIX]. 1889 წელს ი. ჭავჭავაძემ აღნიშნა წალკაში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის უაღრესად დიდი ისტორიული მნიშვნელობა [მუმლაძე 2002: 98]. 1896-1905 წლებში არქეოლოგიურ გათხრებს წალკაში აწარმოებდა ე. თაყაიშვილი [Отчёт ... 1898; Такаишвили 1907; Такаишвили 1913; ჩარკვიანი 2002]. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან თრიალეთის მეგალითური ძეგლების კვლევას იწყებს ლ. მელიქშეთ-ბეგი [მელიქშეთ-ბეგი 1938].

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა XX საუკუნის 30-40-იან წლებში ჩატარებულ სამუშაოებს, რომელიც ხრამების მშენებლობასთან იყო დაკავშირებული. წალკის წყალსაცავის მომავალი ფსკერის ტერიტორიაზე ბორის კუფტინმა არაერთი პირველხარისხოვანი ძეგლი შეისწავლა. ამ მონაცემების საფუძველზე მის მიერ პირველად იქნა შემუშავებული კავკასიის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლების პერიოდიზაცია და ქრონოლოგია, გამოვლენილ იქნა ახალი არქეოლოგიური კულტურები. პირველ რიგში აღსანიშნავია ტომის ბელადთა თუ მეფეთა გრანდიოზული ყორდანები, რომელთა დასაკრძალავ „დარბაზებში“ მანამდე უცნობი, მდიდრული და უნიკალური მასალა აღმოჩნდა. ძვ.ნ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებული ყორდანებიდან მომდინარე ოქროს და ვერცხლის სამეულებმა, შტანდარტებმა, ჭურჭლებმა, ვერცხლის და ბრინჯაოს იარაღმა, შავპრიალა და მოხატულმა კერამიკამ საფუძვლიანად დაიმკვიდრა ადგილი არა მხოლოდ კავკასიის, არამედ მსოფლიო კულტურის საგანძურში [კუფტინ 1941; კუფტინ 1948; ჯორჯიკაშვილი, გოგაძე 1974; კუფტინი 1949; მენაბდე, დავლიანიძე 1968; გოგაძე 1972; გაგოშიძე 1982].

1947 წელს სოფ. ხადიკში იმუშავა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ [გძელიშვილი 1950; გძელიშვილი 1954].

1957 წელს თრიალეთში მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ხელოვნების მუზეუმის გაერთიანებულმა ექსპედიციამ [ჯაფარიძე 1960; ჯაფარიძე 1962; ჯაფარიძე 1964; ჯაფარიძე 1969].

1963-1974 წლებში წალკაში მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ხრამის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია [ბერძენიშვილი 1963; გაბუნია 1965; გაბუნია 1972; გაბუნია 1976; გაბუნია 1974]. 1989 წლიდან დღემდე წალკის რაიონში სამუშაოებს ანარმოებს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიცია [ნარიმანიშვილი 1992; ნარიმანიშვილი, მინდიაშვილი და სხვ. 1998; შანშაშვილი, ნარიმანიშვილი 1996; ნარიმანიშვილი, მახარაძე და სხვ. 1996; ნარიმანიშვილი, შანშაშვილი 1997; შანშაშვილი, ნარიმანიშვილი 1998; ნარიმანიშვილი, მახარაძე და სხვ. 2004; Narimanishvili, Shanshashvili 1997; Narimanishvili, Shanshashvili 2000; Narimanishvili, Shanshashvili 2001; Narimanischvili, Schanschashvili 2001a].

ძვ.ნ. XV-XIV სს. არქეოლოგიური ძეგლები ხუთ პუნქტში გამოვლინდა – სოფ. საფარ-ხარაბასთან (ბაიბურთი), ბეჭთაშენის „ციკლოპურ“ ნამოსახლარზე, იმერაში, სანთასა და ოზნიში.

საფარ-ხარაბას სამართვანი. სოფ. საფარ-ხარაბა (ბაიბურთი) მდ. ჩილ-ჩილის (ბაიბურთია) და მდ. ბაშქოვ-სუს ნაპირებზე გაშენებული. მდინარეთა ხერთვისში ცნობილი არქეოლოგიური ძეგლი „ბეჭთაშენის ციკლოპური ნამოსახლარი“ მდებარეობს. სოფელი მისგან ჩრდილოეთით 200-ოდე მეტრითაა დაცილებული.

სოფელს ახალი სახელი (საფარ-ხარაბა, ბაიბურთი) XIX ს-ში თურქეთიდან გადმოსახლებულ-მა ბერძნებმა დაუმკვიდრეს. ისინი იმ დველი ნასოფლარის ტერიტორიაზე დასახლდნენ, სადაც ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით სოფ. საბეჭდავი მდებარეობდა. სოფლის ტერიტორიაზე დღე-საც დგას განვითარებული შუა საუკუნეების არქიტექტურული ძეგლები, რომლებიც ბერძნებმა გადააკეთეს ან განაახლეს.

სოფლის ტერიტორიაზე პირველი არქეოლოგიური გათხრები XIX ს-ის მიწურულს და XX ს-ის დასაწყისში ე. თაყაიშვილმა ჩატარა, რომელმაც შუა საუკუნეების ძეგლები გათხარა [Отчёт ... 1898: 111].

XX საუკუნის 30-იან წლებში ბ. კუფტინმა საფარ-ხარაბას მიდამოებში სამ პუნქტში იმუშავა:

1. 1938-1939 წლებში ადგილ „ბაიბურთუნ გარსიში“ სამი ყორდანი (XII, XIII, XIV) და ერთი ქვაყრილი შეისწავლა [კუფტინ 1939: 3 ი სლ.].

2. თანამედროვე სასაფლაოსთან 1939 წელს სამი ქვაყუთი გათხარა [კუფტინ 1939: 27, 39-41; ჯორჯიკაშვილი, გოგაძე 1974: 11-12].

3. ბაიბურთის მინდორზე ოთხი სამარხი გათხარა (ტაბ. II₁). ეს სამარხები ჩვენს მიერ გათხრილი სამაროვნის შემადგენელ ნაწილს ნარმოადგენს და მის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში მდებარეობს (ტაბ. I₂). სამწუხაროდ ბ. კუფტინის დღიურის ის ნაწილი, სადაც ბაიბურთის სამარხები უნდა ყოფილიყო აღნერილი, დაკარგულია (1937-1938 წწ. დღიურები). 1939 წლის დღიურში კი არ-სებითი არაფერია [კუფტინ 1939]. დიდი ზომის ორი „ბაიბურთული“ სამარხი 15-18 მ დიამეტრის ქვის ნრებით არის შემოზღუდული. დასაკრძალავი ორმოები საკმაოდ ფართოა და ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზება ორიენტირებული. ადამიანის ძვლები თითქმის არ შემორჩენილა. მხოლოდ მათი ნაშთებით დგინდება, რომ მიცვალებული თავით ჩრდილოეთისაკენ იწვა. თავთან ჩვეულებრივ 3-7 თიხის ჭურჭელი იდგა. ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ ისინი სრულიად განსხვავებულია აქამდე წალკაში აღმოჩენილი ჭურჭლებისაგან. არც ერთ ჭურჭელს ყური არ გააჩნია. ყველა მორგვზეა დამზადებული და მიუხედავად დიდი ზომებისა, საკმაოდ თხელკედლიანია. ბ. კუფტინი აღნიშნავს „არანაირი გარკვეული ადგილი ამ კერამიკას ჩემთვის ცნობილ სამხრეთ კავკასიურ სამაროვნებს შორის არ ეძღვნება“ [კუფტინ 1941: 76]. კერამიკის გარდა დიდ სამარხებში სხვა ინვენტარი არ აღმოჩენილა, მცირე ზომის სამარხებში კი თეთრი და ცისფერი პასტის რამდენიმე მძივი, გახვრეტილი ქვა და სპილენძ-ბრინჯაოს საკინძი აღმოჩნდა. საკინძის თავი ჭვირულ სეკირას წარმოადგენს, რომელზეც ჯიხვის ფიგურა დგას.

ბ. კუფტინი ფრთხილობს ბაიბურთის სამარხების დათარიღებისას, თუმცა ზუსტად განსაზღვრავს მათ ადგილს და შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულსა და გვიანი ბრინჯაოს დასაწყისს შორის ათავსებს.

ბ. კუფტინის მიერ გათხრილი ოთხი სამარხი სამაროვნის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. სამარხთა ნუმერაციის გარკვევა დღეისათვის არ ხერხდება. გასარკვევია სამარხთა კომპლექსების შემადგენლობაც.

ბ. კუფტინის მიერ გათხრილი სამარხები დღესაც კარგად ჩანს. ისინი პატარა ფერდობზეა განლაგებული. ქვანრიანი სამარხების ნრები სრულად არის შემორჩენილი. აქვე შეინიშნება დანარჩენი სამარხების ორმოთა კონტურებიც (ტაბ. II₁). ყველაზე სამხრეთით დიდი ქვანრიანი სამარხი მდებარეობს. მისი ნრის დიამეტრი 19 მ-ს უდრის (ბ. კუფტინის მიხედვით ქვედა სამარხი). მისგან ჩრდილო-დასავლეთით 12 მ-ის დაცილებით გამართულია მეორე სამარხი რომელსაც 14 მ დიამეტრის ქვანრე აქვს (ბ. კუფტინის მიხედვით ზედა სამარხი). ორმოსამარხები დიდი ქვანრიანი სამარხის დასავლეთით 4 მ-ის დაცილებით მდებარეობს. ეს სამარხები უშუალოდ მდ. ჩილ-ჩილის მარცხენა ნაპირზე, მდინარისპირა ტერასაზეა გამართული ისე, რომ სამაროვანს დასავლეთით მდინარე საზღვრავს. სამაროვანი განფენილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. მისი სიგრძე დაახლოებით 1,5 კმ-ია, სიგანე 0,4-0,5 კმ-ს უდრის.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენმა სამაროვანი შუაზე გაკვეთა (ტაბ. I₂, II₂). ენერგოდერეფანში გამოვლენილი სამარხების შესწავლა 2003-2005 წლებში მიმდინარეობდა [ნარიმანაშვილი 2006a].

საფარ-ხარაბას სამაროვანზე 2003 წელს გაითხარა 29 (№№ 1-29), 2004 წელს ორი (№№ 30-31), 2005 წელს 78 სამარხი (№№ 32-122); გასათხრელი დარჩა №№ 46, 57, 58, 60, 65, 66, 70, 102, 111-115 სამარხები და ნავთობისა და გაზის მილებს შორის (მილსადენის 119+350 კილომეტრიდან ვიდრე 120+600-მდე) მოქცეული სამარხები, რომელთა დანომვრა ვერ მოხერხდა.

იმერას სამაროვანი. სამაროვანი სოფ. იმერას აღმოსავლეთით, ბედენის ქედის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. ეს მონაკვეთი მკვეთრად ნაოჭიანია, რელიეფი დამრეცია და ჩრდილოეთისაკენ მიმართული. ფერდობებს მცირე ხევები და ნაკადულები კვეთს. სამარხები ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე და მის ქვემოთ არსებულ მინდორზეა გამართული, რომელსაც წყალმცირე მდინარე ეგრიჩაი კვეთს, იგი სამხრეთიდან უვლის სამაროვანს და სოფ. იმერას გავლით წალკის წყალსაცავს უერთდება. სამაროვნის ჩრდილოეთით თბილისი-წალკის სამანქანო გზა გადის. აქვეა ორი ნახევრად დამშრალი ტბაც.

სამაროვანი ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენის მშენებლობისას (მილსადენის 109 და 110-ე კილომეტრებზე) გამოვლინდა [ნარიმანიშვილი 2005].

სამარხები ორ ჯგუფად მდინარის მარცხენა და მარჯვენა ნაპირზეა განლაგებული. როგორც ჩანს, სამარხთა გამოვლენილი ჯგუფები ორ სამაროვანს განეკუთვნება, რომელთა მხოლოდ მცირე, პერიფერიული ნაწილი მოხვდა მშენებლობის ზონაში. გაითხარა 7 სამარხი (ტაბ. III₄), მათ შორის 2 ძლიერ დაზიანებული. 5 მათგანი (№№ 1-5) მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს (110-ე კმ), 2 კი (№№ 6-7) – მარცხენაზე (109-ე კმ).

ბეშენაშენის (ბეშთაშენის) „ციკლოპური“ ნამოსახლარი. ნამოსახლარი სოფ. ბეშთაშენის ჩრდილო-დასავლეთით 0,2 კმ-ის დაცილებით, მდ. ჩილ-ჩილისა და მდ. ბაშკოვ-სუს ხერთვისში მდებარეობს (ტაბ. XXVII₂). ამ მდინარეთა ღრმა კანიონებს შორის მოქცეული ფართობი (დაახლ. 20 ჰა), სოფ. საფარ-ხარაბას სამხრეთით მდებარე შემაღლებისაგან ხელოვნური თხრილითაა გამოყოფილი, რომლის სამხრეთ კიდესთან „ციკლოპური“ კედელია აშენებული ისე, რომ ორმხრივ ბუნებრივად დაცული ფართობი (დაახლ. 4 ჰა), ჩრდილოეთიდან ხელოვნურადაა შემოზღუდული და გამაგრებული. ნამოსახლარის ცენტრალური ნაწილი მდ. ბეიუკ-ჩაის (ბაშკოვ-სუ) და ჩილ-ჩილის (გერიაკ ჩაი) ხერთვისში არსებულ კლდოვან ბორცვზე, ზღვის დონიდან 1550 მ სიმაღლეზეა გაშენებული.

აღსანიშნავია, რომ ეს ადგილი ბეშთაშენის ქვაბულისა და კარიაკ-ბაშქოის ქვაბულის გამყოფი ქედის ყველაზე დაბალ ადგილს წარმოადგენს. სწორედ აქ გადის ქვაბულებს შორის დამაკავშირებელი ერთადერთი გზა, რომელიც შემდეგ თრიალეთის ქედზე არსებული გადასასვლელებისაკენ მიემართება. ბეშთაშენის ქვაბულში კი თავს იყრის თრიალეთზე გამავალი ყველა გზა. ამდენად ბეშენაშენის „ნაქალაქარი“ მოხერხებულ ადგილზეა გამართული. ეს არის ალბათ იმის მიზეზი, რომ ეს ტერიტორია ძველი ქვის ხანიდან მოკიდებული გვიანი შუასაუკუნეების ჩათვლით ინტენსიურად ყოფილა ათვისებული.

ნამოსახლარზე პირველი არქეოლოგიური გათხრები ბ. კუფტინმა 1939 წელს ჩაატარა. ნამოსახლარის ტერიტორიაზე მან ოთხი თხრილი გაავლო: პირველი თხრილი მთავარ კედელთან გაავლო, სადაც ყველაზე მდლავრი კულტურული ფენა დადასტურდა. კედლის შიდა მხარეს ფენები 3,5 მ, ხოლო გარეთ, ძველი, ხელოვნური თხრილის მხარეს, 1,8 მ სიღრმეზე ჩადიოდა, რომელიც ძირითადად შუა საუკუნეების მასალით იყო შევსებული. კედლის შიდა მხარეს, 2 მ სიღრმეზე, დიდი ზომის ჭურჭელი აღმოჩნდა, რომლის ქვეშაც მტკვარ-არაქსის კულტურის ფენა დადასტურდა. გათხარა ძველი, ხელოვნური თხრილის დასავლეთი ნაწილიც (მეორე თხრილი), სადაც კულტურული ფენა 3,0 მ აღწევდა. ეს ფენა ნახშიროვანი ზოლით ორად იყო გაყოფილი. ზედა ფენაში აღმოჩნდილი თიხის ჭურჭლის ზედაპირი მოწითალო-ოქრისფრად იყო შეღებილი, რითაც ისინი, ბ. კუფტინის აზრით, ყორღანებში აღმოჩნდილი მოხატული ჭურჭლების შეფერილობას ემსგავსება, ოღონდ უფრო უხეში ტიპისაა. ქვედა ფენა მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკას შეიცავდა [Куфтин 1941: 109]. მესამე თხრილი ნამოსახლარის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში გაავლო (ჩვენს მიერ შესწავლილი ნაკვეთი კუფტინის მიერ გავლებულ თხრილს ებჯინება და მისი გაგრძელება). ზედა ფენა შუასაუკუნეების მასალას შეიცავდა, მომდევნო კი გერიაკ-ჩაის მარჯვენა სანაპიროზე გათხრილი გვიანი ბრინჯაოს ხანის სამაროვნის ანალოგიურ კერამიკას შეიცავდა. ქვედა ფენები კი ადრებრინჯაოს ხანას მიეკუთვნებოდა [Куфтин 1941: 110-112]. მეოთხე თხრილი მხოლოდ შუასაუკუნეების მასალას შეცავდა [Куфтин 1941: 109]. ჩატარებული სამუშაობის შედეგად ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ უძველესი ფენა აღმოჩნდა გვიანი და შუაბრინჯაოს ხანის ფენების ქვეშ და ციკლოპური კედლის საფუძვლის დონეზე დაბლა მდებარეობდა [Куфтин 1941: 107].

ბეშენაშენის ნამოსახლარზე სამუშაოები 1991 წელს განახლდა. გათხრების მიზანი იყო ნამოსახლარი ფენებისა და „ციკლოპური“ ზღუდის ურთიერთმიმართების გარკვევა. ამ მიზნით ნამოსახლარის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მოქცეული ორი ნაკვეთები (XVII, LXVIII ნაკვეთები) შეირ-

ჩა (ტაბ. XXVII₃), რომელიც მოიცავს თავდაცვით კედელს და ბ. კუფტინის მიერ გავლებულ მესამე თხრილამდე დარჩენილ ფართობს [ნარიმანიშვილი, მახარაძე და სხვ. 2004: 126, ტაბ. CCXII].

„ციკლოპურ“ ნამოსახლარზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დღეისათვის რვა კულტურული ფენა დაფიქსირდა:

1. მეზოლითური ფენა (1991 წლის გათხრები) სიმაგრის სამხრეთით 100 მ დაცილებით, მდ. ბაშკოვ-სუს მარჯვენა ნაპირზე, მიწის ზედაპირიდან 3,0 მ სიღრმეზე მდებარეობს. არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილია ობსიდიანისა და კაჟის მიკროლითებით.

2. მტკვარ-არაქსის ეპოქის ფენები გამოვლენილია როგორც სიმაგრის ტერიტორიაზე (1939 და 1993 წწ. გათხრები), ისე მის ჩრდილო-აღმოსავლეთით და მდ. ჩილ-ჩილის მარჯვენა ნაპირზე, გვიანი ბრინჯაოს ხანის სამაროვნის ტერიტორიაზე.

3. ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანების ნამოსახლარის ნაშთები სიმაგრის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში გამოვლინდა (1939 და 1991-93 წწ. გათხრები).

4. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლები გამოვლენილია სიმაგრის ტერიტორიაზე და მდ. ჩილ-ჩილის მარჯვენა ნაპირზე (1939 და 1991-93 წწ. გათხრები).

5. ძვ.წ. VII-VI სს. სამაროვანი სოფ. ძეშთაშენიდან სოფ. საფარ-ხარაბასაკენ მიმავალ გზასთან, მშრალი ხევის ნაპირზე გამოვლინდა (1995-99 წწ. გათხრები).

6. ძვ.წ. V-IV სს. სამაროვანი უშუალოდ სიმაგრის ჩრდილო-აღმოსავლეთითაა გამართული (1939 წლის გათხრები).

7. ძვ.წ. IV-I სს. ნამოსახლარი და სამაროვანი (1991-99 წწ. გათხრები) „ციკლოპური“ ნამოსახლარის სამხრეთით, 100 მ დაცილებით, მდ. ბაშკოვ-სუს მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს.

8. შუა საუკუნეების ნამოსახლარი ძირითადად სიმაგრის შიდა ტერიტორიაზე გამოვლინდა (1939, 1992-93 წწ. გათხრები).

1991 წელს ჩატარებული სამუშაოების დროს ძვ.წ. II ათასწლეულის არქეოლოგიური ნაშთები LXVII და LXVIII ნაკვეთებში აღმოჩნდა. გამოვლენილი ნაგებობებიდან № 1 სახლი მთლიანად, № 2 კი ნანილობრივ გაითხარა. ამ სახლების აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია ძლიერაა დაზიანებული და ნაგებობათა კედლები მხოლოდ ფრაგმენტების სახითაა დარჩენილი.

№ 1 სახლი მდებარეობს XVII ნაკვეთის 6,9,12 და LXVIII ნაკვეთის 4,7,10 კვადრატებში (ტაბ. XXVII₃). კედლები ნაგებია ბაზალტის ნატეხი ქვით, რომელთა მაქსიმალური, შემორჩენილი სიმაღლე 0,8 მ-ს აღნევს. სამხრეთი კედლის სიგრძე 7,2 მ-ია, ჩრდილოეთი კედლისა 6,75 მ. მისი აღმოსავლეთი ნანილის გარეპირი დაზიანებულია, კედლის მაქსიმალური სიგანე 1,5 მ-ია, მინიმალური 1,0 მ, კედლის ცენტრში 0,9 მ სიგანის ნიშაა გამართული. დასავლეთი კედლის სიგრძე 6,75 მ-ია, სიგანე 1,0 მ. აღმოსავლეთი კედლის სიგრძე 6,5 მ-ია, კედლის წყობაში დედაქანის ქვებია ჩართული, ამის გამო კედელი ოდნავ დეფორმირებულია, მისი სიგანე სამხრეთ ნანილში 1,5 მ უდრის, ჩრდილოეთ ნანილში კი 1,0 მ-ია. სამხრეთი კედლის ცენტრალურ ნანილში შესავლელი კარის ღიობია დატოვებული. დასავლეთი კედლის გასწვრივ შემორჩენილია ქვის ფილებით მოგებული იატაკის (ზღვე?) ნაშთი. კედლების სიგანის ასეთი სხვაობა, როგორც ჩანს, სახლის კაპიტალური გადაკეთების შედეგია. სახლის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი კედლები კი გვიანდელი შეკვეთების შედეგი უნდა იყოს. სახლის აღმოსავლეთ კედლელს ჩაჭრილი აქვს ქვის ფილებით მოგებული იატაკი (LXVIII ნაკვეთის მე-5 კვადრატი). სახლში არქეოლოგიური მასალა სამი დონიდან იქნა აღებული: I დონეს მიეკუთვნა კედლის ზედა დონიდან 0,3 მ სიღრმემდე აღმოჩენილი მასალა, II დონეს – 0,3-0,6 მ შორის მოპოვებული მასალები, III დონე კი იატაკზე დაფიქსირდა.

№ 2 სახლი № 1 სახლზეა მიღებული, მათ საერთო კედელიაქვთ. № 2 სახლი მდებარეობს LXVII ნაკვეთის 6, 9, 12-ე კვადრატებში, გათხრილია ნანილობრივ (ტაბ. XXVII₃). ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები ძლიერაა დაზიანებილი, თხრილის დასავლეთ ნანილში ქვის ფილებით მოგებული იატაკის ნაშთი გამოვლინდა. სახლში არქეოლოგიური მასალა სამი დონიდან იქნა აღებული: I დონეს

მიეკუთვნა კედლის ზედა დონიდან 0,3 მ სიღრმემდე დაფიქსირებული მასალა, II დონეს – 0,3-0,6 მ-ს შორის მოპოვებული მასალები, III დონე იატაკზე დაფიქსირდა.

სახლებში აღმოჩენილი კერამიკული მასალა კარგად განლექილი თიხისაა, კეცი შავი ან მონაცრისფროა, ზედაპირი კარგადა დამუშავებული და გაპრიალების კვალი ემჩვევა. ნაწილი კერამიკისა შემცულია ამოღარული, კონცენტრული ხაზებით; ორ ხაზს შორის მოქცეული ტალღისებური ორნამენტით; სოლისებური შტამპით; ბადიების და ჯამების პირებზე დატანილია ნერტილოვანი ან თევზიფხური ორნამენტები, კიდეებზე კი ტალღისებური ორნამენტი შემოსდევს. ნამოსახლარის კერამიკა კუფფინის მიერ აქვე, მდინარის მარჯვენა ნაპირზე გათხრილ სამარხებში აღმოჩენილი ჭურჭლების ანალოგიურია [Kуфтин 1941: 65-75, სურ. 67, 82, 83, ტაბ. XLVIII]. ბეჭთა-შენის სამაროვანი, როგორც ცნობილია ძვ.წ. XIII-XII სს-ით თარიღდება [Abramishvili 2003: 24, 26].

ბეჭენაშენის ნამოსახლარის გათხრებისას კულტურული ფენების ნაშთები LXVIII ნაკვეთის მე-12 და XIX ნაკვეთის მე-4 და მე-10 კვადრატებში დაფიქსირდა. LXIX ნაკვეთის მე-4 კვადრატში გამოვლენილი ფენა ფრაგმენტულადა შემორჩენილი, რომელსაც ძლიერი ცეცხლის მოქმედების კვალი ემჩვევა. ეს ფენა „პაიბურთული“ ტიპის კერამიკის მცირე ფრაგმენტებს შეიცავს და ნამოსახლარის დამცავ „ციკლოპურ“ კედელს უშუალოდ საძირკველს ებჯინება.

ასეთივე მასალის შემცველი ფენა XIX ნაკვეთის მე-10 ნაკვეთშიც დადასტურდა, რომლის გათხრის შემდეგ № 3 სახლის ნაშთები დაფიქსირდა.

№ 3 სახლი LXVIII ნაკვეთის მე-12 და XIX ნაკვეთის მე-10 კვადრატში მდებარეობს (ტაბ. XXVII₃). 0,1 მ სისქის ფენის მოხსნის შემდეგ სახლის ფრაგმენტი გამოვლინდა. შემორჩენილია რიყის ქვის ცალპირი წყობით ნაგები ჩრდილო-დასავლეთი კუთხე. სამხრეთ-დასავლეთი კედლის შემორჩენილი სიგრძე 1,2 მ-ს, ჩრდილო-დასავლეთისა კი 1,9 მ-ს აღნევს. სახლის ძირითადი ნაწილი ეროზიის შედეგადა მონგრეული.

კედლის პირიდან 0,2 მ სიღრმეზე თიხატკეპნილი იატაკის ნაშთი დაფიქსირდა, რომლის ფართობი 5,5x6,5 მ-ს უდრის (A დონე). ეს დონე შავი მიწის ფენითა შევსებული. თიხატკეპნილი იატაკს ნაცარ-ნახშიროვანი თხელი ფენა ადევს, რომელიც მცირე რაოდენობით შეიცავს თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს. იატაკი უშუალოდ ადევს ნაცარ-ნახშიროვან ფენას (B დონე), რომლის მოტკეპვნის შედეგადაცაა წარმოქმნილი A დონის იატაკი. იატაკს ალაგ-ალაგ მოლესვის კვალი ეტყობა. ასეთივე იატაკი 0,3 მ ფენის აღების შემდეგაც გამოვლინდა. ამ დონის (B დონე) იატაკიც ზემოთ აღნერილ კედლებს ებჯინება. ფენა მთლიანად შევსებული იყო ნაცარითა და ნახშირით, რომელშიც შერეული იყო ცხოველის ძვლები (ძირითადად მსხვილფეხა საქონლის, მცირე რაოდენობით წვრილფეხა საქონლის) და კერამიკის ფრაგმენტები. კედლის პირიდან 0,7 მ და B დონის იატაკიდან 0,2 მ სიღრმეზე კლდოვანი დედაქანია, რომლის უსწორმასწორო ზედაპირი ნაცროვანი მასითაა მოსწორებული და გადალესილი (C დონის იატაკი). ქვის კედელი ამ დონემდე ჩადის და საფუძვლად კლდოვანი დედაქანი აქვს. C დონის იატაკი კარგად ყოფილა მოსწორებული და დატკეპნილი. იგი ნაწილობრივ დაზიანებულია, ალაგ-ალაგ ბუნებრივი ქვებია ამოჩრილი. იატაკზე დიდი რაოდენობით ნაცარი ყრია, რომელშიც კერამიკის ფრაგმენტები, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლები ურევია. აქვე აღმოჩნდა ერთჩლიქიანი ცხოველის ფეხის და ცხენის ძვლები.

ამდენად, სახლის კედლის პირიდან კლდოვან დედაქანამდე სამი დონე, შესაბამისი იატაკებით, იქნა გამოვლენილი (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სულ ზედა ფენაში, რომლის სიმძლავრეც 0,1 მ-ია, აღმოჩენილი კერამიკის ნაწილი სახლში გამოვლენილი მასალების მსგავსია). როგორც ჩანს სახლი რამდენჯერმე იყო გადაკეთებულ-განახლებული. სახლში აღმოჩენილი მცირერიცხოვანი კერამიკული მასალა დანაწევრებული დათარიღების საშუალებას არ იძლევა. ისინი საფარ-ხარაბას სამაროვანზე მოპოვებული ჭურჭლების ანალოგიურია. C დონის მასალებში შეინიშნება გარკვეული განსხვავებაც, ესაა სქელკეციანი უხეში ჭურჭელი (ტაბ. XXVII₄). ეს ფაქტი ამ ძეგლების განსხვავებული ფუნქციით ან თარიღით შეიძლება აიხსნას. საყურადღებოა, რომ ბეჭენაშე-

ნის ნამოსახლარის ჩრდილოეთით, სოფ. საფარ-ხარაბასთან გათხრილ ვრცელ სამაროვანზე მოპოვებული თიხის ჭურჭელი № 3 სახლში აღმოჩენილი კერამიკის იდენტურია. ამ ფაქტისა და ამ ორი ძეგლის ერთმანეთთან ახლოს მდებარეობის გამო მიგვაჩნია, რომ ბეშენაშენის „ციკლოპური ნაქალაქარის“ მოსახლეობა საფარ-ხარაბას სამაროვანზე იკრძალებოდა.

ბეშენაშენის თავდაცვითი კედელი ძლიერაა დაზიანებილი. XX ს-ში კედლები დაშალეს, ქვები სამეურნეო და საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის გამოიყენეს. ბ. კუფტინისა და ჩვენს მიერ ჩატარებული გათხრების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ თავდაცვითი კედლის სიგანე LXVII და LXVIII ნაკვეთებში 3,0-3,5 მ-ია, ხოლო XIX ნაკვეთში 4,0-4,2 მ-ს უდრის. კედლის შიდა, სამხრეთით მიმართული პირი სწორხაზოვანია და თითქმის აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზეა დამხრობილი. გარეპირი კი ტეხილია. ეს ან მშენებლობის თავისებურების, ან გვიანდელი დაზიანების შედეგი შეიძლება იყოს.

№ 1 და № 2 სახლების ჩრდილოეთი კედლები თავდაცვითი კედლის პარალელურადაა გამართული, ისე, რომ მათ შორის გასასვლელია დატოვებული. რაც, თავდაცვითი კედლისა და სახლების ერთდროულად ფუნქციონირებაზე უნდა მიუთითებდეს.

თავაცვითი კედლის ჩრდილოეთით ღრმა თხრილი ყოფილა, რომელიც მდ. ბაშკოვ-სუს ნაპირიდან მდ. ჩილ-ჩილის ნაპირამდეა გაჭრილი. ბ. კუფტინის მიერ ჩატარებული სამუშაოების [Куфтин, 1941: 109] მიხედვით ირკვევა, რომ თხრილის სიღრმე 3,0 მ მაინც უნდა ყოფილიყო. თავდაცვით სისტემას აღმიერებდა თხრილის ჩრდილოეთით არსებულ შემაღლებაზე გამართული კედელი [Куфтин 1941: 108], რომელიც დღეს აღარ არსებობს.

საინტერესოა თხრილის და თავდაცვითი კედლის ურთიერთმიმართება. თხრილის ქვედა ფენები ადრებრინჯაოს ხანის მასალებს შეიცავს, რომლის ზემოთ ბედენური კულტურის ფენები დაფიქსირდა, სულ ზედა, 2,0 მ სიმძლავრის ფენა კი, შუასაუკუნეების ნაყარითაა შევსებული. მიუხედავად მცირე მონაცემებისა ვფიქრობთ, რომ თავდაცვითი თხრილი ადრებრინჯაოს ხანაშია გაჭრილი, ხოლო „ციკლოპური“ კედელი ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში აიგო და ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდე ფუნქციონირებდა.

სანთის „ციკლოპური“ სიმაგრე. სანთის ციკლოპური სიმაგრე განლაგებულია სოფ. სანთის ჩრდილოეთით განოლილი ქედის თხემზე და კალთებზე (ტაბ. XXVIII.). სასიმაგრო კომპლექსი ორი, ზედა და ქვედა ნაწილისაგან შედგება. ზედა სიმაგრე უშუალოდ თხემზეა გაშენებული და მის კონფიგურაციას ემთხვევა. სიმაგრის სიგრძე 1300 მ-ს აღწევს, სიგანე 70-130 მ-ს შორის მერყეობს.

ნამოსახლარი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენაა წაგრძელებული და რამდენიმე გამოცალებული უბნისაგან შედგება. მათ შორის გამოკვეთილი ადგილი უკავია ერთიან ზღუდეში მოქცეულ ცენტრალურ უბანს. სიმაგრის აღმოსავლეთით და დასავლეთით გაუმაგრებელი უბნებია განთავსებული. შთამბეჭდავია თხემის ცენტრში აგებული კედელი, რომელიც ცენტრალურ უბანს ორ ნაწილად ყოფს. კედლის სიგრძე 100 მ-მდეა, სიგანე 5-6 მ-ია, შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე კი 2,0 მ-ს უდრის. კედელში კარიბჭეა დატოვებული, რომლის ერთ მხარეს კიბეებიანი კოშკი ყოფილა აგებული.

ნაგებობები და დამცავი კედლები აგებულია ბაზალტის დიდი ზომის დაუმუშავებელი ქვებით. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ზედა სიმაგრე ძვ.წ. XIII-XII სს. თარიღდება.

ზედა სიმაგრის ცენტრალური ნაწილის, სამხრეთით, პირველსავე ტერასაზე დიდი ზომის ბაზალტის ქვების მშრალი წყობით ნაგები ციხე-სიმაგრე დგას. სიმაგრე გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა, რომლის სამხრეთ კედელში სამი კოშკია გამართული.

სიმაგრის შიდა სივრცეში ბ. კუფტინმა 1936 წელს ერთი თხრილი გაავლო [Куфтин 1936], რომელიც ოთხ ფენას შეიცავდა: 1. მინის თანამედროვე ზედაპირიდან 0,2 მ სიღრმემდე ჰუმუსური ფენა არქეოლოგიურ მასალას არ შეიცავდა; 2. 0,2-0,45 მ შორის მოქცეულ ფენაში დიდი რაოდენობით წითლად გამომწვარი კერამიკა აღმოჩნდა. აქ აღმოჩენილ ყურმილიანი ჭურჭლის ნატეხს ბ. კუფ-

ტინი სავარაუდოდ შეუა საუკუნეებით ათარიღებს. მასალაზე დაკვირვება ჩვენ გვაფიქრებინებს, რომ ეს ფენა ანტიკურ ეპოქას მიეკუთვნება; 3. მესამე ფენა 0,45-0,8 მ-ს შორისაა. აქ მოპოვებული კერამიკის დიდი ნაწილის კეცი ნაცრისფერია და კარგადაა გამომწვარი. ზედაპირი გაპრიალებულია. ზოგიერთი მათგანი ჭადრაკული ორნამენტითაა შემკული. კერამიკის მეორე ჯგუფის კეცი უხეშია და ობსიდიანის მინარევებს შეიცავს. ამ ფენაში მოპოვებული მასალა ზედა სიმაგრეზე, აგრეთვე სხვა „ციკლოპურ“ ნამოსახლარებზე აღმოჩენილი კერამიკის მსგავსია და ძვ.წ. XIII-XII სს. მიეკუთვნება; 4. მეოთხე ფენა ყველაზე მძლავრია. ის 0,8 მ სილრმეზე იწყება და 1,7 მ-მდე გრძელდება. ამ ფენის ზედა ღონეზე გამოვლინდა დიდი ქვებით ნაგები მძლავრი კედელი, რომელმაც თხრილის უძრავ ფენამდე ჩასვლის საშუალება არ მისცა არქეოლოგებს. ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ კედელი 1,7 მ სილრმემდე დაფიქსირდა, თუმცა მოწითალო-მონაცრისფრო გადამწვარი ფენა უფრო ღრმადაც გრძელდებოდა [Kyftin 1936]. სწორედ ეს ფენაა საფარ-ხარაბას სამაროვნისა და ბეშქენაშენის ნამოსახლარის თანადროული.

ოზნის ნამოსახლარი. საფარ-ხარაბას სამაროვანზე მოპოვებული ჭურჭლების ანალოგიური კერამიკა ბ. კუფტინმა ოზნის „ციკლოპური“ სიმაგრის სამხრეთ ტერასაზე განთავსებული ნამოსახლარის გათხრებისას აღმოაჩინა.

„ციკლოპური“ სიმაგრე მდებარეობს სოფ. ოზნის სამხრეთ-დასავლეთით, მაღალ პლატოზე. ძეგლი ნარმოადგენს კომპლექსს, რომელიც შედგება ცენტრალური ნაწილისაგან (სიმაგრე), მის შიგნით და გარეთ არსებული დასახლებისაგან (ტაბ. XXVIII). სიმაგრე გეგმაში ოთხკუთხა მოყვანილობისაა, რომელსაც დღეისათვის სამი შესასვლელი აქვს. ორი შესასვლელი ჩრდილოეთ კედელშია დატოვებული, ერთი კი დასავლეთის კედელში. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თავდაპირველად კარიბჭე მხოლოდ დასავლეთ კედელში უნდა ყოფილიყო გაჭრილი. სიმაგრის კედლები ნაგებია დაუმუშავებელი ბაზალტის ლიდებით და ე.წ. პერანგული წყობა ახასიათებს. შიდა ტერიტორია მთლიანად ძველ დასახლებას უკავია, სამხრეთ ნაწილში მოწყობილია საქონლის შესარეკი თანამედროვე ბაკი. სიმაგრის ტერიტორიაზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის თიხის ჭურჭლის ნატეხები აიკრიფა.

სიმაგრის აღმოსავლეთით ტერასულად განლაგებულია ძირითადი სამოსახლო, რომელიც თანამედროვე სოფლის ფარგლებშიც შედის.

ცენტრალური გამაგრებული ნაწილის დასავლეთით, ძველი შესასვლელის პირდაპირ, კიდევ ერთი სიმაგრეა გამართული. იგი, თავისი მშენებლობის ტექნიკით, აშკარად განსხვავდება ცენტრალური სიმაგრისაგან. მისი კედლები მთლიანად დიდი ზომის ბაზალტის ქვებითაა ნაგები და ერთმანეთზე მჭიდროდაა მორგებული. ასეთივე ტექნიკითაა ნაგები იმ დასახლების სახლები, რომლებიც მეორე სიმაგრეს სამხრეთიდან ეკვრის და ასევე ტერასულად ეშვება სოფლისაკენ. პირველი და მეორე სიმაგრეების კედლების მშენებლობის ტექნიკის განსხვავება მათი ქრონოლოგიური სხვაობით უნდა აიხსნას.

ბ. კუფტინმა გათხრები სამხრეთი ფერდობის ძირში, მდ. ოზნის წყლის მარცხენა ნაპირზე ჩაატარა, სადაც მტკვარ-არაქსის კულტურის მძლავრი ნამოსახლარი დაადასტურა. აქვე მიაკვლია საფარ-ხარაბაში (ბაიბურთი) გათხრილ სამარხებში აღმოჩენილი ჭურჭლების ანალოგიური კერამიკის შემცველ კულტურულ ფენებს [Kyftin 1948: 35-36]. ჩემი აზრით ამ ფენის თანადროული უნდა იყოს ოზნის მეორე „ციკლოპური“ სიმაგრე.

ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა არქიტექტურა და მშენებლობის ტექნიკა. თრიალეთის ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. III-I ათასწლეული) არქიტექტურა სამი ძირითადი ტიპითაა ნარმოდგენილი: ძელური, თიხის და ქვის.

საქართველოს სამხრეთ მთიანეთში, მათ შორის თრიალეთში ძვ.წ. II ათასწლეულის შეუა ხანებში ძირითად სამშენებლო მასალად დაუმუშავებელი ქვები გამოიყენება. ქვით ნაგებ ძეგლებს შორის განსაკუთრებული ადგილი „ციკლოპურ“ არქიტექტურას უკავია. ნაგებობების მონუმენტურობა და ნამოსახლართა დიდი მასშტაბები აშკარად გამოარჩევს მათ სამხრეთ კავკასიის სხვა

ძეგლებისაგან. საქართველოს „ციკლოპური“ ნამოსახლარებისა და სიმაგრეების ძირითადი და-მახასიათებელი ნიშანია როგორც საცხოვრებელი, ისე დასახლებათა სასიმაგრო კედლების ან ცალკე მდგომი სიმაგრეების დიდი ზომის დაუმუშავებელი ქვებით უდუღაბოდ შენება.

მშენებლობის ამგვარი ტექნიკა სამხრეთ კავკასიაში ძვ.წ. III ათასწლეულიდანაა გავრცე-ლებული, თუმცა უძველეს დასახლებებს „ციკლოპური“ წყობით ნაგები თავდაცვითი კედლები არ გააჩნია. მშენებლობის ეს ტექნიკა ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანების შემდეგ თითქმის აღარ გვხვდება. ქვა გამოიყენება მხოლოდ ნაგებობათა კედლის საფუძვლის გასამართად, რომელზეც ზემოდან აღიზის აგურია დაწყობილი. ამავე დროს წინა პლანზე გამოდის ხის არქიტექტურა. ხე გამოიყენება როგორც კედლის არმირებისათვის, ისე პერანგული წყობისათვის. შემავსებლად გა-მოყენებულია წვრილი ქვა და აღიზის მასა. ამავე დროს იწყება დამუშავებული ქვის გამოყენება.

შუა საუკუნეებში, სამხრეთ კავკასიის მთელ რიგ რეგიონებში სოფლებს და მსხვილ დასახ-ლებებსაც ახასიათებს მშრალი წყობა, მაგრამ არ გააჩნია მშრალი წყობით ნაგები სიმაგრეები ან სასიმაგრო სისტემები. ამდენად, „ციკლოპურ“ ნამოსახლარებსა და სიმაგრეებს მივაკუთვნებთ მხოლოდ იმ ძეგლებს, რომელთაც მშრალი წყობით ნაგები თავდაცვითი კედლები აქვთ.

„ციკლოპურ“ ნამოსახლართა თავდაცვითი კედლები რელიეფს მიუყვება. მშენებლები კარ-გად იყენებდნენ ბუნებრივად გამაგრებულ ადგილებს. ამასთან ერთად, ვაკე ადგილებზე ჭრიდნენ თავდაცვით თხრილებს, კლდოვანი ბორცვების ფერდების ჩამოკვეთით კი ზრდიდნენ სასიმაგრო კედლის სიმაღლეს. იშვიათი გამონაკლისის გარდა, თავდაცვით სისტემებს და მარტივ სიმაგრე-ებს კოშკები არ გააჩნიათ.

ამ ტიპის ნამოსახლარების თარიღის და რაობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. მეცნიერთა ნაწილი [Ханзадян 1969: 23; Есаян 1976: 7-18] მათ წარმოშობას ძვ.წ. III ათასწლეულიდან ვარაუ-დობს. ს. ესაიანის მიერ ჩრდილო-აღმოსავლეთ სომხეთში შესწავლილი „ციკლოპური“ სიმაგრე-ების ნაწილში მხოლოდ ერთი, ძვ.წ. III ათასწლეულის ფენა დადასტურდა [Есаян 1976: 17-18], ამ ეპოქის ფენები თრიალეთში ბეშქენაშენის და თეზის „ციკლოპურ“ ნამოსახლარებზეც გამოვლინ-და [Куфтин 1941: 108, 115, 117; შანშაშვილი, ნარიმანიშვილი 1996]. თუმცა ამ ფენებისა და „ციკლო-პური“ წყობით აგებული სასიმაგრო სისტემების თანადროულობის საკითხის გადაწყვეტა გარ-კვეულ სირთულეს წარმოადგენს.

ბეშთაშენის ნამოსახლარის გათხრების შედეგები მიუთითებენ, რომ ნამოსახლარების „ციკ-ლოპური“ კედლით შემოზღუდვა, როგორც ჩანს, ძვ.წ. XVI-XIV სს-ში იწყება (ბეშქენაშენი). მომ-დევნო ეპოქაში კი „ციკლოპური“ ტექნიკით ნამოსახლარებისა და სიმაგრეების შენება დიდ მას-შტაბებს აღწევს [შანშაშვილი, ნარიმანიშვილი 1996; ნარიმანიშვილი, მახარაძე და სხვ. 1996; ნა-რიმანიშვილი, შანშაშვილი 1997; შანშაშვილი, ნარიმანიშვილი 1998; ხანვარი 1969; ესაიან 1976; ჩარიმანიშვილი, შანშაშვილი 2000; Narimanishvili, Shanshashvili 1997; Narimanischvili, Schanscha-schvili 2001; Narimanishvili, Shanshashvili 2001a].

დღეისათვის, თრიალეთის პლატოზე გათხრილი „ციკლოპური“ ნამოსახლარების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ამ ტიპის ძეგლები ძვ.წ. XVI საუკუნიდან არსებობენ (ბეშქენაშენი), ძვ.წ. XIII-VII საუკუნეში კი გაბატონებულ მდგომარეობას იყავებენ (საბეჭდავი, კნოლე, ცრიცი, ბარე-თი, ახალდაბა, ლოშო, სომხეთის ძეგლები).

სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე გამოვლენილ „ციკლოპურ“ ნამოსახლარებზე და სიმაგ-რეებზე ჩატარებული სამუშაოები და გამოკვლევები ნათლად მიუთითებენ, რომ ძვ.წ. XVI-V სს-ში ამ ტიპის ძეგლებს სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში გაბატონებული ადგილი უკავია. მათი უმეტესობა ძვ.წ. XIII-VIII სს. მიეკუთვნება. ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნა-ხევარსა და ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში მათი მშენებლობა ინტენსიურად მიმდინა-რეობს.

„ციკლოპურ“ ნამოსახლარებზე დაფიქსირებული განსხვავება მათ იერარქიაზე მიუთითებს, რაც აშკარად გვიჩვენებს საზოგადოების რთულ სტრუქტურასაც. თრიალეთში შესწავლილ „ციკ-

ლოპურ“ ნამოსახლარებზე (უნიკლო, ბარეთი, საბეჭდავი, ახალდაბა, კნოლე) წარმოდგენილია სიტუაცია, როდესაც გვაქვს ციტადელი, ან რამდენიმე გამაგრებული ნაწილი, მათ გარშემო არსებული გაუმაგრებელი ან ნაკლებად გამაგრებული დასახლება. უმეტეს შემთხვევაში ციტადელის გარეთ არსებული ნაკლებად გამაგრებული ნამოსახლარი მძლავრი კედლებითაა გამოყოფილი ციტადელისაგან, თვით ციტადელი კი ორ ან სამ ნაწილადაა გაყოფილი (საბეჭდავი, კნოლე, უნიკლო, ახალდაბა, კოხაჯი). ახალდაბაში ციტადელი ორ, ერთმანეთისაგან აბსოლუტურად იზოლირებულ ნაწილადაა გაყოფილი, რომელთაც დამოუკიდებელი შესასვლელები აქვთ. სიმაგრის გარეთ არსებულ დასახლებასთან მხოლოდ ციტადელის ერთი ნახევარია დაკავშირებული. ეს ფაქტი, შეიძლება, არა მხოლოდ სამოქალაქო, არამედ სამხედრო იერარქიაზეც მიუთითებდეს.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ციკლოპური“ ციხე-სიმაგრეების ძირითადი ფუნქცია სამხედრო კონტროლი და სუსტად გამაგრებული თუ გაუმაგრებელი პუნქტების მოსახლეობის და დოვლათის დაცვა იყო.

დიდი „ციკლოპური“ დასახლებები რთულ კომპლექსებს წარმოადგენს. მათი ძირითადი მასასიათებელი ნიშანია მძლავრი გალავანი და ციტადელი, რეგულარულად დაგეგმარებული საცხოვრებელი კვარტლები. ისინი, როგორც წესი, რამდენიმე გამაგრებულ მონაკვეთს (საბეჭდავი, თეზი, ლოშო), ან ერთიანი გალავნის შიგნით მოქცეულ გამაგრებულ მონაკვეთებს (უნიკლო, ბარეთი, ახალდაბა) შეიცავნ და ცენტრალური, ერთიანი დაგეგმარების პრინციპით არის აშენებული. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები ძირითადად გალავნის შიგნითაა მოქცეული. გალავნის გარეთ დასახლების გაჩენა, როგორც ჩანს, ოდნავ მოვიანოდ ხდება, მაშინ როდესაც მოსახლეობა გალავნის შიგნით ვეღარ ეტევა ან არასტაბილური მდგომარეობის გამო გამაგრებული ადგილის სიახლოვეს სახლდება. შიდა ციხის არსებობა კი მმართველი ფენის საზოგადოების დანარჩენი ნაწილისაგან გამოყოფის მანიშნებელია. „ციკლოპურ“ ნამოსახლართა დაგეგმარების პრინციპები ურბანიზაციის მაღალი დონის მაჩვენებელია, რაც ცივილიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია.

დიდი „ციკლოპური“, მრავალფენიანი დასახლებები (ბეჭენაშენი, თეზი, ლოშო, ბარეთი) სტრატეგიულ ადგილებში, თრიალეთიდან მეზობელი რაიონებისაკენ მიმავალ ძირითად გზებზე მდებარეობს. მხოლოდ ამ ძეგლებზე შეინიშნება ცხოვრების ხანგრძლივი კვალი. ყველა მათგანზე (გარდა ბარეთისა) მტკვარ-არაქსული ფენებიცაა დადასტურებული. შუაბრინჯაოს ხანის ფენები კი, თითქოს მხოლოდ ბეჭენაშენის ნამოსახლარზე შეინიშნება, ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ყველა მათგანი ინტენსიურადაა თავისებული. ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოსათვის ზოგიერთი მათგანი (მაგ. ცრიცი) არსებობას წყვეტს, სამაგიეროდ ჩნდება ახლები (მაგ. კნოლე).

ცალკე მდგომი სიმაგრეები, როგორც ჩანს ფორმოსტებს წარმოადგენდა, იცავდა რა ერთ გარკვეულ მონაკვეთს, იმავდროულად „ციკლოპური“ ძეგლების გავრცელების მთელ ტერიტორიაზე გზებსაც აკონტროლებდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ცალკე მდგომი სიმაგრეები ცენტრალური ხელისუფლების მიერ შექმნილ თავდაცვის სისტემაში იყო ჩართული, რომელსაც აღბათ უფრო მნიშვნელოვანი ფუნქციები ჰქონდა ვიდრე ერთი, კონკრეტული რეგიონის დაცვა იყო.

სამარხთა აღნაგობა და დაკრძალვის წესი. საფარ-ხარაბას და იმერას სამაროვანებზე გათხრილი ყველა სამარხი ორმოსამარხს წარმოადგენს (ტაბ. VI_{8,10}; VII₆₋₈; VIII₃). დასაკრძალავი კამერები შემოფარგლულია ბაზალტის დიდი ქვებით შედგენილი წრეებით (კრომლეხებით), რომელთა დიამეტრი 4-18 მ შორის მერყეობს (ტაბ. III₁₋₄; IV₁₋₄; V₁₋₆; VI₁₋₄). კრომლეხების შიდა სივრცე, უმეტეს შემთხვევაში რიყის წვრილი ქვითაა შევსებული (ტაბ. III₁; V₁₋₃; VI₃). ზოგ შემთხვევაში ასეთივე ქვებითაა დაფარული კრომლეხის ქვებიც. გვხვდება ისეთი კრომლეხიანი სამარხებიც, სადაც რიყის ქვის ყრილი მხოლოდ სამარხი კამერების თავზეა გამართული (ტაბ. II₃; III₂). უშუალოდ ამ ქვაყრილების ქვეშა მოქცეული სამარხი ორმოს გადახურვის კონსტრუქციები (ტაბ. VI_{2,4}). სამარხი კამერები ბაზალტის სხვადასხვა ზომის ფილებით (ტაბ. VI_{1,5,6}) ან ხის ძელებითაა (ტაბ. VI₇₋₁₀) გადახურული.

კრომლებების ცენტრში ჩვეულებრივ ერთი სამარხი კამერაა მოწყობილი. გამონაკლისს წარმოადგენს № 67 და № 68 სამარხი (ტაბ. VIII₁), რომლებიც ერთი კრომლების შიგნითაა გამართული. საყურადღებოა, რომ ორივე სამარხი ერთდროულად ჩანს გამართული. ამაზე უნდა მიუთითებდეს ის ფაქტი, რომ სამარხი ორმოები კრომლების ცენტრში კი არ არის გაჭრილი, არამედ წრის შიგნით სიმეტრიულადაა განლაგებული (ტაბ. VIII₂). № 67 სამარხში ახალგაზრდა ქალია დაკრძალული, № 68 სამარხში კი სხვადასხვა ასაკის ოთხი ბავშვი (ტაბ. VIII₃).

სამარხი კამერები ყვითელ თიხნარშია გაჭრილი. მათი უმეტესობა კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხედის ($2,0 \times 1,2$ მ) ფორმისაა (ტაბ. VI₉; VII_{1,2}; VIII₃; XI_{1,3-5}). სამარვანზე გათხრილი 109 სამარხიდან მხოლოდ ოთხს (№№ 10, 23, 30, 90; ტაბ. VII_{3-5,8}) განსხვავებული ფორმა აქვს. ისინი ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზეა წაგრძელებული და სიგრძეში 5-6 მ-ს აღწევენ. ეს სამარხები იმითაც გამოირჩევიან, რომ იქ დაკრძალული მიცვალებულები ხის სარეცელზე (№№ 10, 23, 90 სამარხები) არიან დასვენებულები (ტაბ. VII_{3,6}; XXV₁₋₃) ან ურმის ნაწილები (სამარხი № 30) აქვთ ჩატანებული (ტაბ. XXV₄₋₆; XXVI₁₋₃).

სამარხი კამერები ძირითადად ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზეა დამხრობილი (შეინიშნება მცირე გადახრებიც (ტაბ. IV_{1,4}; V₁₋₆; XI_{1,3-5}; XVII₇; XXV₁). მიცვალებულები დასვენებულია ხელ-ფეხ-მოკეცილი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე (ტაბ. XXV_{2,3}), თავით ჩრდილოეთით (ტაბ. VII_{3,5,8}). სამარხებში თითო მიცვალებულია დაკრძალული. გამონაკლისს წარმოადგენს № 6 (ორი მიცვალებული) და № 68 (ოთხი მიცვალებული) სამარხები, სადაც მცირენლოვანი ბავშვებია დაკრძალული (ტაბ. VIII₃).

მიცვალებულთა ჩონჩხები უმეტეს შემთხვევაში შავი ფერის მკვრივი მასითაა დაფარული (ტაბ. VII₁; X₂; XI_{1,3-5}). ასეთივე მასა დაფიქსირებულია ჩონჩხის ქვეშაც. ეს ფენა სწორი გეომეტრიული ფორმებით გამოირჩევა და წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმა აქვთ. ამ ფენის სისქე 0,2-0,4 მ-ს აღწევს და დიდი რაოდენობით შეიცავს ხის ნაშთებს. აქვე შეინიშნება ტყავის ანაბეჭდებიც. როგორც ჩანს, სამარხებში ტყავით გადახურული, ხის სუსტი კონსტრუქციები იყო გამართული, რომლებიც სამარხი კამერის სახურავის ჩაქცევის შემდეგ უფორმო მასად იქცა. მიცვალებულების ქვეშ შავი მიწის ფენა ართიკის სამარვანზეც დადასტურდა, რომელიც ხისა და ქსოვილის ნაშთებს შეიცავდა. № 89 სამარხში ჩასვენებულ მიცვალებულს ქსოვილი ჰქონდა გადაფარებული [Хачатрян 1975: 139 ; Хачатрян 1979: 7].

მიცვალებულისათვის განკუთვნილი ინვენტარი გარკვეული კანონზომიერებით არის განაწილებული. სამარხეული კერამიკა (თითოეულ მიცვალებულს 1-8 ჭურჭელი აქვს ჩატანებული) ძირითადად სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში, მიცვალებულის თავის ქალასთანაა განლაგებული (ტაბ. VIII₅₋₈), საბრძოლო იარაღი სახის წინ უწყვია (ტაბ. XVII_{3,5,7}), ბრინჯაოს საკინძები ყელის, მძივ-სამკაული კი გულ-მკერდის არეში ფიქსირდება. სარდიონის მძივების ასხმები მაჯებზე და ტერფებზეც გვხვდება.

მიცვალებულისათვის ჩატანებული მსხვილფეხა ან წვრილფეხა საქონლის ნაშთები ყველა სამარხში გვხვდება (ტაბ. VII₆₋₈; VIII₅). ისინი, ცალკეული ნაწილების სახით, დაწყობილია სამარხის იატაზზე. ზოგიერთ სამარხში (№№ 1, 2, 30, 90) აღმოჩენილია ცხვრის ან თხის მთლიანი ჩონჩხები (ტაბ. VIII₆), რომელთა ყელის არეში დაუმუშავებელი ობსიდიანის ანატკეცები ანყვია. აღაპის ნაშთებს შეიცავენ ჭურჭლებიც.

გარკვეული რიტუალია შესრულებული კრომლების გარეთაც (ტაბ. IV_{3,4}; V_{4,6}; VI_{3,4}). სარიტუალი (სააღაპე) ორმოები განლაგებულია სამარხი კამერების ჩრდილოეთით, რომლებიც უშუალოდ კრომლების ქვებზეა მიღებული გარედან. ისინი წარმოადგენს მცირე ზომის ორმოებს ($0,4 \times 0,5$ მ; $0,6 \times 0,8$ მ). მათი ნაწილი გადახურულია ქვის ფილებით, ან მონიშნულია წვრილი ქვების ყრილით. ასეთი ორმოების მცირე ნაწილს ზევიდან არანაირი ნიშანი არა აქვს. ორმოებში მხოლოდ თიხის ჭურჭელია ჩადგმული (3-5 ერთეული), რომელთა ნაწილი საქონლის ძვლებითაა შევსებული. ჭურჭლების ნაწილს ქვის სარქველი ეფარა.

სხვადასხვა ფორმის ჭურჭლებში სხვადასხვა სახის საიქიო საგზალია მოთავსებულია. დიდი ზომის ქოთნებში ახლად მოხარშული საკვები ქვის სარქეელით იხურებოდა და ისე იდგმებოდა სა-მარხში. ასეთ ჭურჭლებში მხოლოდ ხორცეულით მომზადებული კერძები გვხვდება. შედარებით მცირე ზომის ქოთნებში მხალეული და ფაფები ყოფილა მოთავსებული; ბადიებში თაფლი ესხა, ან თხილი და კაკალი ენყო [ყვავაძე 2004; ყვავაძე 2005]. საკვებით სავსე ჭურჭლები ჩაწყობილია რო-გორც სამარხში, ისე სარიტუალო ორმოებში.

სამარხეული ინვენტარი.

კერამიკა. სამარხეული ინვენტარი ძირითადად თიხის ჭურჭლითაა წარმოდგენილი. ისინი მრავალრიცხოვნებითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ყველა ჭურჭელი, ერთის გარდა (ტაბ. XIV₁), უყუროა. ჭურჭლების ერთი ჯგუფი განლექილი თიხისაა, ჩარხზეა დამზადებული და თხელკედლიანია, გამომწვარია შავად (ტაბ. XII; XIV; XV). ასეთი ჭურჭლების ზედაპირი გაპრია-ლებულია და შემკულია ამოღარული და ნაპრიალები ორნამენტით. მეორე ჯგუფის ჭურჭლებიც ჩარხზეა დამზადებული (ტაბ. XIII; XVI), მსხვილმარცვლოვანი თიხისაა, კეცის ზედაპირი მოყავის-ფრო-რუხია, შიდაპირი შავი. ჭურჭლების ზედაპირი შემკულია რელიეფური სარტყლებით (ტაბ. XIII_{7,9,11,13}; XVI_{9,10,12,13}). ასეთივე ორნამენტი ხშირად ძირზეცაა დატანილი (ტაბ. XVI). ასეთი ჭურჭლე-ბი უმეტესად დიდი ზომისაა. ყველა მათგანს ცეცხლის კვალი ეტყობა. ისინი საქონლის ძვლები-თაა შევსებული. მესამე ჯგუფის ჭურჭლები უხეშკეციანია, ხელითაა ნაძენი, ცუდად გამომწვარი და შლადია.

საფარ-ხარაბას სამაროვანზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭლებიდან აღებული ნიმუშების პალი-ნოლოგიური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ყოფაში სხვადასხვა სახის, როგორც ცხოველურ (მსხვილფეხა საქონელი, ბატკანი ან ციკანი), ისე მცენარეულ (წაბლი, თხილი, კაკალი, ხორბალი, ნინიბურასნაირი მცენარეები, ნაცარქათამა, ჭინჭარი) საკვებს იყენებდნენ. საკვების დასამზა-დებლად იყენებდნენ ცხოველურ ცხიმს, სანელებლებად კი ქოლგოსან მცენარეებს.

კვების რაციონი საკმაოდ მრავალფეროვანი ჩანს. მაგ. № 10 სამარხში ნაპოვნ ქილაში თაფლი აღმოჩნდა; № 25 სამარხის დერგში ხორბალი, თხილი, ცაცხვის მტვერი; № 28 სამარხის იატაკზე, დამწვარ ნიადაგში, დიდი რაოდენობით გამოვლინდა ხორბალი, ჭვავი და სხვა სათესი კულტუ-რები, ჭინჭარი; აქვეა რცხილის, ცაცხვის, მუხის და წიფლის მტვრის ნაშთები. № 29 სამარხის ქო-თანში ღვიის დამწვარი ნაშთები და მტვრის მარცვლები იქნა აღმოჩენილი; პირფართო ქოთანში ცხოველური ცხიმი, დიდი რაოდენობით ხორბალი, ნათესების სარეველები და საძოვრის ბევრი ელემენტი. № 30-ე სამარხის თიხის ჭურჭელში მსხვილფეხა საქონლის ძვლები, ცხოველური ცხი-მი, დიდი რაოდენობით ხორბალი და ქოლგოსანი მცენარეები (სანელებლები) აღმოჩნდა [ყვავაძე 2004; ყვავაძე 2005]. ჭურჭელს აშკარად ეტყობა ცეცხლის კვალი. როგორც ჩანს, ჭურჭელი საჭ-მლის მომზადებისთანავე ჩადგეს სამარხში. ქოთანზე გამოსახული სვასტიკები კი მის საკრალუ-რობაზე მიუთითებს, ხოლო შიგთავსი გარკვეული სარიტუალო საკვების მომზადებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

საფარ-ხარაბას სამაროვანზე აღმოჩენილი შინაური ცხოველების ძვლების პალეოზოოლოგი-ური გამოკვლევა [ბენდუქიძე 2005] მესაქონლეობის (ძროხა, თხა, ცხვარი, ღორი), ხოლო პალინო-ლოგიური კვლევა მარცვლეული კულტურების (ხორბალი, ჭვავი) განვითარებაზე მიუთითებენ.

საბრძოლო იარაღი.

სატევარი მხოლოდ სამ სამარხში (№№ 8, 13, 85) აღმოჩნდა (ტაბ. XVII₃₋₈). № 13 სამარხში, მიც-ვალებულის სახის წინ ე.წ. წინააზიური ტიპის სატევარი იდო (ტაბ. XVII₇). მისი საერთო სიგრძე 0.494 მ-ია, პირი სამკუთხა ფორმისაა (ტაბ. XVII₄; XVIII₇), ტარის (სიგრძე 0.105 მ) ჩარჩოში ჩასმულია ხის თხელი ფირფიტები (ტაბ. XVII₅).

ასეთი სატევრები სამხრეთ კავკასიის სხვადასხვა პუნქტშია აღმოჩენილი და ძირითადად ძვ.წ. XV-XIV სს. თარიღდება [Пилипосян 1999: 52, 61, ტაბ. 6; მიცხელაური 1979: 79-81]. მოკლე სატევრე-ბიც ბრინჯაოსია. ერთ მათგანს (სამარხი № 8) წაგრძელებული პირი აქვს (სიგრძე 0.215 მ, სიგანე

ვადასთან 0.047 მ; ტაბ. XVII₃; XIX₈), მეორე (სამარხი № 85) მისი ანალოგიურია, მხოლოდ უფრო მოკლე პირი (სიგრძე 0.13 მ, სიგანე ვადასთან 0.06მ) და ძვლის ტარი აქვს (ტაბ. XVII_{6,8}; XVIII₁; XIX₄).

კაპარჭი აღმოჩნდა № 8 სამარხში (ტაბ. XVII_{1,3}). კაპარჭი დამზადებულია ხის თხელი ფიცრებისაგან რომელსაც გარედან ტყუავი აქვს შემოკრული (ტაბ. XVIII₉). კაპარჭის ზედაპირი შემკულია ბრინჯაოს თხელი ფირფიტებით (ტაბ. XVIII₁₀₋₁₂). ამ ფირფიტებზე ჩატარებული მიკრორენტგენოსკექტრული ანალიზის მიხედვით დადგინდა, რომ ბრინჯაოს დეტალების მაღევირებელი ელემენტი კალა იყო.

კაპარჭის პირიდან 0.15 მ-ის დაცილებით შავი, მომრგვალებული ლაქა აღმოჩნდა რომელსაც წნული, თოვისებური ბორდიური შემოსაზღვრავდა. კაპარჭში 8 ისარი ყოფილა ჩადებული (კაპარჭის პირთან, სამხრეთის მიმართულებით, იდო 7 ისრისპირი – 6 ობსიდიანის და ერთი კაჟის, ხოლო კაპარჭის ბოლოსთან – ერთი ობსიდიანის ისრისპირი. კაპარჭის მთელ სიგრძეზე აღმოჩნდა ისრის ხუთი ზრო. კაპარჭის სიგრძე 0.51 მ-ია, მაქსიმალური სიგანე 0.17 მ-ს აღწევს. ზროს სიგრძე 0.38 მ-ია (ტაბ. XVIII₆).

კაპარჭის შესამკობელი ფირფიტები აღმოჩენილია თრელის № 74 სამარხში [აბრამიშვილი 1978: 62, ნახ. 28], რომელიც შუა ბრინჯაოს ხანისადმია მიკუთვნებული [აბრამიშვილი 1978: 55], თუმცა აღნიშნულია, რომ „№ 53 და № 74 სამარხები შუაბრინჯაოს ხანის სამარხთა შორის ყველაზე გვიანდელის შთაბეჭდილებას ტოვებენ“ [აბრამიშვილი 1978: 59]. ეს სამარხი ძვ.წ. XV ს-თაა დათარიღებული [აბრამიშვილი 1978: 68]. კაპარჭის ფრაგმენტები აღმოჩნდა ზემო ბოდბის №4 ყორდანში [Пицхелаури 1979: 83, ტაბ. VI₃₋₇], რომელსაც კ. ფიცხელაური უშუალოდ გარდამავალ პერიოდს მიაკუთვნებს [Пицхелаури 1979: 69] და ძვ.წ XV ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. XIV ს-ის პირველი ნახევრით ათარიღებს [Пицхелаури 1979: 80].

ისრისპირები ორ სამარხში (სამარხი № 8, ტაბ. XVIII₁₃; სამარხი № 85, ტაბ. XVII₂; XVIII₁₄) აღმოჩნდა. № 8 სამარხში 10 ც., № 85 სამარხში კი 30 ისრისპირი დაფიქსირდა (ტაბ. XVIII₁₃). № 8 სამარხში ისრისპირები ეწყო კაპარჭში, № 85 სამარხში კი მიცვალებულის მაჯაზე.

ისრისპირები დამზადებულია შავი ფერის გამჭვირვალე ობსიდიანისა და მოწითალო მოყავისფრო ან რუხი-მოთეთრო ფერის კაჟისაგან (ტაბ. XIX₂₁). განსაკუთრებით აღსანიშნავია № 8 სამარხში აღმოჩენილი ისრისპირი (ტაბ. XVIII₂; XIX₉), რომელსაც განსხვავებული ფორმა აქვს.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლანცეტისებური იარაღების აღმოჩენის ფაქტი, რაც ასევე უნიკალური შემთხვევაა კავკასიის არქეოლოგიისათვის. ორი ასეთი ნივთი № 8 სამარხში დაფიქსირდა. მათ ბრინჯაოს თხელი პირი, ოთხწახნაგა, ბოლოსკენ დავიწროებული ყუნწი და ლულოვანი ძვლის ტარი აქვთ (ტაბ. XVIII_{8,9}).

ლანცეტისებური იარაღები შეიძლება სკალპელები იყოს და სამედიცინო ინსტრუმენტებს ნარმოადგენდეს.

სამკაული. სამროვანზე ბრინჯაოს ორი სამაჯური (სამარხი №№ 56, 119; ტაბ. XVIII₃; XIX₁₀) და სამი საკინძი (სამარხი №№ 18, 73, 56; ტაბ. XVIII₄₋₅; XIX₅₋₇) აღმოჩნდა. მრავალფეროვნებით გამოირჩევა მძივები. გვხვდება მრგვალი, კასრისებური, ბიკონუსური, ბრტყელი და ცილინდრული ფორმის მძივები, რომლებიც დამზადებულია სარდიონის, მინის, პასტისა და ბრინჯაოსაგან (ტაბ. XIX_{11-20;22-25}). მძივების ასხმაში გვხდება ოქროს ფირფიტებისაგან დამზადებული მილაკის ფორმის მძივებიც (ტაბ. XX₉₋₁₁; XXIV₁₉₋₂₅).

საბეჭდავი. სამაროვანზე რამდენიმე სხვადასხვა ფორმის საბეჭდავი იქნა აღმოჩენილი: სამი მათგანი ოთხკუთხაა (ტაბ. XXII₁₀₋₁₂; XXIV₂₋₄), ოთხი ცალი წრიულია (ტაბ. XXII_{5,6,8,9}; XXIV₁₂₋₁₅), ერთი ცალი სამკუთხაგანივეტიანია (ტაბ. XX₇; XXIV₁₁), 7 ცალი კი ცილინდრულია, რომელთაგან 5 გეომეტრიული ორნამენტითაა შემკული (ტაბ. XX_{1,2,5,6}; XXII₁₃₋₁₄; XXIV₆₋₁₀), ორზე კი სიუჟეტია გამოსახული (ტაბ. XXII_{1,2}; XXIV_{1,5}).

№ 27 სამარხში აღმოჩენილ ცილინდრულ საბეჭდავზე გამოსახული თევზები ორ რიგადაა განალებული (ტაბ. XXII₁; XXIV₅). ანალოგიური საბეჭდავები გავრცელებული იყო სირიაში (რას-შამ-

რა) ძვ.წ. XVI-XIV სს-ში და მითანიური გლიპტიკის ე.წ. „Common Style“-ს ეკუთვნის [Salje 1990: 66, ტაბ. VII₁₃₆₋₁₃₈]. საინტერესოა, რომ ამგვარი სიუჟეტი და სტილი ტიპიური იყო ჯემდეთ-ნასრული (ძვ.წ. 3000-2800 წწ.) საბეჭდავებისათვის [Afanasyeva 1979: ტაბ. IV]. ასეთი საბეჭდავები, ამულეტების სახით, დიდხანს იყო ხმარებაში. ცნობილია შემთხვევები, როდესაც ჯემდეთ-ნასრული საბეჭდავები აღმოჩნდა ახალბაბილონური და პართული ხანის სამარხებში. ახალასირიულ საბეჭდავს, როგორც თილისმას, XIII საუკუნეში ერთ-ერთი სელჯუკი სულთანი ატარებდა [Boehmer 1997: 23, 24, 33].

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს № 5 სამარხში აღმოჩენილი ცილინდრული საბეჭდავი (ტაბ. XXII₁, XXIV₁). საბეჭდავზე გამოსახულია მამაკაცის ფიგურა, რომელსაც მოკლე ტუნიკა და წაწვეტებული თავსაბურავი ახურავს. მამაკაცს ხელში უკავია კვერთხი, რომელის თავი სხივიან ვარსკვლავს წარმოადგენს. ფიგურა მუხლმოდრეკილია საკურთხევლის ნინ, რომელზეც ჯიხვი დგას (ტაბ. XXII_{3,4}). თემატურად ეს საბეჭდავი სამხრეთ კავკასიის ძვ.წ. II ათასწლეულით დათარიღებულ სხვა საბეჭდავების (მინგეჩაური, რაზდანი, შახტატი, შამირამი), ასევე ნუზისა და გეზერის საბეჭდავების მსგავსია [Пиблипосяи 1998: ტაბ. 34, 35, 41]. ყველა ამ საბეჭდავზე გამოსახულია მამაკაცის ფიგურა, ზოგჯერ მუხლმოდრეკილი, რომელსაც ხელში ვარსკვლავის ან მცენარის თავიანი კვერთხი უჭირავს. მის ნინ, საკურთხეველზე ან შემაღლებაზე ჯიხვი დგას. ნუზის ერთ-ერთ საბეჭდავზე, ცენტრალური ფიგურის ზემოთ თევზების რიგია გამოსახული. რაზდანში, მინგეჩაურში და გეზერში აღმოჩენილ საბეჭდავებზე, ჯიხვის ზემოთ ტალღოვანი ორნამენტია გამოსახული. ყველა ეს საბეჭდავი, ისევე როგორც № 27 სამარხში აღმოჩენილი, მითანიური გლიპტიკის წრეში ექცევა და „Common Style“-ს მიეკუთვნება. ისინი გავრცელებული იყო ლევანტსა და მესოპოტამიაში [Salje 1990: 34, ტაბ. IV-VI].

საფარ-ხარაბას საბეჭდავის იკონოგრაფია ხური-მითანიური საბეჭდავების იკონოგრაფიის მსგავსია. გამოსახულებაც ხურიტულ მითოლოგიასთანაა დაკავშირებული. ჩვენი აზრით, საკურთხეველზე შემდგარი ჯიხვი უძველესი მესოპოტამიური ღვთაება ეა-ს გამოსახულებას წარმოადგენს, რომელიც ხურიტულ პანთეონში უკვე აქადურ პერიოდში მოხვდა. ეა-ენქის უძველეს გამოსახულებას ზოგჯერ თევზისკუდიანი ჯიხვი წარმოადგენს. ეა-ენქი ქვესკნელის მტკნარი ოკეანის (აბზუ) მბრძანებელი იყო. იგი სიბრძნეს, ჯადოსნობას განასახიერებდა. ხურიტულ ნაწარმოებში „სიმღერა ულიქუმიზე“ ეა-ს ეპითეტია *hassiss* (აქადურად *hasisu* - სიბრძნე) [Вильхельм 1992: 95].

კავკასიის ტერიტორიაზე 13 ცილინდრული საბეჭდავია აღმოჩენილი, რომლებზეც სიუჟეტური გამოსახულებაა მოცემული. ყველა მათგანი მითანური გლიპტიკის „Common Style“-ს მიეკუთვნება და ძვ.წ. XVI-XIV სს-შია გავრცელებული [Погребнова 2000: 145-150] და ხური-მითანის სამეფოს ძლიერების ხანას ემთხვევა.

გარდა ზემოთ აღნიშნული საბეჭდავისა, საფარ-ხარაბას სამაროვანზე სხვა ცილინდრული, ოთხკუთხა და სკარაბეოიდის ტიპის საბეჭდავებიც აღმოჩნდა, რომლებიც იმპორტს წარმოადგენს. იმპორტულია მინის მძივებიც. ლურჯი მინის ერთ-ერთი „სკარაბეოიდი“ ადამიანის სახიანია (ტაბ. XXII₇, XXIV₁₆), რაც არაა უჩვეულო ეგვიპტური სკარაბეოიდებისათვის. მსგავსი ეგზემპლარები ინახება ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში [Бадж 2001: 243].

ეგვიპტურ იმპორტს უნდა წარმოადგენდეს პირამიდისებური ქვებიც. მათ წაკვეთილი პირამიდის ფორმა აქვთ, ფართო ფუძიდან გაკეთებული ნახვრეტი გამჭოლი არ არის (ტაბ. XXIII₄₋₆). გარდა ამისა № 8 სამარხში აღმოჩნდა სხვადასხვა ფორმისა და ჯიშის ქვები (ტაბ. XXIII). ამ ფორმის და ზომის ქვები აღმოჩენილია ტუტანჰამონის სამარხში. ისინი „პირის გაღების“ რიტუალში გამოიყენებოდა. მსგავსი ინსტრუმენტები ეგვიპტის ძველ სამეფოშიც იგივე მიზნით იხმარებოდა [Hagen 2002: 160].

ნარჩინებულ პირთა („სამეფო“) ინსიგნიების შესწავლისათვის. სამაროვანზე აღმოჩენილი ლითონის ნივთებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სახელისუფლებო ემბლემა-ინსიგნიები.

კვერთხისმაგვარი ნივთი აღმოჩნდა № 8 სამარხში. დამზადებულია ბრინჯაოსაგან, აქვს T-ს მაგვარითავი და გრძელი გრეხილი ღერო, რომელიც კაუჭით ბოლოვდება. თავის შუა ნაწილი შეს-ქელებულია, გახვრეტილია და მასში ჩამაგრებულია ღერო. ღერო ზედა ნაწილში მრგვალგანივ-კვეთიანია (0.03-0.35 მ-ის სიგრძეზე) შემდეგ ის ოთხკუთხაგანივკვეთიანი ხდება და თავიდან 0.045 მ-ის შემდეგ დაგრეხილია. გრეხილი ღეროს ოთხკუთხაგანივკვეთიანი ბოლო მორკალულ წვეტი-ან კაუჭში გადადის (ტაბ. XIX₁₋₂). საერთო სიგრძე – 0.62 მ-ია, გატეხილია ორად. ნივთის თავი ჭურ-ჭლის პირზე იდო, კაუჭის წვერი კი თავის ქალას კეფაზე ჰქონდა მიდებული (ტაბ. XVII₃).

ნარჩინებული პირის ნიშანია № 85 სამარხში აღმოჩენილი კვერთხისთავიც. იგი მასიური ბრინ-ჯაოსია. ნახვრეტში შემორჩენილი ხის ნაშთი მიუთითებს, რომ კვერთხს ხის ტარი ჰქონდა (ტაბ. XIX₆; XXI₁).

სამხრეთ კავკასიაში გათხრილ ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე აღმოჩენილი ნივთების მთელი წყება საკულტო-სარიტუალო, სამეურნეო თუ საბრძოლო ინვენტარად მოიაზრება. ამ ნივთების ნაწილი, როგორც ჩანს, სახელისუფლებო ემბლემებს ნარმოადგეს, თუმცა ეს საკითხი სპეცია-ლური კვლევის საგანი არ გამხდარა. არქეოლოგიურ ლიტერატურაში ხშირადაა მოხსენიებული კვერთხისთავები (ბელადის კვერთხი). თუმცა არც ისინია შესწავლილი სათანადოდ. კვერთხის-თავების მრავალფეროვნება ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური დანაწევრების საშუალებას იძ-ლევა, რაც შეიძლება მათი ატრიბუციის (კონკრეტული დანიშნულების) საფუძველიც გახდეს.

საფარ-ხარაბას სამაროვნის № 8 სამარხში აღმოჩენილი სახელისუფლებო ემბლემის უახლო-ესი პარალელი აქვე, თრიალეთშია აღმოჩენილი [Нариманишвили 2005].

ნალკის რაიონის სოფ. ავრანლოს ტერიტორიაზე 2003 წელს ადგილობრივმა მოსახლემ მიაკ-ვლია და გათხარა სამარხი, რომელიც კერამიკასთან ერთად ბრინჯაოს ინვენტარსაც შეიცავდა. სამაროვანი, სადაც სამარხი აღმოჩნდა, სოფლის დასავლეთ ნაწილში, მდ. ქციის მარცხენა ნაპირ-ზეა გამართული (აქ ჯერ კიდევ ბ. კუფტინს აქვს ჩატარებული მცირე მასშტაბის გათხრები). დრო-დადრო ადგილობრივი მოსახლეობა, საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავების დროს გამოვლენილ სამარხებს თხრის. ამ ნივთების უმრავლესობა დღეს თრიალეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში ინახება).

ავრანლოში 2003 წელს აღმოჩენილ სამარხეულ ინვენტარში (აღმოჩენის შესახებ დაწვრილე-ბით იხ. აქვე, გ. ნარიმანიშვილი, ჯ. ა. ამირანაშვილი, მ. კვაჭაძე, ნ. შანბაშვილი - ავრანლოს არქეო-ლოგიური ძეგლები) განსაკუთრებით გამოირჩევა ბრინჯაოს ნივთების კომპლექსი – კაუჭი, სალ-ტე და ხარის თავის ქანდაკება (ტაბ. XIX₃; XXI₄₋₆). ნივთები, რომელთაც კაუჭისმაგვარი დაბოლოება აქვთ, ადრეც იყო აღმოჩენილი სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე (მაგ. უხეში კაუჭები, რომლე-ბიც სამეურნეო დანიშნულების ნივთებად ითვლება), მაგრამ ასეთი მაღალმხატვრული ნიმუში პირველად იქნა დადასტურებული. მიმართია, რომ იგი მაღალი სახელისუფლებო რანგის მოხელის ინსიგნიას ნარმოადგენს.

კაუჭისმაგვარი კვერთხი ძველ ეგვიპტეში ოსირისის სიმბოლოს ნარმოადგენდა. იგი მწყემსის ჯოხის (კომბალი) აღმნიშვნელი იყო [Египетская мифология 2002: 72]. მოგვიანებით ამგვარი ნივ-თი ფარაონების სიმბოლოც გახდა. ასეთი (ამ ფორმის) ნიშანი ძველ ეგვიპტეში სიტყვას „მართვა“ (“ბატონობა”) აღნიშნავდა [Леонтьев 1990: 117]. ძველი ეგვიპტელისათვის იდეალური ფარაონი იყო „მწყემსი კეთილი“, რომელიც ყველაფერს ყურადღებით ადევნებდა თვალს [Г. Франкфорт, Г. А. Франкфорт, უილსონ, ჯიბინ 2001: 103]. მესოპოტამიაში ღმერთ ანუს სიმბოლო იყო სკიპტრა (სა-მეფო კვერთხი), კვერთხი, გვირგვინი და მწყემსის არგანი [Г. Франкфорт, Г. А. Франкфорт, უილსონ, ჯიბინ 2001: 177]. ძველ ბაბილონში კაუჭი სიკვდილის მომგვრელი და დამანგრეველი ღმერთის – ამურუ (მარტუ) სიმბოლო იყო [Black, Green 1992: 54]. კასიტურ საბეჭდავებზე კაუჭი ადამიან-თევ-ზებს უკავიათ, რომლებიც მინისქვეშა წყლების ღმერთ ესათან ასოცირდებოდნენ [Black, Green 1992: 54]. კაუჭი ასურეთის მეფეების ინსიგნიასაც ნარმოადგენდა. ეს ნივთი უკავია ასურნასირა-

პალ II (ძვ.წ. 883-859 წწ), რომლის ქანდაკებაც ქ. კალხუში იდგა (ტაბ. XXI₂). მეფეს მარცხენა ხელში სამეფო სკიპტრა უკავია, მარჯვენაში კი კაუჭისმაგვარი სიმბოლო [Британский музей 1980: 41-42].

ამდენად შეიძლება ითქვას, რომ კაუჭისმაგვარი სიმბოლო-ინსიგნია ძველი აღმოსავლეთის მრავალ ქვეყანაში იყო გავრცელებული და განსაკუთრებული ძალაუფლების სიმბოლო (არ არის გამორიცხული, სიკვდილთან დაკავშირებული) აღიქმებოდა. თრიალეთში აღმოჩენილი ინ-სიგნია (ტაბ. XXI₄) „სამეფო“ ხელისუფლების ემბლემა.

სატრანსპორტო საშუალებები. სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებაზე და მათ რთულ კონსტრუქციაზე № 30 სამარხში აღმოჩენილი ურემი და მისი დეტალები მიუთითებენ (ტაბ. XXV₄₋₆; XXVI). საფარ-ხარაბას სამაროვანზე აღმოჩენილი ურმის ძარა განსხვავდება შუაბრინჯაოს ხანის ოთხთვალა ურმის ძარის კონსტრუქციისაგან.

სამარხი № 30. ქვაყრილიანი ორმოსამარხია, დამხრობილი იყო ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზ-ზე. მისი სიგრძე 3,5 მ, სიგანე 1,9 მ-ია. სამარხი კამერის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ორი თიხის ჭურჭელი იდგა.

სამარხის სამხრეთ ნაწილში, 1,4 მ სიღრმეზე, ხის ძელების ნაშთები დაფიქსირდა, რომლებიც ურმის დეტალები აღმოჩნდა (ტაბ. XXV₄₋₆). ხე ცუდად არის შემონახული. იგი ლაქების სახითაა შე-მორჩენილი.

საფარ-ხარაბას ურმის დახასიათებამდე უნდა ითქვას, რომ ურმის ეს ტიპი სამი მთავარი ნა-ნილისაგან შედგება – უბე, ღერძ-ბორბალი და უღელი. ურმის უბე ენოდება მთლიან ნაკეთობას, რომელზედაც უშუალოდ თავსდება ტვირთი. იგი ღერძ-ბორბალზეა შედგმული, ხოლო თავით უღელს ეყრდნობა. უბე შედგება ცალკე ნაწილებისაგან – ხელნები, დანდლები, კოფოები, ჭალე-ბი-ჭავლები, ზენტრები და სხვა. უბის ძირითადი ნაწილია ორი გრძელი ხისაგან ოთხკუთხად გა-მოთლილი ხელნა, რომლებიც თავებით ერთდებიან და ქმნიან ტოლფერდა სამკუთხედს. ხელნები არ არის აბსოლუტურად სწორი, მათ ერთგვარი მოხრილობა ახასიათებთ [გეგეშიძე 1956: 48-50].

№ 30 სამარხის ცენტრალურ ნაწილში ურმის ძარა-უბე არის ჩადგმული (ტაბ. XXV_{4,5}; XXVI₂). იგი რთული შედგენილობისაა. მისი საერთო სიგრძე 2,1 მ-ია, სიგანე ბოლოში 1,1 მ-ს უდრის. ძარას დე-ტალები ძირითადად ოთხკუთხად გათლილ ხეებს ნარმოადგენს. უბეს თავზაკვეთილი თუ თავმომ-რგვალებული სამკუთხედის ფორმა აქვს. ძარას ჩარჩო შეკრულია დიდი ძელებით, დანდლებით და წინა და უკანა კოფოებით. ჩარჩოს მარცხენა ძელი, თითქოს, ორი ნაწილისაგან შედგება. ერთი დი-დი ძელი ძარას უკანა ნაწილშია მოქცეული. მისი სიგრძე 1,25 მ-ს უდრის, სიგანე – 0,12 მ, სიმაღლე კი 0,11 მ-ია. ძელი ბოლოში მორკალულია და ზევით აზიდული. ამ ნაწილში ძარას სიმაღლე, ძელთან ერთად, 0,28-0,3 მ-ია. მეორე ძელის სიგრძე 0,85 მ-ია. მას, 0,1 მ სიგრძეზე, დიდ ძელზე თავი აქვს მიდებული. ამ დეტალთან 0,03 მ სისქის შავი ლაქის (ხის ნაშთები?) მოხსნის შემდეგ გაირკვა, რომ ორივე ძელს ნაჭდევი აქვს გაკეთებული. ნაჭდევები ისეა გამოჭრილი, რომ ერთმანეთში მჭიდრო-დაა ჩასმული. როგორც ჩანს, ეს მონაკვეთი მათი გადაბმის ადგილს წარმოადგენს, სადაც ორივე ძე-ლის სისქე 0,09 მ-ია, სიგანე 0,1 მ. ძარას თავთან, ვიწრო ნაწილში, მეორე ძელის სისქე 0,05 მ, სიგანე 0,06 მ უდრის. ურმის ძარას დასაწყისში ეს ძელი მომრგვალებულია და ძარას მარჯვენა ძელს უერ-თდება. ახლა ძნელი სათქმელია, ძარას ეს ნაწილი ერთი ხისაგან იყო გამოთლილი, თუ რამდენიმე ნაწილისაგან შედგებოდა. აქვე, ამავე დონეზე, ფიგურული ძელის ორი ნაშთი დაფიქსირდა. ურმის უბეს თავმომრგვალებული სამკუთხედის ფორმა აქვს (ტაბ. XXVI_{1,2}).

ძარას ამ მონაკვეთში, ზედა ძელების აღების შემდეგ, ხისაგან დამზადებული ოთხკუთხა ჩარ-ჩო დაფიქსირდა, რომელიც ძირითად ძარასთან კონსტრუქციულად არის დაკავშირებული. შეიძ-ლება ეს ორი ოთხკუთხად გათლილი ძელი დანდალი იყოს, რომლებიც ურმის კონსტრუქციაში ძირითადი ჩარჩოს დამაკავშირებელს წარმოადგენდა. პირველი დანდლის სიგრძე 0,30 მ-ია და შე-საბამისად ურმის ჩარჩოს სიგანე წინა ნაწილში 0,33 მ-ს უდრის. მეორე დანდალი პირველისაგან 0,2 მ-ითაა დაცილებული. მისი სიგრძე 0,45 მ-ია. პირველი დანდლის სიგანე 0,05 მ, მეორესი 0,07 მ-ია, ორივეს სიმაღლე 0,07 მ-ს აღნევს (ტაბ. XXVI₃).

არ არის გამორიცხული, რომ ზედა, დანდლებზე დაფიქსირებული სტრუქტურა ძარაზე თავ-დაპირველად ვერტიკალურად იდგა და მისი წაქცევის შემდეგ მივიღეთ ხის ნაშთების ორი ფენა. აღსანიშნავია, რომ აქვე, გარდა ზემოთ ნახსენები ფიგურული ძელებისა, იქნა აღმოჩენილი სხვა-დასხვა ფორმის ხის ნაშთები. ერთი მათგანი მცირე ზომის ბორბალს მოგვაგონებს.

ძარას ოთხკუთხა ნაწილი ზევიდან ედო ხის ფიცარს (წინა კოფო?), რომლის სიგანე 0,25 მ-ია (VI დონე) (ტაბ. XXVI₂). სიგრძეში იგი ძარას ორივე მხარეს სცილდება და მისი სიგრძე 0,75 მ-ს აღ-ნევს. ფიცარი მხოლოდ ანაბეჭდის სახითაა შემორჩენილი. ამ მონაკვეთში, სამხრეთიდან, ძარაზე მიღებული იყო წრიული ფორმის (დიამეტრი 0,35 მ), ხის ბრტყელი ფირფიტა (ტაბ. XXV₄₋₆; XXVI₂), რომელიც ზემოთ აღნერილ ფიცარზე დევს. ამავე ფიცრის კიდეზე ორკაპა ხელნის თავია ჩამო-დებული (ტაბ. XXV₅; XXVI_{2,3,5}).

როგორც აღნერილობიდან ჩანს, ურმის ძარას წინა ნაწილი რთული შედგენილობისა იყო. მისი ფორმის ზუსტი აღდგენა კვლევის ამ ეტაპზე ძნელია. თუმცა ბერიკლდებსა და ლჭაშენში აღმო-ჩენილი მსგავსი, თანადროული ურმები, რომლებიც უკეთესადაა შემორჩენილი, საფარ-ხარაბას ურმის რეკონსტრუქციის გარკვეულ საშუალებას იძლევა. არ არის გამორიცხული, რომ საფარ-ხარაბას ურემსაც მსუბუქი გადახურვის კონსტრუქცია ჰქონდა.

ძარას მარჯვენა, სამარხი კამერის დასავლეთ კედელთან მდებარე ძელი, ორი, შეიძლება სამი ნაწილისაგან შედგება. წვერიდან 0,25 მ დაცილებით ძელზე რელიეფური სარტყელია გამოყვანი-ლი, აქვე შეინიშნება ნაჭდევი, რომელიც სხვა ძელთან გადაბმის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა რაიმეს გადაჭრით თქმა ძნელია. მეორე ძელის სიგრძე 0,75 მ-ია, სიგანე ჩრდილოეთ ნაწილში 0,09 მ, სამხრეთ ნაწილში (თუ დაზიანებული არ არის) – 0,04 მ. ძელზე შეინიშნება ოთხკუთხა ფორმის ფოსოები. მათი სიგრძე 0,04 მ-ია, სიგანე 0,02 მ, სიღრმე კი 0,05 მ უდრის. ასეთივე სამი ფოსო მე-სამე ძელზეც დასტურდება. ეს ფოსოები ჭალების ან მსუბუქი გადახურვის კარგასისათვის იყო აღბათ განკუთვნილი. ამ ძელების დონეზე, დასავლეთი კედლის ძირში, ორი ფიგურული დეტალი დაფიქსირდა (ტაბ. XXVI₄).

მესამე ძელის სიგრძე 1,0 მ-ია, სიგანე 0,08-0,1 მ-ს, სიმაღლე კი 0,12 მ უდრის. ძარას ბოლო ნაწილში ძელი ზევითაა აზიდული და მსგავსია ძარას მარცხენა ძელისა. ასეთი კონსტრუქცია მი-უთითებს, რომ ურმის ბოლო შემაღლებული იყო. ძარას ორივე, ძირითადი ძელი, შემაღლებული ნაწილებით, ერთმანეთთან ხის ფიცრითა (უკანა კოფო) დაკავშირებული. მისი სიგრძე 1,1 მ-ია, სიგანე 0,17 მ-ია. ფიცარი თხლად ყოფილა გათლილი. ასეთივე ფიცრის ფრაგმენტები ძარაზეც დაფიქსირდა. ერთი ფიცრის სიგრძე 0,7 მ-ია, სიგანე 0,14 მ, მეორეს სიგრძე 0,9 მ-ია, სიგანე 0,15 მ. ფიცრები ძარას ჩარჩოს ძირითადი ძელების პარალელურად აწყვია.

ძარას მთელ ფართობზე ხის მცირე ნაშთებია აღმოჩენილი, თუმცა მათი მიხედვით რაიმე ფორმის დადგენა ვერ მოხერხდა. ყველა ფიცარზე შავი ფერის, თხელი, მკვრივი ფენა აღმოჩნდა, რომელიც, შეიძლება ტყავის ან ჭილოფის ანაბეჭდი ყოფილიყო. ძარას უბის შიდა სივრცეში აღ-მოჩენილი ფიცრები ურმის იატაკს უნდა ნარმოადგენდეს.

ურმის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ფიცრებზე თიხის ორი ჭურჭელი იდგა (ტაბ. XXV₄; XXVI_{1,2}). ერთი მათგანი მოზრდილი დერგია, მეორე ქოთანი. დერგი შევსებული იყო საქონლის ძვლებით. დერგთან ორი, დაუმუშავებელი რიყის ქვა იდო. მათგან ჩრდილოეთით, 0,4 მ დაცილე-ბით, ძარას მარჯვენა ძელთან, ძარაზე ობსიდიანის ანატკეცი აღმოჩნდა.

სამარხის აღმოსავლეთ კედელთან ოთხკუთხად გათლილი ძელი აღმოჩნდა. მისი სიგრძე 2,0 მ-ია, სიგანე და სისქე 0,06 მ-ს უდრის. სამარხის სამხრეთ ნაწილში, ურმის კონსტრუქციის ორი დეტალი დაფიქსირდა. ერთი მათგანი ძარას მარცხენა ძელის ანალოგიურია და თითქოს მის გაგ-რძელებას წარმოადგენს. მეორე კი ურმის უკანა ნაწილის (კოფოს) პარალელურად დევს. თუმცა ეს ორი დეტალი უფრო მაღლა (IV დონე) განლაგებული ვიდრე ძარას ძირითადი კონსტრუქცია.

სამწუხაროდ, სამარხის სამხრეთი ნაწილი მთლიანად განადგურებული დაგვხვდა, რამაც ურმის და მისი დეტალების სრული ფიქსაციის საშუალება არ მოგვცა. სამარხში მიცვალებულის

ძვლების მდებარეობის მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამარხ კამერას ერთ მესამედზე მეტი აქვს ჩამოჭრილი. ვფიქრობთ, სამარხეული ინვენტარის ნაწილი და ურმის ზოგიერთი დეტა-ლი ამ ნაწილშიც უნდა ყოფილიყო. სამარხის აღმოსავლეთ კედელთან, ზემოთ აღწერილი ხის ძე-ლის ქვეშ, ურმის ორი ძირითადი დეტალი – ხელნა და უღელი დაფიქსირდა (ტაბ. XXVI_{2,3,5-6}). ისინი ძარას პარალელურად ეწყო და ნაწილობრივ მის ქვეშ იყო მოქცეული (ტაბ. XXV₅₋₈).

ხელნა ერთი ხისაგანაა გამოთლილი. მას ორკაპი დაბოლოება აქვს, წვერი კი კაუჭით არის გა-ფორმებული. მისი სიგრძე 1,45 მ-ია. ორკაპის საერთო სიგრძე 0,3 მ-ია, შვერილების სიგანე 0,07-0,08 მ-ია. მათ შორის მანძილი 0,15 მ-ია, ორკაპის სიღრმე 0,22 მ-ია. ხელნის სიგანე კაპების გან-ტოტვის ადგილთან 0,17 მ, სიმაღლე – 0,06 მ-ია. ორკაპის ბოლოდან 0,8 მ-ის დაცილებით, ხელნაზე ორი ბურცობი შეინიშნება, რომლებიც 0,3 მ სიგრძეზე მას ფიგურულ ფორმას აძლევენ. კაუჭისა-კენ ხელნა თანდათან ვიზროვდება, სადაც მისი სიგანე და სიმაღლე 0,04 მ-ია. რჩება შთაბეჭდილე-ბა, რომ ხელნას ეს ნაწილი მომრგვალებული იყო. ორკაპის ერთ-ერთ შვერილზე 0,05 მ სიგრძის ნაჭდევია გაკეთებული. მეორეზე ასეთი ნაჭდევი არ შეინიშნება, ეს უკანასკნელი კი პირველთან შედარებით, 0,03 მ-ით მოკლეა. არ არის გამორიცხული, რომ ნაჭდევებით ხელნა ძარაზე მაგრდე-ბოდა.

უღელიც ერთი ხისაგანაა გამოთლილი (ტაბ. XXVI₅). მისი ერთი ნაწილი ძარას ქვეშ იდო და იმ-დენად იყო დაზიანებული, რომ ფორმა აქვს დაკარგული. უღლის საერთო სიგრძე 1,4 მ-ია, სიგა-ნე 0,04 მ-ს, სიმაღლე 0,05 მ-ს უდრის. საქედე ნაწილი ნახევარმთვარისებურად არის მოხრილი, რომლის დასაწყისიც ოთხკუთხა ფიგურითაა გაფორმებული (ტაბ. XXVI_{3,5}). აქვე ნახვრეტის კვა-ლიც შეინიშნება. საქედესთან უღელს მეორე ნახვრეტიც უნდა ჰქონოდა. სამწუხაროდ მისი კვალი გათხრების დროს ვერ დაფიქსირდა.

სამარხის შემორჩენილ ნაწილში არც ურმის ღერძი და ბორბლები აღმოჩენილა. ეს ფაქტი შე-იძლება ორი გარემოებით აიხსნას: ეს დეტალები ან სამარხის დაზიანებულ ნაწილში იყო მოთავ-სებული, ან თავდაპირველადვე არ იყო ჩატანებული. გათხრების პროცესში გაჩნდა ეჭვი, რომ სა-მარხში მარხილი იყო ჩადგმული და არა ურემი. ეს ვარაუდი ძარას უკანა ნაწილის ფორმის გამო იქნა უარყოფილი, რადგან მარხილს თავი უნდა ჰქონდეს აზიდული და არა ბოლო.

ურმის ძარას ჩარჩოზე დაწყობილი ფიცრების აღების შემდეგ, თიხის ჭურჭლების ქვეშ, ორი ბატკის სრული ჩონჩხი დაფიქსირდა. აღმოსავლეთით მდებარე ბატკანი მარჯვენა გვერდზე იდო, დასავლეთით მდებარე კი - მარცხენაზე. ამ უკანასკნელის თავი ურმის ძარას მარჯვენა ძე-ლის ქვეშა მოქცეული. წინა ფეხებთან ობიექტის ანატკეცი უდევს.

მიუხედვად იმისა, რომ სამარხში არც ბორბლები აღმოჩენილა და არც ღერძის ნაშთები (ისინი შეიძლება სამარხის დაზიანებულ ნაწილში ეწყო) უღლის ფორმა და პარალელური მასალები (ბე-რიკლდები) საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ საფარ-ხარაბას სამაროვნის № 30 სამარხში აღმოჩენილი ურმის გამნევ ძალას ცხენი წარმოადგენდა. საფარ-ხარაბაში აღმოჩენილი უღელის ტიპი დადასტურდა ბერიკლდების სამარხშიც, სადაც ქვ.ნ. XIV-XIII სს. დათარიღებულ ურემში ცხენები იყო შებმული [Mansfeld 2001: 50].

ამ ეპოქაში, თრიალეთში ცხენი ფართოდ გავრცელებული შინაური ცხოველი იყო. ოსტეოლო-გიური მონაცემები მიუთითებენ, რომ მეცხენეობას მისდევდენ ბეშთაშენის [ნარიმანიშვილი 1992: 18] და ჯინისის დასახლებების [ამირანაშვილი, ჩარიმანიშვილი 2005: 42-43] მცხოვრებლები.

სარეცელი. საფარ-ხარაბას სამაროვანზე, ზოგიერთ სამარხში მიცვალებული სარეცელ-ზე იყო დასვენებული (ტაბ. XXV₁₋₃). მათ წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმა აქვთ. ზოგიერთი მათგანი (სამარხი № 90) ფიგურული სახელურებითაა შემკული. აღსანიშნავია, რომ სარეცელს სა-ხელურები მხოლოდ ერთ, წინა მხარეს აქვს.

შეიძლება იგი სარეცელი კი არა, არამედ ურმის ნაწილი იყოს. მაგ. ლფაშენის ერთ-ერთი ურე-მის ძარის ზედა შემკვრელ ძელებს [Мартirosyan 1964: 168, სურ. 64] საფარ-ხარაბას № 90 სამარხში

დადასტურებული ძელების მსგავსად, ფიგურული თავები აქვს. თუმცა ეს მსგავსება მათი იდენტური ფუნქციის დასამტკიცებლად საკმარისი არ არის.

თრიალეთის ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანების ძეგლების დათარიღების ზოგიერთი საკითხი. ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანების ძეგლები პირველად ბ. კუფტინმა შეისწავლა. საფარ-ხარაბას (ბაიბურთის) სამაროვანზე გათხრილ სამარხებს თავის ნაშრომში „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში“ („Археологические раскопки в Триалети“) სპეციალური თავი “ბრინჯაოს ხანის ქვის წრეებიანი სამაროვანი“ (“Могильник бронзовой эпохи с кругами из камней“) მიუძღვნა. მიუხედავად იმისა, რომ იგი თავიდანვე აღნიშნავს „თრიალეთში ამ ტიპის ძეგლების არასაკმარისი შესწავლის გამო ამ სამაროვნისათვის გარკვეული ადგილის მიჩენა ძნელია“, მან ბაიბურთის სამაროვანი უშუალოდ შუა ბრინჯაოს ხანის მომდევნო და ბეშთაშენის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ორმოსამარხებზე ადრეულად მიიჩნა [Куфтин 1941: 75-77]. კუფტინი მიუთითებს, რომ გათხრილი ოთხი სამარხი მეტად ღარიბ ინვენტარს შეიცავდა და, ძირითადად, თიხის ჭურჭლისა-გან შედგებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბაიბურთის სამაროვანზე მეტად მნიშვნელოვანი მასალები იქნა აღმოჩენილი, მათ დიდხანს ვერ დაიკავეს სათანადო ადგილი. ე. გოგაძე 1972 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში წერს „შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლების ზედა თარიღს ერთგვარად განსაზღრავს აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპის უმთავრესი ძეგლებისათვის მიღებული უახლესი თარიღები. ამ ეტაპის დასაწყისი ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანას უახლოვდება. თრიალეთის ტიპიური ყორღანული ძეგლები დაახლოებით ამ ხანაზე (ძვ.წ. XV ან XV-XIV სს. ზღვარი) უნდა ემიჯნებოდეს გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებს, თუ თრიალეთში სავარაუდო არ არის მნიშვნელოვანი გარდამავალი პერიოდის არსებობა. შესაძლებელია, რომ გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპის ძეგლები მეტ-ნაკლებად სინქრონული იყვნენ ქრონოლოგიურად გარდამავლად მიჩნეული ძეგლებისა, მაგალითად ბაიბურთის ტიპის სამარხებისა თრიალეთში, რომლებიც ჩვენში ერთობლივი მნიშვნელოვანი ჯგუფის სახით ჯერჯერობით გამოყოფილი არ არის. მათ შესახებ ჩვენ ჯერჯერობით ბევრს ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ ბაიბურთის სამარხების გვიანბრინჯაოსაკენ მიდრეკილება უფრო ნათლად ჩანს“ [გოგაძე 1972: 69].

1974 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე 1974: 11-12] დართულ რუკაზე ბაიბურთის სამაროვნის ადგილზე დატანილია XX და XXI ყორღანები. ამ ნომრის ყორღანები და მათში აღმოჩენილი მასალები ნაშრომში აღწერილი არ არის, თუ არ ჩავთვლით რუკის განმარტებას (ექსპლიკაცია), სადაც ამ ნიშნით მხოლოდ შუა ბრინჯაოს ყორღანებია აღნიშნული. XX და XXI ყორღანის მასალები ე. გოგაძეს არც 1972 წლის ნაშრომში აქვს განხილული (გარდა ზემოთ მოტანილი ციტატისა – სხვა არაფერი წერია), აქვე მოცემულ ქრონოლოგიურ სქემაში მხოლოდ ბაიბურთის სამარხების თარიღია მინიშნებული [გოგაძე 1972: 95]. ამდენად ამ ყორღანების შესახებ სხვა ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

ბ. კუფტინი ფრთხილობს ბაიბურთის სამარხების დათარიღებისას თუმცა ზუსტად განსაზღვრავს მათ ადგილს და შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულსა და გვიანი ბრინჯაოს დასაწყისს შორის ათავსებს.

ბაიბურთის სამაროვნის თარიღს არაერთი მეცნიერი შეეხო [ქორიძე 1955; 1958; ჩუბინიშვილი 1957; აბრამიშვილი 1957, 1961; გოგაძე 1972 – ქრონოლოგიურ სქემაზე მოცემულია მათი თარიღი 1400 წ.].

შუა ბრინჯაოს დასასრულისა და გვიანი ბრინჯაოს დასაწყისის ძეგლები კომპლექსურად პირველად კ. ფიცხელაურმა შეისწავლა [ფიცხელაური 1973]. მან, 1973 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი საფეხური გამოყო, რომელიც ძვ.წ. 1450-1350 წნ. შორის მოაქცია და მთელი რიგი თავისებური ნიშნების გამო საბ ეტაპად დაყო. იგი აღნიშნავს „ჩვენ ამ საფეხურს იმიტომ ვუწოდეთ გარდამავალი, რომ იგი შეიცავს ორი სხვადასხვა ეტაპის დამახასიათებელ ნიშნებს და შუალედ რგოლს ნარმოადგენს მათ შორის“ [ფიცხელაური

1973: 139]. პირველ ეტაპს მიაკუთვნა ილტოს კენოტაფი; მეორე ეტაპს კი კუფტინის მიერ გათხრილი ბაიბურთის (საფარ-ხარაბა) სამარხები, ზემო ბოდებს გორასამარხები, ოლეს სამაროვნის ზოგიერთი სამარხი, მესამე საფეხურს — ულიანოვკის № 2 ყორღანი, რომელიც გარდამავალი ეტაპის და გვიანი ბრინჯაოს ხანის მიჯნაზე მოათავსა [ფიცხელაური 1973: 145-146]. 1979 წელს კ. ფიცხელაურმა სქემა შეცვალა - გარდამავალი ეტაპის I ჯგუფის ძეგლები შუა ბრინჯაოს მინურულს მიაკუთვნა, მეორე ჯგუფი უშუალოდ „გარდამავალ“ ეტაპზე დატოვა, მესამე ჯგუფი კი გვიანი ბრინჯაოს ხანას მიაკუთვნა [Пицхелаури 1979: 67]. შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულს მიაკუთვნა სამთავროს სამხრეთი უბნის №№ 70 და 156 სამარხები, სადუღას № 1 ყორღანი, წალვლის სამარხეული ინვენტარი, თრელის 43, 51, 53 სამარხები, შულავრის № 12 სამარხი, გადრეკილის № 1 და № 2 ყორღანები, ილტოს კენოტაფი, ლილოს № 5 ყორღანი, არიჭის № 85, 108 სამარხები. გარდამავალ ეტაპში მოათავსა ზემო ბოდებს №№ 1, 2, 4-7, ყორღანები, ბაიბურთის სამარხები, ცხინვალის ტყისკომბინატის სამარხები, ნამგალამინების № 2 სამარხი, ნაომარი გორის № 2 სამარხი, თრელის № 74, ბრიმანყლის ორივე კომპლექსი, ჩალიანხევის ქვედა ფენის სამლოცველო, ტაპანყურის № 42 ყორღანი, საბიდახჩას № 28 ყორღანი, ბესასტყე. რაც შეეხება გადრეკილის № 6 სამარხს, ოლეს ყორღანებს, ულიანოვკის № 2 ყორღანს, ისინი გვინბრინჯაოს ხანას მიაკუთვნა [Пицхелаури 1979: 69-70].

ე.ნ. გარდამავალი ეტაპის ქვედა თარიღის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია თრიალეთის კულტურის III ჯგუფის ძეგლების ზედა ქრონოლოგიური ზღვარის დადგენა, რომლის განსაზღვრაც, მასალის სიმცირის გამო, ჯერ კიდევ პრობლემატურია. ამ თარიღის დადგენისათვის მეცნიერები ძირითადად თრიალეთის XV ყორღანში აღმოჩენილი მასრიანი შუბისპირის თარიღს ეყრდნობოდნენ [აბრამიშვილი 1972; გოგაძე 1972; ჯაფარიძე 1969]. კ. ფიცხელაური აღნიშნავს „შუა ბრინჯაოს ხანის ზედა თარიღი, რომელიც განსაზღვრულია ძვ.წ. XV ს-ის შუა ხანებით, ჩვენი აზრით (და არა მხოლოდ ჩვენს მსგავსად), არასაიმედოა...“ [Пицхелаури 1979: 101; Пицхелаури 1990: 247]. გ. ქავთარაძის აზრით „თრიალეთის XV ყორღანის მასრიანი შუბისპირის საფუძველზე თრიალეთის კულტურის სასრული თარიღის ძვ.წ. XV ს განსაზღვრა არ უნდა იყოს მართებული“ [ქავთარაძე 1981: 118]. ეს ყორღანი ქავთარაძემ შუა ბრინჯაოს ხანის I ფაზას მიაკუთვნა [ქავთარაძე 1981: 115-118; კავთარაძე 1983: 130-136] და ძვ.წ. II ათასწლეულის ადრეული საუკუნებით დაათარიღა [ქავთარაძე 1981: 33, 114].

შუაბრინჯაოს ხანის II ფაზას ქავთარაძემ თრიალეთის ის ყორღანები (XXVIII, XXX, XXXII, XLII) მიაკუთვნა, სადაც გვხვდება მთელი რიგი ისეთი ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია გვიანი ბრინჯაოს ხანისათვის. ამავე ჯგუფში გააერთიანა თრელის №№ 43, 51, 81, 84, 104, სამთავროს № 156, შულავერის № 12, სადუღას № 1 და გადრეკილის № 1 და № 2 ყორღანები, მეტების ქვაყრილანი სამარხი, ნული, ქვასათალი, წალვლის სამარხეული ინვენტარი, არიჭის № 65, 85, 108 სამარხები და ლჭაშენის № 6, № 46 ყორღანები [ქავთარაძე 1981: 121; კავთარაძე 1983: 136] და აღნიშნა, რომ ისინი უშუალოდ მოსდევენ XV ყორღანსა და მის თანადროულ ძეგლებს, რომელთა ზედა თარიღი ძვ.წ. XVI ს-ის შუა ხანებით განსაზღვრა [ქავთარაძე 1981: 120-121, 128; კავთარაძე 1983: 36].

მოვიანებით კ. ფიცხელაურმა შუა ბრინჯაოს ხანის დამამთავრებელ სტადიას მიაკუთვნა გადრეკილის № 1 და № 2 ყორღანები, ფევრების სამაროვნის კრომლეხები, ილტოს კენოტაფი, სადუღას № 1 ყორღანი, სამთავროს № 70 და № 156 სამარხები, შულავრის № 12 სამარხი, წალვლის №№ 1, 3, 7, 8, 11, 13, 16, 17, 18, 21 სამარხები და რიგი სამარხებისა თბილისიდან. გარდამავალი ეტაპის ძეგლების ნაწილი (ზემო ბოდებები, ბაიბურთის სამარხები, ცხინვალის ტყისკომბინატის სამარხები, ნამგალამინების № 2 სამარხი, უდაბნოს ყორღანები) გვიანბრინჯაოს ხანის I ეტაპს მიაკუთვნა, ხოლო ადრე, გვიანბრინჯაოს ხანის I ეტაპისადმი (ძვ.წ. 1350-1250) მიკუთვნებული ძეგლები (ფლავისმანი, ცხინვალის ნაცარგორა, ყათლანიხევი, მელილელე I-სამლოცველო, პირდაპირი მინები, მადნისჭალა, ღრმაღელის გორასამარხები, ულიანოვკის № 1 გორასამარხი, სამთავროს მთელი რიგი სამარხები, მჭადიჯვრის ქვედა ფენა) გვიანბრინჯაოს ხანის II ეტაპს მიაკუთვნა. III

ეტაპს მიაკუთვნა შედგენილტარიანი კახური ტიპის და ფოთლისებურპირიანი სატევრების შემ-ცველი სამარხეული კომპლექსები, IV ეტაპს კი ის ძეგლები, სადაც პირველად ჩნდება რკინის ნივ-თები [Пицхелаури 1990: 248-249].

გვიანი ბრინჯაოს I ფაზის თარიღი გ. ქავთარაძემ ძვ.წ. XVI ს-ის შუა ხანებიდან XIV ს-ის და-საწყისამდე განსაზღვრა [ქავთარაძე 1981: 128; კავთარაძე 1983: 146], ამ ფაზას მიაკუთვნა თრე-ლის №№ 53, 74, 115 სამარხები, ილტოს კენოტაფი, ლილოს № 5 ყორღანი, სამთავროს სამხრეთი უბნის № 70 სამარხი, ზემო ბოდბის №№ 1, 2, 4-7, ცხინვალის ტყისკომბინაციის სამარხები, ნამგა-ლამინების № 2 სამარხი, ნაომარი გორის № 2 სამარხი, ბრიმაწყლის ორივე კომპლექსი, ჩალიან-ხევის A ნამოსახლარის ქვედა ფენის სამლოცველო, ბესასტყის ნამოსახლარიდან მოპოვებული მასალა. აქვე ათავსებს არტიკის №№ 53, 422 და 625 სამარხებს, სადაც დამათარილებელი მნიშ-ვნელობის ცილინდრული საბეჭდავები აღმოჩნდა [ქავთარაძე 1981: 127; კავთარაძე 1983: 145]. ამ სამარხებს ტ. ხაჩატრიანი არტიკის I (უძველეს) ჯგუფს მიაკუთვნებს და ძვ.წ. XIV-XIII სს. ათარი-ლებს [ხაჩატრა 1975: 158; ხაჩატრა 1979: 14]. არტიკის სამაროვნის უძველეს ჯგუფს, მათ შორის ცილინდრული საბეჭდავების შემცველ სამარხებს, ა. პილიპოსიანი ძვ.წ. XV-XIV სს. ათარილებს [Пилипосян 1999: 61; პილიპოსян 1998: 42-43, ტაბ. 41]. მეცნიერთა ნანილი ამ ჯგუფის სამარხებს ძვ.წ. XIV ს-ის მეორე ნახევარს მიაკუთვნებს [Badalyan, Smith, Avetisyan 2003: 149].

გ. ქავთარაძემ გვიანი ბრინჯაოს II ფაზა ძვ.წ. XIV ს-ით დაათარილა [ქავთარაძე 1981: 131; კავ-თარაძე 1983: 149], რომელსაც მიაკუთვნა ბაიბურთის სამარხები, ულიანოვკის № 2 სამარხი, თრე-ლის №№ 37, 42, 55, 56 სამარხები, გადრეკილის ქვედა იარუსის სამარხები, ფევრების ქვედა იარუ-სის სამარხები, ჩალიანხევის კომპლექსის ნამოსახლარის ზედა ფენა, ღრმაღელის, მელი-ღელე । და სამთავროს შესაბამისი სამარხები, ასევე ართიკის სამაროვნის II ჯგუფის სამარხები [ქავთა-რაძე 1981: 128-129].

ამდენად, კ. ფიცხელაურის მიერ გამოყოფილი გარდამავალი ეტაპის ძეგლების ერთი ნანი-ლი გ. ქავთარაძემ [ქავთარაძე 1981: 125] გვიანი ბრინჯაოს I ფაზას, ე.ი. შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდს მიაკუთვნა და ეს ფაზა ძვ.წ. XVI ს-ის შუა ხანებსა და ძვ.წ. XV ს-ის დასაწყისს შორის მოათავსა [ქავთარაძე 1981: 128]. მეორე ნანილი, მათ შორის ბაიბურთის სამარ-ხები, გვიანი ბრინჯაოს II ფაზას მიაკუთვნა და ძვ.წ. XIV ს დაათარილა [ქავთარაძე 1981: 131].

მ. აბრამიშვილმა თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის II ფაზის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი ძვ.წ. XIX საუკუნის შუა ხანებით განსაზღვრა [აბრამიშვილი 2003: 51]. ამ თარიღის გაზიარების შემთხვევაში შესაბამისად შეიცვლება III ფაზის ძეგლების თარიღიც.

თრიალეთის კულტურის III ჯგუფის ყორღანების ზედა თარიღი ალბათ იმ დროზე უნდა მოდი-ოდეს, როდესაც ტიპიურ, შუა ბრინჯაოს ხანის მასალებთან ერთად, ერთეულების სახით ჩნდება ახალი მასალები. რ. აბრამიშვილი, თრელის №№ 43, 51, 81, 84, 104 სამარხებს, სადაც შუა ბრინჯა-ოს ხანის ცალკეული ნიშნები გვხვდება, ძვ.წ. XVI ს-ით [აბრამიშვილი 1978: 68], ხოლო იმ ძეგლებს, „რომლებშიც შუაბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელ მასალასთან ერთად გვიანბრინჯაოს ხანის ტიპიური ნივთები გვხვდება“ ძვ.წ. XV ათარილებს [აბრამიშვილი 1978: 68]. რაც შეეხება პ. კუფტინის მიერ გათხრილ ბაიბურთის სამარხებს, მათ თრელის №№ 37, 42, 55, 56 სამარხებთან, ულიანოვკის № 2, ოლეს № 11 და № 13, საბიდახჩას XXVIII და ტაბანურის XLII ყორღანებთან, არი-ჭისა და ართიკის სამაროვნებთან ერთად რ. აბრამიშვილს სამთავროს ფოთლისებური სატევრე-ბის შემცველი ძეგლების თანადროულად მიაჩნია და ძვ.წ. XIV ს ათარილებს [აბრამიშვილი 1978: 85]. თრელის №37 სამარხს ა. პილიპოსიანი ძვ.წ. XV-XIV სს. ათარილებს [Пилипосян 1998: 62].

უკანასკნელ ხანებში, ალ. რამიშვილმა მის მიერ გათხრილი მასალების მიხედვით ახლებურად წარმოადგინა ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანების ძეგლების თარიღები. შუა ბრინჯაოს ხანის II ფა-ზა (ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე მეოთხედი) ორად გაყო. პირველი ნახევარი მიაკუთვნა შუა ბრინ-ჯაოს ხანის მიწურულს (ძვ.წ. XVII ს.), სადაც არ შეიტანა თრიალეთის ყორღანები; მეორე ეტაპს (ძვ.წ. XVI ს-ის პირველი ნახევარი) მიაკუთვნა თრიალეთის № 32 ყორღანი, ილტოს კენოტაფი,

სამთავროს № 70 სამარხი, I კენოტაფი, თრელის № 43, 53 და წალვლის სამარხების დიდი ჯგუფი, რომლებიც გარდამავალი პერიოდის I ეტაპის ძეგლებად მიჩნია. იგი აღნიშნავს „სწორედ მაშინ იწყება შუა ბრინჯაოს ხანიდან გვიანი ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდი, როდესაც შუა ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი მასალის გვერდით თავს იჩენს გვიანი ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი ნიშნები [რამიშვილი 2004: 165]. გვიანი ბრინჯაოს ხანის I ფაზაც ორად გაყო. პირველი ნახევარი ძვ.წ. XVI ს-ის მეორე ნახევრით დაათარიღად და გარდამავალი პერიოდის II ეტაპს მიაკუთვნა. ამ ეტაპში მოათავსა კუფტინის მიერ გათხრილი ბაიბურთის სამარხები, საბიდაბების № 28, ტაბანწყურის № 42, სამთავროს № 198, ლილოს № 5, თრელის № 56, № 74, ნამგალამინის № 1, № 2, კასპის № 4, № 18, ცხინვალის №№ 3, 4, ოლეს № 11, ზემო ბოდბის №№ 1, 2, გადრევილის №№ 1, 2, ბრიმანწყლის №№ 1, 2 სამარხები. მეორე ნახევარი ძვ.წ. XV ს დაათარიღად და გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპს მიაკუთვნა, სადაც მოათავსა ცხინვალის ნაცარგორა, საციხეურის გორა, ხაშურის ნაცარგორა, ყათნალიხევის, მჭადიჯვრის, ბესასტყის (წალვლი) ნამოსახლარები, წალვლის №№ 62, 91, ნაცარგორას №№ 510-514, ფლავისმანის, წეროვნის, ღრმალელეს №№ 2, 4, 6, თრელის №№ 37, 42, 55, ულიანოვლის № 2, ოლეს № 13, ზემო ბოდბის №№ 4-7, გადრევილის №№ 1, 6, 9-11, 26, 27, 42, 66, 102, 105, პირდაპირი მიწების №№ 1-3, ფევრების №№ 21, 25, 53, სამთავროს №№ 139, 153 სამარხები. გვიანი ბრინჯაოს ხანის II ფაზაც (ძვ.წ. XIV ს) ორად გაყო. პირველი ეტაპი მიაკუთვნა ფოთლისებური სატევრების გავრცელების პერიოდს, მეორე კი ფოთლისებური და შედგენილტარიანი სატევრების გავრცელების ხანას [რამიშვილი 2004: 178].

ვ. სადრაძე სამთავროს სამაროვნის №№ 70, 156 სამარხებს ძვ.წ. XVI-XV ს-ის პირველ ნახევარით ათარიღებს და შუა ბრინჯაოს ხანის უკანასკნელ, III ეტაპს მიაკუთვნებს [სადრაძე 2002: 41]. შუა ბრინჯაოს ხანის III ქრონოლოგიურ ჯგუფში ასევე აერთიანებს თრიალეთის I, II, XV ყორდანებს, საბიდაბების № 5, ახჩიას №№ 3, 9, 13, ნატახტრის III სამაროვნის №№ 7, 20, 21, 22, 27, სამთავროს №№ 55, 62, 70, 123, 142, 156, 178, 194, 196, 222, 257, 263, წალვლის №№ 11, 20, 94, 95, თრელის 43, 51, 53, 81 სამარხებს, ილტოს კენოტაფს, ლილოს № 5 ყორდანს [სადრაძე 2002: 101-102], რომლებსაც ძვ.წ. 1600-1450 წწ. ათარიღებს [სადრაძე 2002: 108]. გარდამავალ პერიოდს ძვ.წ. 1450-1350 წწ. განსაზღვრავს. გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპი ძვ.წ. 1350-1250 წწ. შორის მოათავსა და ორ პერიოდად გაყო. პირველს, ადრეულ პერიოდს მიაკუთვნა ცენტრალურამიერკავკასიური კულტურის ძეგლები, რომლების თარიღად ძვ.წ. 1350-1300 წწ. მიჩნია, მეორეს კი - სამთავრული კულტურის ძეგლები და ძვ.წ. 1300-1250 წწ. დაათარიღა [სადრაძე 2002: 148-161, 242-247, იხ. ქრონ. ტაბულები]. ამასთან აღნიშნავს „ცენტრალურამიერკავკასიური კულტურა წყვეტს ფუნქციონირებას და მის ადგილს სამთავრული კულტურისათვის დამახასიათებელი ძეგლები იჭერენ“ [სადრაძე 2002: 163].

კოტე ფიცხელაური შუა ბრინჯაოს ფინალურ ეტაპს დაახლობით ძვ.წ. XVI ს-ში ათავსებს [ფიცხელაური 2005: 98]. ამასთან აღნიშნავს „ცენტრალურამიერკავკასიური კულტურა შუა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი პერიოდის უშუალო გაგრძელებაა. ეს კულტურა წინ უსწრებს ბოლო დრომდის გვიანბრინჯაოს ადრეულ საფეხურად მიჩნეულ სამთავრულ თუ შიდა-ქართლურ ბრინჯაოს ფოთლისებურპირიანი სატევრების კულტურას. რადიოკარბონული ანალიზების სერიის მიხედვით (ფევრების სამაროვანი) ამ კულტურის თარიღი თითქოს ძვ.წ. XIV-XIII სს. ფარგლებში უნდა მოთავსდეს“ [ფიცხელაური 2005: 107]. ამდენად, ცენტრალურამიერკავკასიურ კულტურას, რომელიც ფევრების სამაროვნისათვის მიღებული რადიოკარბონული ანალიზების სერიის მიხედვით ძვ.წ. XIV-XIII სს. ფარგლებში ათავსებს, თუმცა არ გამორიცხავს ამ თარიღის შესწორებას მათი დაცველების მიზნით [ფიცხელაური 2005: 107]. ამ კულტურის ძეგლებად მას მიაჩნია ყათნალიხევის, მჭადიჯვრის გორის, ხოვლეგორას, საჯოგეს, ცხინვალის ნაცარგორას, საციხეურის გორას, ზღუდრის ხევის, ბესას ტყის, ხაშურის ნაცარგორას, ჩალიპირაგორების, ფევრების, ჩალიანევის (ვაისწყალი), წითელი გორების, დიდი გორის, ტყის ბოლო გორის, მურაკების გორის, ხაშალ გორის, ნერგით გორის, რუხი გორის, პატარა გორის, ბუმბულა გორის, ანაგის

გორის, კომბალა გორის, ნაომარი გორის, დასაქანის, ნაომარი გორის (უდაბნო), საბადურის გორის, ავაზას გორის, ტახტი-მუხას, ჩანკანის, სასანთლიანთ გორის, ხატის გორის, არხილოსკალოს გორის და ზემოქედის გორის ნამოსახლარები; ბაკურციხის, წითელი გორების (ყორღანები), სათვალისწყალის, უდაბნოს (№ 8 ყორღანი), უდაბნოს (№ 5 ყორღანი), ჩიჩხიტურის, ოლეს (№№ 11, 13 ყორღანები), ულიანოვკის (სილნალის რ-ონი), კოდისწყაროს (ყორღანები), ფევრების, გადრეკილის „ნასადგომევი“, გადრეკილის „პირდაპირი მიწები“, გარდაბნის (ყორღანი), წეროვნის, ქარელის (ყორღანები), ორგორას (დოლლაური), ზურგოვანის (ყორღანი), სასირეთის (განძი), ციხიაგორას (საყარაულო სერი), ძველი ქანდას, ფლავისმანის, ბულაჩაურის, ბორჯომის, საჯოგეს (ყორღანები), ჩალიპირაგორების, თბილისის (ღრმაღელე-ყორღანები), ფლევის, კვირაცხოველის, ნამგალა მიწას, თრელის №№ 37, 42, 55, კოპალას, მადნისჭალის, მაჭარწყალის, სამთავროს, ირგანჩაის (№ 5 ყორღანი), ბორნიღელეს, აბანოს ღელეს (ხიმშიანთ მიწები), ბერიკლდეების, ნატახტარი II (ყორღანები), რველის (ბანის ხევის), წალვლის სამაროვნები [ფიცხელაური 2005: 104-105].

ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანის ძეგლების დათარიღების, მათი კულტურული ატრიბუციის საკითხები ჯერ კიდევ დასაზუსტებელია. მაგ. ბაიბურთის სამარხების დათარიღების საკითხი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ასევეა ილტოს კენოტაფთან და სხვა ძეგლებთან მიმართებაშიც. ასეთი სიტუაცია კი ახალ მასალებსა და ადრე გათხრილი მასალების ახლებურ გაანალიზებას ითხოვს. საკითხის გადაწყვეტა დიდად იქნება დამოკიდებული რადიონახშირბადული და სხვა მეთოდების გამოყენებით მიღებულ სერიულ თარიღებზე. ცენტრალური სამხრეთ კავკასიის ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებით დათარიღებულ ყველა ძეგლზე მოპოვებული არტეფაქტების, მკაცრ იერარქიულ სისტემაზე დაფუძნებული, ტიპოლოგიური ანალიზის შედეგად შემუშავებული ტიპოლიგიური რიგების კორელაცია და მათი შეჯერება რადიონახშირბადის მეთოდით მიღებული კალიბრირებულ თარიღებთან, ამ ეპოქის დანაწევრებული ქრონოლოგიის შემუშავებას შეუწყობს ხელს. ამასთან, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კულტურულ-ისტორიული პროცესი აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული. ასეთი კვლევა კი შეიძლება ახალი არქეოლოგიური კულტურის (თუ კულტურების) გამოყოფის საფუძველი გახდეს.

მანამდე კი მხოლოდ გარკვეული ვარაუდების გამოთქმა შეიძლება. მიგვაჩნია, რომ მკვლევართა ნაწილი სამართლიანად გამოყოფს შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე „გარდამავალ“ ეტაპს, რამდენადაც გარკვეულ საფეხურზე მართლაც შეინიშნება ამ ორი კულტურისათვის დამახასიათებელი ელემენტების თანაარსებობა. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ძეგლების ერთ ნაწილზე შუაბრინჯაოს ხანის მასალების სიჭარე შეინიშნება, მეორე ნაწილზე კი მხოლოდ „გარდამავალი“ ეტაპისათვის დამახასიათებელი მასალები გვხვდება.

ჩვენი აზრით, შეიძლება დავუშვათ, რომ „გარდამავალი“ ეტაპი ძვ.წ. XVII ს-ს ან ძვ.წ. XVII საუკუნის მეორე ნახევარს მოიცავს. ეს ეტაპი შეესაბამება გ.ქავთარაძის მიერ გამოყოფილ შუა ბრინჯაოს ხანის II ფაზას, აღ.რამიშვილის გარდამავალი ეტაპის I ფაზას (ძვ.წ. XVI ს. პირველი ნახევარი).

ამ ეტაპის უადრეს ძეგლად თრიალეთში ჯინისის ნამოსახლარი მიგვაჩნია. ჯინისის ნამოსახლარზე აღმოჩენილი კერამიკის ნაწილი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, თხელკეციანია და ზედაპირი გაპრიალებული აქვს. მათ შორის გვხვდება სამკუთხედის ფორმის, წვრილი შტამპით დატანილი სამკუთხედებით შემკული ნატეხები [ამირანაშვილი, ნარიმანიშვილი 2005] (ისინი ჭდევით დატანილ შევრონებს კი არ წარმოადგენენ, რაც დამახასიათებელია გარდამავალი ეტაპის ძეგლებისათვის, არამედ შეუვსებელი სამკუთხედების რიგს). მსგავსი ორნამენტით შემკული ჭურჭლები აღმოჩენილია თრიალეთის I და II ყორღანებში [გოგაძე 1972: ტაბ. XV_{20,21,25}; ტაბ. XVI₁₃, ზურტაკეტის № 3 [ჯაფარიძე 1969: ტაბ. XV], № 4 [ჯაფარიძე 1969: ტაბ. XXI, სურ. 37] ყორღანებში, ქვასათალის № 6 სამარხში [ჯაფარიძე 1969: სურ. 64₁₋₂]; ნატახტარი II და III სამაროვნებზე [სადრაძე 2002: ტაბ. XX₁₀; ტაბ. XVI₅; ტაბ. XXVI_{38,48}]; წინამურის № 13 სამარხში [ნიკოლაიშვილი, ნა-

რომანიშვილი 1995: 59, 69-73, სურ. 358, 362-365, 529-575]. ნატახტრისა და წინამურის სამარხები შუა ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება [სადრაძე 2002: 87-91, 100, 105-108; ნიკოლაიშვილი, ნარიმანიშვილი, 1995: 59; აპაკიძე ი დრ. 1991: 82, ტაბ. 191, 192, 194-195].

შეიძლება ითქვას, რომ ჯინისის ნამოსახლარის ამ ტიპის კერამიკა შუაბრინჯაოს ხანის კერამიკის იდენტურია და ამ ეპოქის ტიპიურ პროდუქტს წარმოადგენს. ჯინისის ნამოსახლარზე, ზემოთ აღნერილ ჭურჭლებთან ერთად გვხვდება ისეთი კერამიკაც, რომლებიც შედარებით უხეშ-კეციანია, ხაოიანი და დაღარული ზედაპირი აქვთ. ასეთ ჭურჭლებს მხარზე ირიბად დაკეჭნილი სარტყელის რიგი შემოუყვება [ამირანაშვილი, ნარიმანიშვილი 2005: ტაბ. CI₆; CXI₅; CXVII₄₋₆; CXIX₉; CXXVI_{7,8}; CXLIX_{1,3}; CL₅; CLXXII₈ CLXXXVII_{5,7}]. ასეთი ჭურჭლები იმერასა და საფარ-ხარაბას სამაროვანებზე აღმოჩენილ ჭურჭლებს ემსგავსება კეცით და დაკეჭნილი ორნამენტით, იმ განსხვავებით, რომ ჯინისის კერამიკისათვის რელიეფური სარტყლები დამახასიათებელი არ არის.

ჯინისის ტიპის ჭურჭლები პირველად შუა ბრინჯაოს ხანის მინურულში ჩნდება [Пицхелаури 1979: 67; აბრამიშვილი 1978: 65]. ასეთ კომპლექსებს რ. აბრამიშვილი შუაბრინჯაოს ხანის მინურულს აკუთვნებს [აბრამიშვილი 1978: 65], კ. ფიცხელაური მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სახის ჭურჭლების შემცველი კომპლექსების შუა ბრინჯაოს ხანის მინურულისადმი მიკუთვნებას ეთანხმება, აღნიშნავს, რომ გარდამავალი ეტაპის გამოყოფა ეჭვს არ იწვევს და შემდგომი აღმოჩენები ამ ეტაპის ცალკეული საფეხურების გამოყოფის საშუალებასაც მოგვცემს [Пицхелаури 1979: 67, შენიშვნა].

ამდენად, ჯინისის ნამოსახლარის შუა ბრინჯაოს ხანის მინურულისათვის მიეკუთვნება მართებულად მიმართია. უფრო სწორად, იგი წარმოადგენს ნამოსახლარს, სადაც პირველად ჩნდება „გარდამავალი“ ეტაპისათვის დამახასიათებელი კერამიკის ერთეული ფრაგმენტები. ნამოსახლარი, ჩვენი აზრით, ძვ.წ. XVII საუკუნით ან XVII ს-ის მეორე ხახევარით უნდა დათარიღდეს.

ქრონოლოგიურად მისი თანადროული უნდა იყოს ის ძეგლები, რომლებიც კ. ფიცხელაურმა შუა ბრინჯაოს მინურულსა და უშუალოდ „გარდამავალ“ ეტაპს შორის მოაქცია, გ. ქავთარაძე კი შუაბრინჯაოს II ფაზას აკუთვნებს.

ის ძეგლები კი, სადაც „შუა ბრინჯაოს მასალებთან ერთად გვიანბრინჯაოს ხანის ტიპიური ნიშნები“ გვხვდება გვიანი ბრინჯაოს ხანის I ფაზას შეიძლება მიეკუთვნოს. ეს ფაზა ძვ.წ. XVI ს უნდა მოთავსდეს.

გვიანი ბრინჯაოს ხანის II ფაზა ძვ.წ. XV-XIV ს-ის შუა ხანებით (ძვ.წ. 1500-1350) უნდა დათარიღდეს. იგი შეესაბამება გ.ქავთარაძის გვიანბრინჯაოს II ფაზას, სადაც ბაიბურთის სამარხებს ათავსებს და ძვ.წ. XIV ს-ით ათარიღებს, ალ. რამიშვილი ამავე სამარხებს გარდამავალი II ფაზა-გვიანბრინჯაო I ფაზაში აქცევს და ძვ.წ. XVI ს-ით ათარიღებს.

საფარ-ხარაბას (ბაიბურთის) და იმერას სამაროვნებს ჩვენ გვიანი ბრინჯაოს ხანის II ფაზაში ვათავსებთ. ბეშქენაშენის (ბეშთაშენი) ნამოსახლარიც ამ ფაზას უნდა მიეკუთვნოს. თუმცა, მასალის სიმცირის გამო, მისი ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოში მოთავსება ჭირს და ამიტომ ზოგადად ძვ.წ. XVI-XIV სს. უნდა დათარიღდეს. თუმცა ძეგლზე დადატურებული ნამოსახლარი ფენის სამი დონე, შემდგომი გათხრების შემთხვევაში, უფრო დანაწევრებული ქრონოლოგის საფუძველი შეიძლება გახდეს [ნარიმანიშვილი 2006]. ბეშთაშენის ნამოსახლარის და საფარ-ხარაბას სამაროვნის თანადროული დასახლებების ნაშთებს ბ.კუფტინმა სოფ. ოზნისთან [Куфтин 1947: 5, 12, 16, 21; კუფტინ 1948: 34-35] და სანთის (უნყოლო) ქვედა „ციკლოპურ“ სიმაგრესთან მიაკვლია [კუფტინ 1936: 73-74].

ამ ფაზაზე უკვე გვაქვს წინააზიური სატევრის გარკვეული ტიპი და Common Style-ს ცილინდრული საბეჭდავები, რომელთა თარიღებიც ამ ფაზის თარიღს მისაღებს ხდის.

ამ დროის მასალებში შუა ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი არტეფაქტები პრაქტიკულად აღარ გვხვდება.

საფარ-ხარაბას სამაროვანზე ორი სახის კერამიკაა აღმოჩენილი. ერთი ნაწილი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია შავად, ზედაპირი გაპრიალებულია. ზოგიერთი ეგზემპლარი შემკულია წნევით დატანილი გაპრიალებული ორნამენტით (ტაბ. XII; XIV; XV). მეორე სახის ჭურჭლები დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან (ტაბ. XIII; XVI), სქელკეციანია, ზედაპირი და ძირი შემკულია რელიეფური, თოკისებურად გრეხილი ან ირიბად დაკეჭნილი სარტყლებით. ორივე სახის კერამიკა ჩარჩხეა ამოყვანილი და უყურო.

საფარ-ხარაბას და იმერას სამაროვანზე აღმოჩენილ კერამიკულ მასალაზე შუა ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი ორნამენტი აღარ გვხვდება. ამ სამაროვნების თიხის ჭურჭელი არც ცენტრალურ-ამიერკავკასიური კულტურისათვის დამახასიათებელი ე.წ. სოლისებური ორნამენტითა შემკული, რომელიც გვიანბრინჯაოს ხანის III ფაზას მიეკუთვნება და ძვ.წ. XIV ს-ის შუა ხანებითა და ძვ.წ. XIII ს-ით (ძვ.წ. 1350-1200 წწ) თარიღდება. რაც შეეხება სამთავრულ კულტურას, რომელსაც რ. აბრამიშვილი ძვ.წ. XIV ს-ით ათარიღებს, იგი ცენტრალურამიერკავკასიური კულტურის მიმდევნო საფეხურს განეკუთვნება [სადრაძე 2002: 148-163, 242-247; ფიცხელაური 2005: 107] და ძვ.წ. XII-XI სს. უნდა დათარიღდეს.

ამდენად, საფარ-ხარაბას სამაროვანი გვიანი ბრინჯაოს ხანის II ფაზას შეესაბამება და ძვ.წ. XV-XIV ს-ის შუა ხანებით თარიღდება.

კ. ფიცხელაურს აღნიშნული აქვს, რომ ძვ.წ. XV ს-ის დასაწყისიდან ყალიბდება ერთგვაროვანი კულტურა, რომელიც წინამორბედი „თრიალეთის ბრწყინვალე ყორლანების“ კულტურის მთელ არეალს იკავებს [Пицхелаяри 1979: 70].

ამ „ერთგვაროვანი კულტურის“ წრეს განეკუთვნება თრიალეთში გათხრილი საფარ-ხარაბას (ბაიბურთი), ბეშენაშენის (ბეშთაშენი), უწყლოს (სანთა), მეთრევანას (იმერა) და ლოშოს (ოზნი) არქეოლოგიური ძეგლები.

ცენტრალურ სამხრეთ კავკასიაში გვიანი ბრინჯაოს II ეტაპის პირველი ძეგლი თრიალეთში, ადგილ ბაიბურთში გაითხარა, რომელიც ბარეთის ტაფობის ცენტრში მდებარეობს. ამიტომ, იმ „ერთგვაროვან კულტურას“, რომელიც „თრიალეთის ბრწყინვალე ყორლანების“ კულტურის მთელ არეალს იკავებს და ძვ.წ. 1500-1350 წწ. თარიღდება, პირობითად, „ბარეთის კულტურა“ შეიძლება ეწოდოს [ნარიმანაშვილი 2006a]. ამ დროს ყალიბდება არტეფაქტების მთელი კომპლექსი, რომელიც შემდგომი, ცენტრალურამიერკავკასიური კულტურისათვისაც არის დამახასიათებელი.

ბარეთისა და ცენტრალურამიერკავკასიური კულტურების ერთ-ერთ ძირითად განმასხვავებელ ელემენტს თიხის ჭურჭელი წარმოადგენს. ცენტრალურამიერკავკასიური კულტურისათვის ე.წ. სოლისებური ორნამენტი (შტამპით) შემკული და ყურიანი კერამიკაა დამახასიათებელი. ასეთი კერამიკა ბარეთის კულტურის ძეგლებზე საერთოდ არ გვხვდება.

ცვლილებები ბარეთის კულტურაში ძვ.წ. XIV ს-ის შუა ხანებიდან შეინიშნება, როდესაც მის წიაღში ჩნდება ახალი მასალები. ეს მოვლენა, როგორც ჩანს, წინა აზიაში მიმდინარე პროცესებთან უნდა იყოს დაკავშირებული. ძალთა ახალმა გადანაწილებამ მითანის სამეფოს დასუსტება და დაცემა გამოიწვია, შეიცვალა კულტურულ-ეკონომიკური გარემო, რამაც სამხრეთ კავკასიაზეც მოახდინა გავლენა.

ბარეთის კულტურის უშუალო გაგრძელებაა ცენტრალურამიერკავკასიური კულტურა, რომელსაც სამთავრული კულტურა მოსდევს [სადრაძე 2002: 148-163, 242-247; ფიცხელაური 2005: 107].

ამდენად, „გარდამავალი“ ეტაპი ძვ.წ. XVII ს-ში უნდა მოთავსდეს, გვიანი ბრინჯაოს ხანის I ფაზა ძვ.წ. XVI ს-ით დათარიღდეს, გვიანი ბრინჯაოს II ფაზა ძვ.წ. XV-XIV ს შუა ხანებით და ამ ფაზას მიეკუთვნოს „ბარეთის კულტურის“ ძეგლები, გვიანი ბრინჯაოს III ფაზა ძვ.წ. XIV ს-ის შუა ხანებით და ძვ.წ. XIII ს-ით, რომელსაც მიეკუთვნება „ცენტრალურამიერკავკასიური კულტურის“ ძეგლები, გვიანი ბრინჯაოს IV ფაზაში უნდა მოთავსდეს „სამთავრული კულტურის“ ძეგლები და ძვ.წ. XII-XI სს. დათარიღდეს (ცენტრალურამიერკავკასიური და სამთავრული კულტურების ურ-

თიერთმიმართების საკითხი ამჟამად ჩვენი ნაშრომის ფარგლებს სცილდება და ცალკე მსჯელობის საგანს წარმოადგენს).

დასკვნა. საფარ-ხარაბას და იმერას სამაროვნებზე მოპოვებული მასალები სამხრეთ კავკა-სიაში ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად შესწავლილ პერიოდს მიეკუთვნება. ძვ.წ. XV-XIV სს. დათა-რილებული სამარხები აღნიშნული რეგიონის ბევრ პუნქტშია გათხრილი, მაგრამ მათი შესაბამისი ნამოსახლარები პრაქტიკულად ცნობილი არ არის. ამ ეპოქის ნამოსახლარის მცირე ნაწილი წალკაშივე, სოფ. ბეჭთაშენსა და სოფ. საფარ-ხარაბას შორისაა გათხრილი. სამაროვნის სამხრეთით მდებარე დიდი დასახლებას რთული თავდაცვითი სისტემა აქვს. იგი მდინარეთა შესართავში, ღრმა კანიონებს შორის მოქცეულ კონცხზეა გამართული, რაც თავდაცვისუნარიანობის გაზრდას უწყობდა ხელს. ნამოსახლარზე გათხრილი ძვ.წ. XV-XIV სს-ის ფენა სამ დონეს შეიცავს.

თრიალეთში დღეისათვის ამ ეპოქის ხუთი ძეგლია გათხრილი: ბეჭთაშენის, ოზნის და სანთის ნამოსახლარები, იმერას და საფარ-ხარაბას სამაროვნები.

ბეჭთაშენის ნამოსახლარის მხოლოდ მცირე ნაწილია გათხრილი. ნამოსახლარის ის ნაწილი, რომელიც გაითხარა გვიანდელი სამშენებლო საქმიანობით ძლიერაა დაზიანებული, შემორჩენილია სახლის ერთი კუთხე და იატაკის ნაწილი. ამდენად ამ პერიოდის არქიტექტურაზე საუბარი ჭირს. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ განათხარ ფართობზე დაფიქსირდა ერთი ფენა სამი სამშენებლო დონით.

იმერას სამაროვნის ენერგოკორიდორში მოქცეული ნაწილი ინტენსიურად არ არის ათვისებული. სამაროვნის შესწავლილი ფართობი მიუთითებს, რომ სამარხების ძირითადი ნაწილი, სავარაუდოდ ენერგოკორიდორის ჩრდილოეთით მდებარეობს. საფარ-ხარაბას სამაროვნისაგან განსხვავებით, იმერას სამაროვანი ღარიბულ ინვენტარს შეიცავს და არც გამორჩეული სამარხები გვხვდება. თუმცა გასათვალინებელია, რომ საფარ-ხარაბაში 115 სამარხი გაითხარა, იმერაში კი მხოლოდ შვიდი.

თრიალეთის ამ ეპოქის ძეგლებს შორის გამორჩეული ადგილი საფარ-ხარაბას სამაროვანს უკავია. აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე მისი სიგრძე 1500 მ-ია, სიგანე კი 400-500 მ-ს აღწევს. 2003-2005 წლებში სამაროვანზე 115 სამარხი გაითხარა. სამაროვანზე აღმოჩენილი მასალები მიუთითებენ, რომ საზოგადოებას, რომელსაც ეს სამარხები ეკუთვნის, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის, არამედ ახლო აღმოსავლეთის უძველეს ცივილიზაციებთან. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მითანური ცილინდრული საბეჭდავები ("Common Style"). ამ ტიპის საბეჭდავები სამხრეთ კავკასიაში იშვიათად გვხვდება, ისინი აქ იმპორტს წარმოადგენენ, რაც ამ რეგიონის გარე სამყაროსთან მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკურ კავშირებზე მიუთითებს. ასეთ ურთიერთობას საფარ-ხარაბას სამაროვანზე და სამხრეთ კავკასიის სხვა, თანადროულ ძეგლებზე აღმოჩენილი მესოპოტამიური, ანატოლიური და ეგვიპტური ნივთებიც ადასტურებენ.

სამხრეთ კავკასიაში ცილინდრული საბეჭდავების და სხვა წინააზიური ნივთების აღმოჩენა ამ რეგიონის ხური-მითანის სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირზე მიუთითებს, რომელიც ძვ.წ. XVI ს-დან ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო ხდება. მითანის სამეფო დინასტია ნათესაურ კავშირებს ამყარებს ეგვიპტის XVIII დინასტიის (ძვ.წ. 1550-1355 წწ) ფარაონებთან [ИДВ 1988: 73].

ხურიტები ახლო აღმოსავლეთში უძველესი დროიდან სახლობდნენ. ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებსა და ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში ზაგროსის მთიანეთში უკვე არსებობენ ხურიტები სახელმწიფოები (კარახარი, მოგვიანებით შუშარა, არაქსა და ა.შ.). შესაძლოა ძვ.წ. III ათასწლეულში სწორედ ხურიტები იკავებენ ევფრატის ზემო წელს. ხურიტულენოვანი წარმომადგენლობა არსებობდა ქანებშის სავაჭრო ცენტრში და მასთან დაკავშირებულ სხვა ქალაქებში (განსაკუთებით ურშუში). ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ტავროსისა და ზაგროსის მთიანეთის

მოსახლეობა ახლო აღმოსავლეთის დასავლეთ ოლქებთან ვაჭრობას უფრო ადრე აწარმოებდა, ვიდრე მათთან პოლიტიკურ კონტაქტებს დაამყარებდა [ИДВ 1988: 66-67].

ძვ.წ. XVI საუკუნეში ხურიტული მოსახლეობის გავლენა ევფრატის დასავლეთით უკვე ძლიერი იყო. ძვ.წ. XV საუკუნისათვის ხური-მითანის სამეფო უძლიერეს პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენდა. ძვ.წ. XIV საუკუნისათვის იგი იმდენად ანგარიშგასანევი ძალა იყო, რომ ეგვიპტის ფარაონები მასთან ბრძოლას მითანის მეფებთან ნათესაური კავშირების დამყარებას ამჯობინებდნენ. თუთმოს IV-ის ცოლი ართათამა I-ის ასული იყო. ამენხოტეპ III-ს ცოლად ყავდა შუთარნა I-ის ასული, კელუ-ხეფუ. შესაძლოა ამენხოტეპ IV-ის ულამაზესი მეუღლე, ნეფერტიტი თუშრატას ასული იყო [Египетская мифология 2002: 357-358].

მითანელები დაპყრობით ომებში ეყრდნობოდნენ სამხედრო ელიტას, ჯარს, რომელსაც როგორც მითანში, ისე სირია-პალესტინაში ეწოდებოდა *marijanni-na*. ამ სიტყვას დაუსაბუთებლად უკავშირებდნენ ძველ ინდურ *marya-s* რაც „ახალგაზრდა კაცს“, ავესტაში კი „მამაკაცთა კავშირის წევრს“ ნიშნავდა. შემდგომ ეს ფენა გადაიქცა თავისებურ დიდგვაროვანთა წოდებად — „საბრძოლო ეტლებზე მოარულებლად“, თუმცა ალალახის არქივის ტექსტებიდან ცნობილია ისეთი *marijanni-na* რომლებსაც არა აქვთ საბრძოლო ეტლი [Вильхельм 1992: 47-48]. გასათვალისწინებელია ის ფაქტი რომ სირია-პალესტინაში ცხენის და ეტლის შენახვა ძალიან ძვირი ჯდებოდა და მხოლოდ მდიდარ ხალხს შეეძლო [Вильхельм 1992: 47].

ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანების სამხრეთ კავკასიაში ეტლით, ან ხის სარეცელით (საზიდარით) მიცვალებულის დაკრძალვა, ან მიცვალებულისათვის ურმის დეტალების ჩატანება, შესაძლოა, კავკასიის ტერიტორიაზე სწორედ ამ სოციალური ფენის არსებობაზე მიუთითებდეს. ზემოაღნიშნულზე შეიძლება ის ფაქტიც მიუთითებდეს, რომ ეტლიან სამარხებში დაკრძალულები არიან როგორც მამაკაცები, ისე ქალები (საფარ-ხარაბას № 30 სამარხი, ბერიკლდები, ლჭაშენი). ჩვენი აზრით, სამხრეთ კავკასიაში ეტლიან სამარხებში დაკრძალული მიცვალებულები სწორედ ეს *marijanni-na* დიდგვაროვნები არიან და მათი მაღალი სოციალური წარმომავლობის მაჩვენებელი ეტლია (საინტერესოა, რომ სვანურად მამაკაცი, მამრი არის მაარე და სახელი *marijanni-na* შესაძლოა ქართულენოვანი წარმომავლობის იყოს).

მეცნიერთა ნაწილის აზრით, ძვ.წ. II ათასწლეულის მთელ მანძილზე მითანის ჩრდილოეთი რეგიონებიდან და არაპხადან თანამედროვე სომხეთისა და სამხრეთ საქართველომდე, შესაძლოა კავკასიის მთებამდეც, მოსახლეობა ეთნიკურად ერთგვაროვანი იყო [ИДВ 1988: 90]. ბ. პიოტროვსკის აზრით, მრავალი საერთო ნიშანი შეინიშნება ამ რეგიონებში გავრცელებულ კერამიკაში, შეიარაღებაში, მშენებლობაში და ა.შ., საერთო ნიშნები ჩანს სამხრეთ ოლქების ხურიტებსა (ტიგროსის სამხრეთი, ზემო მესოპოტამია, ჩრდილოეთ სირია) და ცენტრალური ამიერკავკასიის მოსახლეობას შორისაც [ИДВ 1988: 90].

თანამედროვე ლინგვისტიკური მონაცემებით ხურიტული ენა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიური (ნახურ-დაღესტნური) ენების მონათესავეა. უძველესი ხურიტული ტექსტები ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდანაა ცნობილი. ძვ.წ. I ათასწლეულიდან კი ამ ენაზე შესრულებული ტექსტები აღარ გვხვდება [Лингвистический словарь 1990: 574]. დიაკონოვის აზრით, ცალკეული ლექსიკური მსგავსება ხურიტულსა და ქართველურ ენებს შორის შესაძლოა შორეულ ნათესაურ კავშირებზე მეტყველებს [Дьяконов 1980: 104].

ქართულ ენაში დადასტურებულია ურარტული გამოთქმები, რომლებსაც პირველად ა. სვანიძემ მიაქცია ყურადღება; ასეთებია: „ყირამალა“, „თავდაყირა“, „ივრი არალე“, „არი არალე“, „თარი არალე“. გ. მელიქიშვილი ამ ლექსიკის გაჩენას ხსნის იმით, რომ ურარტული ტომების გარკვეულმა ნაწილმა ქართველურ ტომებთან ასიმილაცია განიცადა და ქართველი ხალხის შემადგენლობაში შევიდა [Меликишвили 1959: 117]. ასევე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხურიტულ-ქართველური ლექსიკური თანხვედრა იმ უძველეს ერთობაზე მიუთითებს, რომელიც ურარტულ ხაზე გაცილებით ადრე უნდა არსებულიყო.

ძვ.წ. XIV ს-ს მეორე ნახევარში ხეთების სამეფო, ეგვიპტე და ასურეთი გაერთიანებული ძალებით გამოვიდნენ მითანის წინააღმდეგ. ხეთების მეფე სუფილულიუმა I-მა (ძვ.წ. 1340-1325 წწ) დაიპყრო მითანის მთელი მიწები ხმელთაშუაზღვამდე, კარხემიშის ჩათვლით [ვილხელმ 1992: 69]. XIII ს-ის შუა ხანებში ასურეთის მეფე ადადნერარი I დაიპყრო მითანის დიდი ნანილი [ვილხელმ 1992: 75].

საფარ-ხარაბას სამაროვანზე აღმოჩენილია თვლიანი მძივები (2005 წელს გათხრილი №№ 6, 56, 73 სამარხები; ტაბ. XIX₁₁, XX_{19,20}), ჯიხვისთავიანი საკინძი [Куфтин 1941: 77, სურ. 87₁] და ქუსლიანი ჭურჭელი (ტაბ. XIV₇), რომელთა უახლოესი პარალელები ჩრდილოეთ ირანში, სამხრეთ თურქმენეთსა და ჩრდილოეთ ავღანეთში გვხვდება. თეთრი ან წითელი პასტით ინკუსტრიორებული ბიკონუსური მძივები გავრცელებული იყო ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანში (თეფე ჰისარი III); სამხრეთ თურქმენეთში (მურდაბის აუზი), ნამაზგა VI პერიოდში; ინდის ველზე, პოსტხარაპულ კულტურაში; ჩრდილოეთ ავღანეთში (მუნდიგაკი) და ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდებიან. იგივე რეგიონშია გავრცელებული და ამავე პერიოდს მიეკუთვნება რქოსანი ცხოველის (ჯიხვი, ხარი) თავიანი საკინძები [Саринаниди 1977: 83-84, 102-104]. ქუსლიანი ვაზები და სასმისები გავრცელებულია ზაგროსის მთიანეთში, გიანის კულტურაში, სადაც ქრონოლოგიურად II ათასწლეულში ექცევა, ტერიტორიულად კი ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ ირანშია გავრცელებული [Станкевич 1978: 17-31]. თრიალეთისა და კასპიის ზღვის სამხრეთ რაიონებში მსგავსი მასალების აღმოჩენა ამ რეგიონების გარკვეულ კონტაქტებზეც უნდა მიუთითებდეს.

ძვ.წ. მეორე ათასწლეულის II ნახევარში ხური-მითანის სამეფოს ტერიტორიის უდიდეს ნაწილს ნაირის ქვეყნების გაერთიანება იკავებს, რომლის სათავეში დიაუხის სამეფო ჩანს. ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულისათვის, ნაირის ქვეყნების კოლიციიდან წინა პლაზე ურარტუ გამოდის, რომელიც ძვ.წ. IX საუკუნიდან უძლიერესი სახელმწიფო ხდება.

ჩვენი აზრით, ძვ.წ. XVI-XIV სს-ში, ხური-მითანის ძლიერების ხანაში, თრიალეთი განიცდიდა ამ სამეფოს ძლიერ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ გავლენას, რის შედეგად საფარ-ხარაბას სამაროვნის ინვენტარში ჩნდება წინააზიური ტიპის მახვილები, „Common Style“-ის ხური-მითანიური საბეჭდავები, მინის მძივები და ეგვიპტური სკარაბეები. ძვ.წ. II ათასწლ. დასწყისში პოლიტიკური ძალების გადანაწილებას და ახალი სახელმწიფოების ჩამოყალიბებას მოჰყვა მახლობელ აღმოსავლეთში ძველი საქარავნო გზების მოშლა. მანამდე (ძვ.წ. IV-III ათასწლეული) სავაჭრო გზა სამხრეთ კავკასიიდან მესოპოტამიაში, სირიასა და პალესტინაში, როგორც ჩანს, გადიოდა მალათიაზე. ამ ფაქტმა ხელი შეუწყო ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურების ჩამოყალიბებას ანატოლიაში [Меллаарт 1985: 24] და შესაძლოა კავკასიაში, აგრეთვე მათ გავრცელებას სამხრეთით. ეს სავაჭრო გზა, ძვ. წ. II ათასწლ. დასაწყისში, ისევე როგორც ასირიელების სავაჭრო კოლონიები განადგურდა. II ათასწლ. შუა ხანებისათვის კავშირი სამხრეთ კავკასიასა და მესოპოტამიას შორის, შესაძლოა ხორციელდებოდა მცირე ზაბისა და არბელას გავლით. ამ ტერიტორიებს კი ძვ. წ. XV-XIV სს-ში. აკონტროლებდა მითანი [Нариманишвили 2004: 105].

კავკასიაში კულტურის ახალი ელემენტების გაჩენა თან სდევს ხური-მითანის სახელმწიფოს აყვავებას. მესოპოტამიური და ეგვიპტური იმპორტი წარმოადგენდა პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეიბის ანარეკლს მახლობელ აღმოსავლეთში. ცილინდრულ საბჭდავებთან ერთად კავკასიაში ვრცელდება წინა აზიური ტიპის სატევრები და მახვილები, მესოპოტამიური და ეგვიპტური იმპორტი (სკარაბეები, საბეჭდავები, მძივები), ყალიბდება კერამიკის დამზადების სრულიად ახალი ტექნოლოგია. გავრცელებას იწყებს კერამიკის ახალი ტიპები. ჩნდება ორბორბლიანი ეტლები და საზიდოები, რომელშიც, როგორც ჩანს, ცხენები იყო შებმული.

ძვ.წ. II ათასწლეულში სავაჭრო ქარავნების ძირითად ტვირთს წარმოადგენდა ქსოვილები. მათ შორის იყო სხვადასხვა ფერის შალის და სელის ქსოვილები. ტანისამოსი, განსაკუთრებით კი

კარგი ტანისამოსი ხეთურ ანატოლიაში საკმაოდ ძვირად ფასობდა. ლამაზი ტანსაცმელი ღირდა 30 სიკლი, რაც 30 ცხვარს შეესაბამებოდა [Герни 1987: 78-79].

საფარ-ხარაბას სამაროვანზე დაფიქსირებული იყო სხვადასხვა ფაქტურის და ფერის (მენა-მული, ფირუზისფერი, ყავისფერი, ნაცრისფერი და ლურჯი) სელის და შალის ქსოვილები. ზოგი-ერთი ნიმუში ჯერ არაა განსაზღვრული. ზოგი ნიმუში უხეში და შეუდებავია. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია წითელი-მენამული ფერის ქსოვილის ნაშთი (№ 85 სამარხიდან). მენამული ფერის ქსოვილების წარმოება და გავრცელება ძვ.წ. II ათასწლ. შუა ხანებში აღმოსავლეთ ხმელ-თაშუაზღვისპირეთის (ლევანტის) ქალაქების მონოპოლიას წარმოადგენდა. წითელი საღებავი კეთდებოდა მხოლოდ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის სანაპიროზე არსებული მოლუს-კების სახეობისაგან [ИДВ 1988: 74; ბერიქარდ 1982: 90]. ამ მოლუსკებისაგან საღებავს ფინიკიე-ლებამდეც აკეთებდნენ, მაგრამ ფინიკიელებმა იზრუნეს მის გავრცელებაზე მეზობელ ქვეყნებში [Берриქард 1982: 90]. სწორედ ფინიკიელებმა დაიწყეს ამ მოლუსკებისაგან (Murex) მიღებული სა-ღებავით სელის და შალის შეღებვა მენამულისფერ-წითლად და ლილისფერ-ლურჯად. ამის შე-დეგად დიდ სამეურნეო მნიშვნელობას იძენს იაფი შეუდებავი შალის შემოტანა სირიის მეცხოვე-ლეობის რაიონებიდან და შემდეგ კი მთელი წინა აზიიდან. ფინიკიდან კი წითლად და ლურჯად შეღებილი ქსოვილი გადიოდა დიდ ფასად. თავად საღებავი, შეღებილი ნივთებისგან განსხვავე-ბით, ვერ უძლებდა ხანგრძლივ შენახვას, ამიტომ ექსპორტის საგანი ვერ იქნებოდა [ИДВ 1988: 236]. სამხრეთ კავკასიიდან ექსპორტის საგანს ალბათ წარმოადგენდა ლითონი, მატყლი, ტყავი, ხე-ტყე და ცხენები.

ძვ.წ. II ათასწლეულში ახლო აღმოსავლეთში ცხენი და ცხენით შებმული ეტლი ძალზე ძვირად ფასობდა. შესაბმელი ცხენი ანატოლიაში 30 სიკლი ღირდა [Герни 1987: 78]. ცნობილია კიკული მი-თანიელის და უგარიტის არქივებში შემონახული ტრაქტატები ცხენების მოვლის შესახებ. ეტყ-ობა ცხენი იმდენად ეგზოტიკური ცხოველი იყო და მისი მოვლა იმდენად უჩვეულო საქმე, რომ მეჯინიბებსა და მეეტლებისათვის სპეციალური ინსტრუქციები იყო საჭირო. ჩვენამდე არ მო-ულწევია შრომებს, თუ როგორ უნდა მოიხსას მიწა, ანდა გამოიძერწოს ქოთანი. ასეთი ინფორმა-ცია მთამომავლობას გადაეცემოდა როგორც საყოფაცხოვრებო ცოდნის ელემენტი, რომელიც ყველასათვის კარგად იყო ცნობილი. ტრაქტატები ცხენის მოვლის შესახებ გამონაკლისს წარმო-ადგენდა [Шифმან 1987: 41-42].

ძვ.წ. II ათასწლეულში სირია-პალესტინაში ცხენი დიდი იშვიათობა იყო. ჯერ კიდევ ძვ.წ. XIV-XIII სს-ში ცხენები სახელმწიფოებათშორისო ვაჭრობის ობიექტს წარმოადგენდნენ და ძალზე ძვირად ფასობდნენ [Шифმან 1987: 41].

ასირიული წყაროების მიხედვით, ასურეთში უძველესი დროიდან ცხენები მეზობელი, ჩრდი-ლო-აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებიდან შემოჰყავდათ [Пиотровский 1959: 151].

თიგლათფილესერ I-მა ნაირის მეფეთა კავშირზე გამარჯვების შემდეგ მათ 1200 ცხენი და 2000 მსხვილფეხა რქოსანი საქონლის გადახდის ვალდებულება დააკისრა. სალამანსარ III ცხენე-ბის დიდ რაოდენობას იღებდა ურმიის ტბისპირეთიდან. ურარტულ წარწერებში ხშირადა მოთხ-რობილი ამიერკავკასიის რეგიონებიდან ცხენების გამორეკვის შესახებ ვანის სამეფოს ცენტრში. ნადავლის სიაში პირველ ადგილას ცხენებია მოხსენიებული [Пиотровский 1959: 151].

მოშინაურებული ცხენი ანატოლიასა და სამხრეთ კავკასიაში სავარაუდოდ IV-III ათასწლეუ-ლებში არსებობდა [Burney 1993: 314] ძვ.წ. XVII-XVI სს. ნამოსახლარებზე თრიალეთში ოსტეოლო-გიური მასალით დასტურდება ამ ცხოველის გამოყენება ყოფაში. II ათასწლეულის მეორე ნახე-ვარში კი შეიძლება ვიღაპარაკოთ განვითარებულ მეცხენეობაზე. შესაძლოა II ათასწლეულში იგი ვაჭრობის, კერძოდ კი სამხრეთ კავკასიიდან ექსპორტის ობიექტი იყო, რასაც აადვილებდა ეთნი-კურად ერთგვარი მოსახლეობის და ძვ.წ. XVI-XIV სს. ხური-მითანის სამეფოს არსებობა სამხრეთ კავკასიიდან სირია-პალესტინამდე.

ძვ.წ. XV-XIV სს. თრიალეთი, ისევე როგორც ბარეთის კულტურის არეალი, მითანის სამეფოს კულტურულ-ეკონომიკურ გავლენას განიცდის. არ არის გამორიცხული გარკვეული პოლიტიკური ინტეგრაციაც.

სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ რეგიონებში ძვ.წ. XVI ს-დან იწყება „ციკლოპური“ ნამოსახლარებისა და სიმაგრეების მშენებლობა, რომლებიც ძვ.წ. XIII ს-დან იმ ტერიტორიას ფარავენ, სადაც ადრე თრიალეთის და ბარეთის კულტურის ძეგლები იყო გავრცელებული. „ციკლოპური“ წყობით ნაგები ძეგლები შუა ბრინჯაოს ხანაშიც გვხვდება (დასაკრძალავდარბაზინი ყორდანები, შაორის მთის წვერზე განლაგებული სატაძრო კომპლექსი), თუმცა ისინი საკულტო ხასიათისაა. თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობა კი აღბათ, ძვ.წ. XVI საუკუნიდან იწყება (ბეშენაშენი).

„ციკლოპური“ ძეგლების არეალში, როგორც ჩანს, ყალიბდება ცალკეული „სამეფოები“, რომელთა შორის თავისი სიძლიერით დიაუხი-დაიაენის „სამეფო“ გამოირჩევა.

ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში ხური-მითანის სამეფოს ტერიტორიის უდიდეს ნაწილს „ნაირის ქვეყნების“ გაერთიანება იყავებს, რომლის სათავეში დიაუხის სამეფო ჩანს.

ლიტერატურა

აპრამიშვილი მ. 2003: თრიალეთის კულტურის აბსოლუტური ქრონოლოგიის საკითხისათვის (დამატებითი საბუთები „მაღალი ქრონოლოგიისათვის“). – ბ. მაისურაძე, ნ. ახვლედიანი (რედ.), კავკასიის ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიის პრობლემები (ძიებანი, დამატებანი X), 48-52. თბილისი.

აპრამიშვილი რ. 1957: სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის. – სსმმ, XIX-A და XXI-B, 115-140.

აპრამიშვილი რ. 1961: რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. – სსმმ, XXII-B, 291-382.

აპრამიშვილი რ. 1978: თრელის შუა და გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანი. – თბილისი, I, 48-85. თბილისი.

ამირანაშვილი ჯ., ნარიმანიშვილი გ. 2005: ჯინისის ნამოსახლარი. – თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2004 წელს ჩატარებული მუშაოების ანგარიში (ხელნაწერი ინახება საქართველოს არქეოლოგიურ კომისიაში), 333-865. თბილისი.

ბენდუქიძე ო. 2005: ჯინისის აღმოჩენილი ოსტეოლოგიური მასალის შესახებ. – თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2004 წელს ჩატარებული საველე სამუშაოების ტექნიკური ჯგუფის ანგარიში (ხელნაწერი. ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ბიბლიოთეკაში), 2-14. თბილისი.

ბერძენიშვილი ნ. 1963: ხრამის ხეობის პალეოლითური ძეგლები. – მსკა, III, 5-17. თბილისი.

გაბუნია მ. 1965: ეძანის (ბარმაქსიზის) ეხში 1963-64 წლებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები. – სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1964 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები-სადმი, 5-8. თბილისი.

გაბუნია მ. 1972: ხრამის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1971 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. – სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1971 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები-სადმი, 3-4. თბილისი.

გაბუნია მ. 1976: თრიალეთის მეზოლითური კულტურა. თბილისი.

გაგოშიძე ი. 1982: თრიალეთის სამაროვნები. – კატალოგი III. თბილისი.

გეგეშიძე მ. 1956: ქართული ხალხური ტრანსპორტი. თბილისი.

გოგაძე ე. 1972: თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბილისი.

გძელიშვილი ი. 1950: ხადიკის ყორღანი. – სმამ, ტ. XI, № 10, 697-704.

გძელიშვილი ი. 1954: ყორღანი თრიალეთში. – სმამ, ტ. XV, № 1, 49-56.

კუფტინი პ. 1949: ქართული კულტურის უძველესი კერა თრიალეთში. თბილისი.

მელიქეთ-ბეგი ლ. 1938: მეგალითური კულტურა საქართველოში. თბილისი.

მენაბდე მ., დავლიანიძე ც. 1968: თრიალეთის სამაროვნები, კატალოგი, I. თბილისი.

მუმლაძე მ. 2002: არქეოლოგია ქართულ პერიოდიკაში. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.

ნარიმანიშვილი გ. 1992: წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიცია 1991 წელს (ხელნაწერი ინახება საქართველოს არქეოლოგიურ კომისიაში), 2-35. თბილისი.

ნარიმანიშვილი გ. 2004: წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 2003 წლის ანგარიში (ხელნაწერი ინახება საქართველოს არქეოლოგიურ კომისიაში), 27-361. თბილისი.

ნარიმანიშვილი გ. 2005: საფარ-ხარაბას სამაროვანი. – წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 2004 წლის ანგარიში (ხელნაწერი ინახება საქართველოს არქეოლოგიურ კომისიაში), 239-320. თბილისი.

ნარიმანიშვილი გ. 2006: თრიალეთი ძვ.ნ. II ათასწლეულში (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი.

ნარიმანიშვილი გ. 2006: საფარ-ხარაბას სამაროვანი. – ძიებანი, №17-18, 92-126.

ნარიმანიშვილი გ., მახარაძე ზ., ხიმშიაშვილი კ., შანშაშვილი ნ. 1996: „ციკლოპური“ ნამოსახლარების შესწავლისათვის. – სამეცნიერო შრომების წელიწლეული II, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო, 52-55. თბილისი.

ნარიმანიშვილი გ., მახარაძე ზ., შანშაშვილი ნ., მელიქიძე შ. 2004: წალკის ექსპედიცია 1990-92 წლებში. – საკბ, 123-128. თბილისი.

ნარიმანიშვილი გ., მინდიაშვილი გ., შანშაშვილი ნ., ახალაია ლ., ჭანიშვილი გ., მელიქიძე შ., თევზაძე ა., გლურჯიძე პ. 1998: თრიალეთის „ციკლოპური“ ნაგებობები. – ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის პროგრამა, ფონდი „ლია საზოგადოება - საქართველო“, 39-55. თბილისი.

ნარიმანიშვილი გ., შანშაშვილი ნ. 1997: თრიალეთის „ციკლოპური“ ნამოსახლარები ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შუქზე. – კავკასიის არქეოლოგია, უახლესი აღმოჩენები და პესპექტივები. საერთაშორისო სამეცნიერო მოხსენებათა მოკლე შინაარსები, 29-31. თბილისი.

ნიკოლაიშვილი ვ., ნარიმანიშვილი გ. 1995: ნინამური, III. – მცხეთა X, 58-96. თბილისი.

რამიშვილი ალ. 2004: ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები წალვლში (ძიებანი, დამატებანი VII). თბილისი.

სადრაძე ვ. 2002: მცხეთისა და მისი შემოგარენის ძვ.ნ. II-I ათასწლეულის პირველი ნახევრის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

ფიცხელაური კ. 1973: აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ.ნ. XV-XII სა). თბილისი.

ფიცხელაური კ. 2005: ცენტრალურამიერკავკასიური არქეოლოგიური კულტურა ძვ.ნ. XIV-XIII სს. თბილისი.

ქავთარაძე გ. 1981: საქართველოს ენეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე. თბილისი.

ქორიძე დ. 1955: თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ტ. I. თბილისი.

ქორიძე დ. 1958: თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ტ. II. თბილისი.

ყვავაძე ე. 2004: თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2003 წელს მოპოვებული მასალების პალინოლოგიური შესწავლის ანგარიში. – თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2003 წელს ჩა-

ტარებული მუშაობის ანგარიში (ხელნაწერი ინახება საქართველოს არქეოლოგიურ კომისიაში), 18-72. თბილისი.

ყვავაძე ე. 2005: თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2004 წელს მოპოვებული მასალების პალინოლოგიური კვლევის შედეგები. – თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2004 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში (ხელნაწერი ინახება საქართველოს არქეოლოგიურ კომისიაში), 2-36. თბილისი.

შანშაშვილი ნ., ნარიმანიშვილი გ. 1996: თრიალეთის „ციკლოპური“ ნამოსახლარები. – ძმ, № 4 (95), 44-52.

შანშაშვილი ნ., ნარიმანიშვილი გ. 1997: „ციკლოპური“ ნამოსახლარების გათხრები ნალკის რაიონში. – კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია I, მოხსენებათა მოკლე შინაარსი, 35-36. თბილისი.

ჩარკვიანი 2002: ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ჩატარებული საველე არქეოლოგიური სამუშაოები. – ძიებანი, № 9, 88-100.

ჩუბინიშვილი ტ. 1957: მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

ჯაფარიძე მ. 1960: არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში (1957-58 წწ.). თბილისი.

ჯაფარიძე მ. 1962: თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1960-61 წწ. ნინასწარული ანგარიში. – საქართველოში 1961 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, 19-21. თბილისი.

ჯაფარიძე მ. 1964: 1962-1963 წლების თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები. – თსუ შრომები, № 107, 65-75.

ჯაფარიძე მ. 1969: არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. თბილისი.

Амиранашвили Дж., Нариманишвили Г. 2005: Поселение эпохи средней бронзы из Триалети. – Т. Бунятов (ред.), Археология, Этнология, Фольклористика Кавказа, - 42-43. Баку.

Апакидзе А., Николаишвили В., Гиунашвили Г., Давлианидзе Р., Джгаркава Т., Нариманишвили Г., Садрадзе В., Сихарулидзе А. 1991: Мцхетская экспедиция. – ПАИ в 1986 году, 79-85. -

Афанасьевая В. 1979: Гильгамеш и Энкиду. Москва.

Бадж Э. А. У. 2001: Мумия. Материалы археологических исследований египетских гробниц. Москва.

Бернхардт К. 1982: Древний Ливан. Москва.

Британский музей. 1980: составитель текста Б. Ривкин. Москва.

Вильхельм Г. 1992: Древний народ хурриты. Москва.

Габуния М. 1974: Краткий отчёт Триалетской поисковой археологической экспедиции. – ПАИ в 1973 году, 7-8.

Герни О. 1987: Хетты. Москва.

Дьяконов И. 1980: Хуритский язык и другие субстратные языки Малой Азии. – Древние языки Малой Азии, 99-106. Москва.

Египетская мифология. 2002. - Энциклопедия. Москва.

Есаян С. 1976: Древняя культура племён Северо-Восточной Армении (III-I тыс. до н.э.). Ереван.

Жоржикашвили Л., Гогадзе Э. 1974: Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы. Тбилиси.

ИДВ 1988: История Древнего Востока. Часть II. Под ред. Г. М. Богдан-Левина. Москва.

Иоакимов А. 1882: Выписка из дневника археологических работ на Цалке. – Известия Кавказского общества истории и археологии, т. 1, вып. 1. Тифлис.

Квавадзе Э., Коннор С., Нариманишвили Г. 2007: Позднеплейстоценовая и Голоценовая история развития ландшафтов окрестностей Цалки (Южная Грузия) по палинологическим данным озёрных и почвенных образований. – პალებიოლოგიის პროცედურები, ტ. II, 12-23. თბილისი.

Кавтарадзе Г. 1983: К хронологии эпохи энеолита и бронзы Грузии. Тбилиси.

Куфтин Б. 1936: Дневник работ Археологического отряда Цалкской комплексной экспедиции. рукопись. Тбилиси.

Куфтин Б. 1939: Дневник Археологического отряда Цалкской комплексной экспедиции. рукопись. Тбилиси.

- Куфтин Б. 1941:** Археологические раскопки в Триалети. Тбилиси.
- Куфтин Б. 1947:** Дневник Триалетской Археологической экспедиции. рукопись. Тбилиси.
- Куфтин Б. 1948:** Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе. Тбилиси.
- Куфтин Б. 1949:** Археологическая маршрутная экспедиция 1947 года в Юго Осетию и Имеретию. Тбилиси.
- Леонтьев А. 1990:** Путешествие по карте языков мира. Москва.
- Лингвистический словарь 1990:** Лингвистический энциклопедический словарь. Москва.
- Мартиросян А. 1964:** Армения в эпоху бронзы и раннего железа. Ереван.
- Меликишвили Г. 1959:** К истории древней Грузии. Тбилиси.
- Меллаарт Дж. 1985:** Торговля и торговые пути между северной Сирией и Анатолией (4000-1500 гг. до н.э.). – сб. Древняя Эбла, 20-33. Москва.
- Нариманишвили Г., Шанашвили Н., 2000:** Проблемы генезиса на Южном Кавказе в свете новейших археологических открытий в Цалка-Триалети. – Международная научная конференция „археология и этнография Кавказа“, 63-65. Баку.
- Нариманишвили Г. 2004:** Цилиндрические печати из Триалети. – Г. Гамбашидзе (ред.), Археология, Этнология, Фолклористика Кавказа, 105-106. Тбилиси.
- Нариманишвили Г. 2005:** К изучению знаков отличия (инсигния из Триалети). – Т. Бунятов (ред.), Археология, Этнология, Фолклористика Кавказа. Баку.
- Пилипоян А. 1998:** Печати Армянского нагорья в системе древневосточной глиптики (на армянск. яз.). Ереван.
- Пилипоян А. 1999:** Древневосточные кинжалы и мечи с рамочной рукоятью. Ереван.
- Пиоторовский Б. 1959:** Ванское царство (Урарту). Москва.
- Пицхелаури К. 1979:** Конец Бронзового века на Кавказе. Тбилиси.
- Пицхелаури К. 1990:** Новые аспекты хронологии археологических памятников центральной части Южного Кавказа. – Междисциплинарные исследования культурогенеза и этногенеза Армянского нагорья и сопредельных областей, 246-251. Ереван.
- Погребова М. 2000:** Печати митанийского стиля из Закавказья как исторический источник. – ВДИ, № 1, 145-150.
- Сарианиди В. 1977:** Древние земледельцы Афганистана. Москва..
- Станкевич И. 1978:** Керамика Южной Туркмении в бронзовом веке. – Древность и средневековье народов Средней Азии: история и культура, 17-31. Москва.
- Такаишвили Е. 1907:** Археологические экскурсии, разыскания и заметки. – ИКОИМАО, II, 96-115. Тифлисъ.
- Такаишвили Е. 1913:** Археологические экскурсии, разыскания и заметки. – ИКОИМАО, III, 11-176. Тифлисъ.
- Отчёт ... 1898:** Отчёт Императорского археологической комиссии за 1896 год, 109-112. Санкт-Петербург.
- Уваров А. 1887:** Об обсидиановых орудиях найденных на Цалке А. Я. Иоакимовым. Труды Археологического Съезда в Тифлисе, XXXV. Москва.
- Ханзадян Э. 1969:** Гарни (результаты раскопок 1949-1966 гг), т. IV. Ереван.
- Хачатрян Т. 1975:** Древняя культура Ширака. Ереван.
- Хачатрян Т. 1979:** Артикский могильник. Ереван.
- Франкфорт Г., Франкфорт Г. А., Уилсон Дж, Якобсон Т. 2001:** В предверии философии. Духовные искания древнего человека. Санкт-Петербург.
- Шифман И. 1987:** Культура Древнего Угарита (XIV-XIII вв. до н.э.). Москва.
- Шульц Д. 1907:** Обзор могильников Закавказья и древние пути передвижения народов. – ИКОИМАО, II, 1-9. Тифлисъ.
- Abramishvili R. 2003:** Towards dating the remains of the Late Bronze Age and of the period of wide adoption of iron, discovered at the Samtavro burial ground. – ბ. მაისურაძე, ხ. ახვლევიანი (რედ.), კავკასიის ბრინჯაო-

- რკინის ხანის არქეოლოგიის პრობლემები (ძიებანი, დამატებანი X), 12-26. თბილისი.
- Badalyan R., Smith A., Avetisyan P. 2003:** The emergence of sociopolitical complexity in Southern Caucasia. In A. T. Smith and K. Rubinson (eds), *Archaeology in the Borderlands. Investigations in Caucasia and Beyond*, 144-166. Los Angeles
- Black J. and Green A. 1992:** *Gods, Demons and Symbols of Ancient Mesopotamia*. London.
- Boehmer R. 1997:** Einige ältere, in jüngeren Zeiten wiederbenutzte altorientalische Siegel. *Beiträge zu altorientalischen und mittelmeerischen Kulturen, Festschrift für Wolfgang Röllig*, 23-41. Kevelaer-Neukirchen-Vluyn.
- Burney Ch. 1993:** Arslantepe as a gateway to the highlands: a note on periods VI A-VI D. In M. Frangipane, H. Hauptmann, M. Liverani, P. Matthiae & M. Mellink (eds), *Between the Rivers and over the Mountains*, 311-317. Rome
- Hagen R-M and R. 2002:** *Egypt: People, Gods, Pharaohs*. Cologne.
- Mansfeld G. 2001:** Die "Königsgräber" von Alaca Höyük und ihre Beziehungen nach Kaukasien. *Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan* 33, 19-61. Berlin.
- Narimanishvili G., Shanshashvili N. 1997:** The "Cyclopean" settlements of Trialeti in the light of new archaeological discoveries. *Caucasian Archaeology, latest Discoveries and Prospects. Reviews of international scientific reports*, 29-31; 67-69. Tbilisi.
- Narimanishvili G., Šanšašvili N. 2001:** Zu den "zyklopischen" Siedlungen in Trialeti. *Georgica* 24, 5-34.
- Narimanishvili G., Shanshashvili N. 2001a:** Cyclopean settlements and the Anceint States of the South Caucasus (Diaukhi). – *Second International Congress on Black Sea Antiquites, Bilkent University, Abstracts* 71. Ankara.
- Salje B. 1990:** Der "Common Style" der Mitanni-Glyptik und die Glyptik der Levante und Zyperns in der Späte Bronzezeit. Mainz am Rhein.
- ### ტაბულების აღწერა
- ტაბ. I – 1. თრიალეთის ადგილმდებარეობა; 2. საფარ-ხარაბას სამაროვანი. გენგეგმა.
- ტაბ. II – 1. ბ. კუფტინის მიერ გათხრილი სამარხები. გეგმა; 2. საფარ-ხარაბას სამაროვნის საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან; 3. საფარ-ხარაბა, № 50 სამარხის ქვაყრილი.
- ტაბ. III – 1. საფარ-ხარაბა, № 17 სამარხის ქვაყრილი; 2. საფარ-ხარაბა, № 20 სამარხის საერთო ხედი სამხრე-თიდან; 3. საფარ-ხარაბა, № 62, 63 სამარხების კრომლეხები; 4. იმერა, № 1 სამარხის კრომლეხი.
- ტაბ. IV – 1. საფარ-ხარაბა, №№ 38-40 სამარხები. გეგმა; 2. საფარ-ხარაბა, №№ 89, 90, 93 სამარხები. გეგმა; 3. საფარ-ხარაბა, №№ 50, 100, 110 სამარხები. გეგმა; 4. საფარ-ხარაბა, №№ 49, 51 სამარხები. გეგმა.
- ტაბ. V – 1. საფარ-ხარაბა, №№ 52, 55, 73, 99 სამარხები. გეგმა; 2. საფარ-ხარაბა, №№ 116-122 სამარხების მიმდებარე ტერიტორიაზე დარჩენილი გაუთხრელი სამარხები. გეგმა; 3. საფარ-ხარაბა, №№ 117, 118, 121 სამარხები. გეგმა; 4. საფარ-ხარაბა, № 51 სამარხი. ქვაყრილი და კრომლეხი. გეგმა; 5. საფარ-ხარაბა, № 20 სამარხი. გეგმა და ჭრილი კამერის გახსნამდე; 6. საფარ-ხარაბა, № 22 სამარხის გეგმა და ჭრილები.
- ტაბ. VI – 1. საფარ-ხარაბა, № 50 სამარხი. კრომლეხი და გადახურვა; 2. საფარ-ხარაბა, № 51 სამარხი. კრომლეხი და გადახურვა; 3. საფარ-ხარაბა, №№ 49, 51 სამარხები. ქვაყრილი; 4. საფარ-ხარაბა, №№ 49, 51 სამარხები; 5. საფარ-ხარაბა, № 56 სამარხი. გადახურვის ფილები; 6. საფარ-ხარაბა, № 116 სამარხი. სახურავის ფილა; 7. იმერა, № 1 სამარხი. სახურავის ფილის ნაშთი და ხის ძელები; 8. საფარ-ხარაბა, № 68 სამარხი. სახურავის ძელები. I ფენა; 9. საფარ-ხარაბა, № 68 სამარხი. სახურავის ძელები. II ფენა; 10. საფარ-ხარაბა, № 67 სამარხი. სახურავის ძელები.
- ტაბ. VII – 1. საფარ-ხარაბა, № 51 სამარხი. გეგმა და ჭრილები კამერის გახსნამდე; 2. საფარ-ხარაბა, № 32 სამარხი. გეგმა და ჭრილები; 3. საფარ-ხარაბა, № 90 სამარხი. გეგმა და ჭრილები; 4. საფარ-ხარაბა, № 23 სამარხი. გეგმა და ჭრილები; 5. საფარ-ხარაბა, № 10 სამარხი. გეგმა და ჭრილები; 6. საფარ-ხარაბა, № 90

სამარხის საერთო ხედი; 7. საფარ-ხარაბა, № 10 სამარხის საერთო ხედი; 8. საფარ-ხარაბა, № 23 სამარხის საერთო ხედი.

ტაბ. VIII – 1. საფარ-ხარაბა, № 67-68 სამარხების კრომლეხი; 2. საფარ-ხარაბა, № 67-68 სამარხი კამერები გახსნის შემდეგ; 3. საფარ-ხარაბა, № 67-68 სამარხები; 4. საფარ-ხარაბა, № 39 სამარხის ქვაყრილი და კრომლეხი; 5. საფარ-ხარაბა, კერამიკის განლაგება № 10 სამარხში; 6. საფარ-ხარაბა, კერამიკის განლაგება № 90 სამარხში; 7. საფარ-ხარაბა, კერამიკის განლაგება № 120 სამარხში; 8. საფარ-ხარაბა, კერამიკის განლაგება № 116 სამარხში.

ტაბ. IX – 1. საფარ-ხარაბა, № 39 სამარხი. გეგმა; 2. საფარ-ხარაბა, № 39 სამარხი. კამერის ქვაყრილის II ფენა. გეგმა და ჭრილი; 3. საფარ-ხარაბა, № 39 სამარხი. კამერა ქვაყრილის აღების შემდეგ. გეგმა და ჭრილი. 4. საფარ-ხარაბა, № 39 სამარხი. გეგმა და ჭრილი.

ტაბ. X – 1. საფარ-ხარაბა, № 39 სამარხი. სამარხი კამერის ქვაყრილის II ფენა; 2. საფარ-ხარაბა, № 39 სამარხი. სამარხი კამერა ქვაყრილის აღების შემდეგ; 3. საფარ-ხარაბა, № 39 სამარხი.

ტაბ. XI – 1. საფარ-ხარაბა, № 52 სამარხი. გეგმა და ჭრილები; 2. საფარ-ხარაბა, № 68 სამარხი. გეგმა და ჭრილები; 3. საფარ-ხარაბა, № 44 სამარხი. I-III დონეების გეგმები და ჭრილები; 4. საფარ-ხარაბა, № 103 სამარხი. I-III დონეების გეგმები და ჭრილები; 5. საფარ-ხარაბა, № 51 სამარხი. I-IV დონეების გეგმები და ჭრილები.

ტაბ. XII – საფარ-ხარაბას სამაროვანი: 1,2. სამარხი № 19; 3,11. სამარხი № 2; 4. სამარხი № 15; 5. სამარხი № 29; 6,13. სამარხი № 30; 7. სამარხი № 9; 8. სამარხი № 1; 9. სამარხი № 23; 10. სამარხი № 10; 12. სამარხი № 17.

ტაბ. XIII – საფარ-ხარაბას სამაროვანი: 1. სამარხი № 2; 2,4. სამარხი № 10; 3. სამარხი № 8; 5. სამარხი № 30; 6,7. სამარხი № 1; 8. სამარხი № 29; 9. სამარხი № 15; 10. სამარხი № 6; 11. სამარხი № 12; 12. სამარხი № 5; 13. სამარხი № 22; 14. სამარხი № 26; 15. სამარხი № 13; 16. სამარხი № 28.

ტაბ. XIV – საფარ-ხარაბას სამაროვანი: 1. სამარხი № 4; 2. სამარხი № 10; 3. სამარხი № 11; 4,6,9,11. სამარხი № 1; 5,10,15,16,19. სამარხი № 22; 7. სამარხი № 8; 8. სამარხი № 27; 12. სამარხი № 17; 13. სამარხი № 16; 14. სამარხი № 20; 17. სამარხი № 9; 18. სამარხი № 5; 20. სამარხი № 26.

ტაბ. XV – საფარ-ხარაბას სამაროვანი: 1. სამარხი № 110; 2,6,11. სამარხი № 120; 3. სამარხი № 68; 4,7. სამარხი № 116; 5. სამარხი № 90; 8. სამარხი № 52; 9. სამარხი № 121; 10. სამარხი № 10; 12. სამარხი № 95; 13. სამარხი № 10.

ტაბ. XVI – საფარ-ხარაბას სამაროვანი: 1,11. სამარხი № 68; 2. სამარხი № 69; 3. სამარხი № 94; 4. სამარხი № 122; 5. სამარხი № 95; 6. სამარხი № 116; 7. სამარხი № 107; 8-10. სამარხი № 120; 12,15. სამარხი № 10; 13. სამარხი № 15; 14. სამარხი № 34; 16. სამარხი № 22.

ტაბ. XVII – საფარ-ხარაბას სამაროვანი: 1. სამარხი № 8. დეტალი - კაპარჭი; 2. სამარხი № 85. ისრისპირები; 3. სამარხი № 8; 4,5. სამარხი № 13. სატევარი; 6,8. სამარხი № 85. დეტალი; 7. სამარხი № 13.

ტაბ. XVIII – საფარ-ხარაბას სამაროვანი: 1. სამარხი № 85. სატევარი; 2,13. სამარხი № 8. ისრისპირები; 3. სამარხი № 56,119. სამაჯურები; 4,5. სამარხი № 56,73. საკინძები; 6,10-12. სამარხი № 8. კაპარჭი და კაპარჭის დეტალები; 7. სამარხი № 13. სატევარი; 8,9. სამარხი № 8. ლანცცეტები; 14. სამარხი № 85. ისრისპირები.

ტაბ. XIX – საფარ-ხარაბას სამაროვანი: 1,2. სამარხი № 8. ინსიგნია; 4. სამარხი № 85. სატევარი; 5,7. სამარხი № 56,73. საკინძები; 6. სამარხი № 85. კვერთხისთავი; 8. სამარხი № 8. სატევარი; 9. სამარხი № 8. ისრისპირები; 10. სამარხი № 56. სამაჯური; 11. სამარხი № 110. მძივი; 12. სამარხი № 90. მძივი; 13,18. სამარხი № 73. მძივები; 14. სამარხი № 56. მძივები; 15. სამარხი № 68. მძივები; 16,24,25. სამარხი № 38. მძივები; 17. სამარხი № 95. მძივები; 19. სამარხი № 93. მძივები; 20. სამარხი № 106, მძივები. 21. სამარხი № 85. ისრისპირები; 22,23. სამარხი № 84. მძივები; 3. ავრანლო. ინსიგნია.

ტაბ. XX – საფარ-ხარაბას სამაროვანი. მძივები და საბეჭდავები: 1. სამარხი № 40; 2,3,35. სამარხი № 94;

4,7,8,25. სამარხი № 56; 5,20,30,34. სამარხი № 73; 6,16,17,21,22,24. სამარხი № 38; 9-15,28,31. სამარხი № 84; 18. სამარხი № 90. სამაჯური; 19. სამარხი № 110; 23. სამარხი № 98; 26. სამარხი № 95; 27. სამარხი № 88; 29. სამარხი № 42; 32. სამარხი № 73¹; 33. სამარხი №33.

ტაბ. XXI – 1. საფარ-ხარაბას სამაროვანი. სამარხი № 85. კვერთხისთავი; 2. ასურნასირპალ II ქანდაკება; 3,5,6. ავრანლო. ინსიგნია, დეტალები; 4. ავრანლო. ინსიგნია, რეკონსტრუქცია.

ტაბ. XXII – საფარ-ხარაბას სამაროვანზე აღმოჩენილი საბეჭდავები: 1. სამარხი № 27. ცილინდრული საბეჭდავი; 2-4. სამარხი № 5. ცილინდრული საბეჭდავი; 5-9. სამარხი № 6. „სკარაბეოიდები“; 10-12. სამარხი № 6. ოთხუთხა საბეჭდავები; 13, 14. სამარხი № 22. ცილინდრული საბეჭდავი.

ტაბ. XXIII – 1-11. საფარ-ხარაბა, სამარხი № 8. ძვლისა და ქვის ნივთები

ტაბ. XXIV – საფარ-ხარაბას სამაროვანზე აღმოჩენილი საბეჭდავები და მძივები: 1. სამარხი № 5; 2-4, 20 სამარხი № 6; 5. სამარხი № 27; 6. სამარხი № 38; 7. სამარხი № 40. 8,9. სამარხი № 22; 10. სამარხი № 73; 11. სამარხი № 56; 12-16. სამარხი № 6; 17. სამარხი № 90; 18. სამარხი № 110; 19. სამარხი № 15; 21,23-25. სამარხი № 84; 22. სამარხი № 56.

ტაბ. XXV – საფარ-ხარაბა. 1-2. სამარხი № 90. საერთო ხედი; 3. სამარხი № 90. სარეცელი; 4-6. სამარხი № 30. დეტალი.

ტაბ. XXVI – საფარ-ხარაბას სამაროვანი. სამარხი № 30. 1. I დონის გეგმა და ჭრილები; 2. II დონის გეგმა და ჭრილები; 3. III დონის გეგმა და ჭრილები; 4-6. ურმის დეტალები.

ტაბ. XXVII – 1. ბეჭთაშენის ნამოსახლარი. ტოპოგეგმა; 2. ბეჭთაშენის „ციკლოპური“ სიმაგრე (ვ. წილოსანის მიხედვით); 3. ბეჭთაშენი, 1990-1993 წწ-ში გათხრილი ფართობის გეგმა. მუქი ფერით აღნიშნულია ძვ.წ. XVI-XIV სს-ის კულტურული ფენები; 4. ბეჭთაშენი, ძვ.წ. XVI-XIV სს-ის კერამიკა.

ტაბ. XXVIII – 1. სანთის „ციკლოპური“ სიმაგრე. გეგმა (ვ. წილოსანის მიხედვით); 2. ოზნის „ციკლოპური“ სიმაგრე. გეგმა.